

# 1931 წლის 10 დეკემბერი

49. 486

ვერტ 4

1931/32 სასე. ვ.

3

## კლასთა ბრძოლის ისტორია

კაპიტალიზმის განვითარება და კლასთა ბრძოლა  
ჩასეთში XIX საუკ.

(განაკვეთი № 4 დამოუკიდებელ წერილობით სამუშაოს ხარეცენ-  
ზონდ წარმოხადგენად)

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

ამ დაფალების მიზანს შეადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევა-  
რში რუსეთში კლასთა ბრძოლის ძარითადი მომენტების გაცნობა.

ხსენებულ ისტორიული პერიოდის კლასობრივ ურთიერთობათა  
ისტორიის შესწავლის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს,  
რასაცირკელია, იმ ნანას, რომლის განვითარებაშიც კლასთა ბრძოლა.  
ამზადებდა 1905—1907 წლების რევოლუციის დროს გაშილ ბრძოლას

რუსეთში ბატონიშვილის გარემონდის შემდეგ კლასობრივ წი-  
ნააღმდეგობათა და 1905—1907 წლების ქარტეხალის გამომწვევ ძა-  
ლთა მომზადების პროცესის გარევევა,— აი ასე შეგვიძლიან განვი-  
რტოთ ამ ლექციის შინაარსი. „1861 წელმა შობა 1905 წელი“  
— ასე ვამოხატა ვ. ი. ლენინმა რუსეთის ისტორიის კანონზომიერება  
1861 წ. რეფორმების პერიოდიდან რუსეთის პირველ რევოლუციის  
მოხდენამდე.

დავალების გამოსავალ წერტილად აღებულია 1861 წლის რე-  
ფორმა 1). რეფორმების დროს წარმოშობილმა ეკონომიკურ და პო-  
ლიტიკურ ტენდენციების ბრძოლამ თავისე შემდგომი განვითარება  
1905 წლის რევოლუციაში ჰქონდა. ყოველთვის უნდა გვასხოვდეს ამ  
კავშირის არსებობა 1861 და 1905 წლებ შორის და აქედან უნდა  
გამოვდიოდეთ რუსეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის  
შესწავლის დროს.

„პირველი „დიდი“ ბურჯუაზიული ხასათის რეფორმის ბატონ-  
ყმურმა მიმართულებაშ შეაფერხა განვითარება, ათასჯერ უარეს გა-  
რემოებაში და სატანჯველში ჩააგდო გლეხობა, მაგრამ განვითარე-  
ბის მიმართულებას მაინც გენი ექ შეუცვალა, 1905 ბურჯუაზიული  
რევოლუციია ექ იცილა. 1861 წლის რეფორმამ რამდენიმე ხნით  
გვირდი აუცილა, წარმატების გზა გაუსწა კაპიტალიზმს, მაგრამ მაინც

1) ინილე ამ დაფალების სასწავლო მასალის პირველი ნაწილი უკავშირდება.

ევრ აიშორა აუცილებელი გამოსავალი, რომელიც უფრო მძღვანელი გაიშალა 1905 წ. და გამოიხატა მასების მიერ იერიშების კარიშტა ნაში თვითმშეობრივობაზე და მებატონე-მემამულეებზე<sup>1)</sup>. ასეთი თაობა

ამ გამოსავალ პირველ მუხლში უმთავრესი ყურადღება უნდა მიეპყროს რამდენიმე საკითხს: პირველი—რა იყო მიზეზი, რომელმაც ბატონიშვილი წესწყობილების რღვევა გამოიწვია, მეორე—როგორ გატარდა ეს რღვევა 1861 წ. და რათ გატარდა ასე; მესამე—რეფორმის შეფასება მისი მიმართულების და რუსეთის შემდგომი ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით. უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებულია კლასობრივ წინააღმდეგობათა მატერიალური საფუძვლის საკითხი, რომელიც 1861 წ. რეფორმამ უანდერძა ბატონიშმბის გადავარდნის მომდევნო ეპოქას და შეიცვლა „გამოსავლის ახალ აუცილებლობას“—ე. ი. რევოლუციას.

რეფორმების შემდგომი დროის ისტორია წარმოადგენს ბატონიშმური რუსეთის კაპიტალისტური რუსეთით შეცვლის ისტორიას. ახსნა-განვითარება იმ წინააღმდეგობათა, რომელთაც აღგილი ჰქონდათ რუსეთის ეკონომიურ გარდაქმნაში—ბატონიშმობიდან კაპიტალისტურად, როგორც „გამოსავლის აუცილებლობის“ საფუძვლელს, ნამდვილი ხალხური რევოლუციით და არა მებატონეების შეირ ჩატარებული უბადრ ეკი რეფორმით,—აი მჭავარი იდეა ამ დავალების შეორე ნაწილის.

აქ იბადება რევოლუციის ძალების მომზადების საკითხი. „მებატონეების მიერ დაჩაგრულ მასების ბნელ და განუვითარებელ ეპოქაში ჩატარებულმა რეფორმამ წარმოშვა რევოლუცია მაშინ, როცა ამ მასებში რევოლუციონური ელემენტები პომწიფდნენ“<sup>2)</sup>). მასებში რევოლუციონურ ელემენტების მომწიფების პროცესი წარმოადგენს ძირითად საკითხს.

ათასჯერ აჯანყდა გლეხობა 1861 წ. რეფორმის შესამჩადებლად; ათისი აჯანყებით შეხვდა ის 19 თებერვლის მანიფესტს. მიუხედავად ყველა ამისა, აჯანყებები მაინც რევოლუციიად არ გადაიქცნენ. რა იყო ამის მიზეზი?

„რუსეთში რამდენიმე ასი წლობით მემამულეთა მონობაში მყოფი ხალხი 1861 წ. მოკლებული იყო უზარს ამდგარიყო და პირდაპირი ფართო ბრძალა დაწყო თავისუფლებისათვის. მაშინდელი დროის გლეხთა აჯანყებანი დარჩენ გამნერტოვებულ, დაჭავებულ, სტრიუტ, „ბუნტებად“ და ადგილად აქრიბდენ მათ“<sup>3)</sup>.

ასე იყო XIX საუკუნის სამოციან წლებში, მაგრამ XX საუკუნის პირველივე წლები აღინიშნენ სახალხო რევოლუციით. XX საუკუნის დასაწყისში რევოლუცია გადაიქცა ობიექტიურ აუცილებლობად და ძალაც შესწევდა ბრძოლის საწარმოებლად. და რა შობდა? ლენინი ასე უპასუხებს ამ კითხვაზე:

„ბინადარ, დაშინებულ, თავის სოფელზე მიჯაჭვულ, წუცების მარწმუნე „მთავრობის“ მოშიშ, ბატონის ყმა გლეხის შესაცვლელად გლეხობის ახალი მობა იძრდებოდა, რომელიც გარე სამუშაოზე დადიოდა ქალაქებში და ბევრი რამ ჰქონდა შესწავლილი მოხერიალე ცხოვრების და შრომის გაერთავების ცწრე გა-

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. XV, გვ. 146, გამოც. 3 (რუსული გამოცემა).

<sup>2)</sup> ი ჭ გ მ.

<sup>3)</sup> ლენინი, ტ. XV, გვ. 108, გამოც. 3 (რუსული გამოცემა).

კვეთილებით. შესწოლ ქალაქებში, ფაბრიკებში და ქარსნებში. თანდათან ისტორიული და მუშათა რიცხვი. თანდისთანი არსდებოდა შეზათა გაერთიანებანი კაპიტალისტებთან და მთავრობასთან საბრძოლებლად. ასეთი ბრძოლის წარმოშემატებულ სესიაში მუშა შათა კლასი ხელს უწყობდა მიღიან გლეხისტრიულ და თავიდან ჩამორშებინა ბატონიშვილი ჩეულებანი<sup>1)</sup>.

საკითხი 1905 წლის ოქტომბერის ძალების შესახებ—ეს არის საკითხი პროლეტარიატის გეგემონით და ხელმძღვანელობით პროლეტარიატის და გლეხობის შორის რევოლუციონური კაშირის გაბრის შესახებ. მაშასადამე, აქ პირველ აღგილზე უნდა იყოს დაბმული საკითხი ერთის მხრივ, პროლეტარიატის, როგორც კლასის ძალების ზრდისა და მეორე მხრივ საკითხი მუშების და გლეხების ინტერესების ერთობის საფუძლებისა იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იყო ოქტომბერის მიერ მემამულე მებატონის და თვითშეყობელობის წინააღმდეგ.

## თ ვ მ ი ს გ ე გ ა

I. 1861 წლის რევოლუცია

(რეფორმის გამომწვევი მიზეზები)

- |   |  |
|---|--|
| 1. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება.       | 4. როგორ „გაანთავისუფლეს“ მეფემ და მემამულეებშა გლეხები. |
| 2. სოფლის მეურნეობის კრიზისი.                   | 5. გლეხების პასუხი 1861 წლის რეფორმაზე.                  |
| 3. გლეხთა ჯანყებების გავლენა 1861 წ. რეფორმაზე. | 6. მემამულეთა რეფორმის შეფასება.                         |

II. მკონიგა და კლასობრივი ურთიერთობა 1861 წლის რევოლუციის შემდეგ

- |  |  |
|--|--|
| 1. კაპიტალისტური მეურნეობის ზრდა:  | 2. კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება და მუშათა კლასის ზრდა: |
| ა) სოფლის მეურნეობა.   | ა) მრეწველობის მდგრმარეობა 1861 წლ. რეფორმის შემდეგ.           |
| ბ) ბატონიშვილის ნაშების გავლენა კაპიტალიზმის განვითარებაზე სოფლის მეურნეობაზი. | ბ) მრეწველობის ალორძინება XIX საუკ. 90 იან წლებში.             |

III. რევოლუციონური ნარიდინა, გლოხების და მუშაბის მასიური მოძრაობა 1861 წლის რევოლუციის შემდეგ

- |  |  |
|--|--|
| 1. რევოლუციონური ნარიდნა-ბიმა:                                   | 2. მუშათა მოძრაობა:  |
| ა) ნარიდნიკობის განვითარების ძირითადი მიმდინარეობანი და ეტაპები. | ა) მუშების მატერიალურ-უფლებრივი მდგრმარეობა 1861 წ. რეფორმის შემდეგ. |
| ბ) საგაფიცვო მოძრაობა.   | ბ) საგაფიცვო მოძრაობა.   |

<sup>1)</sup> ლენინი ტ. XV, გვ. 109, გამოც. 3 ხაზი ჩევნ მიერ არის გასმული — გ. ბ.

K 49.426  
3



- ბ) რევოლუციონურ ნაროდნიკობის კლასობრივი ბაზა.  
გ) გლეხობის მოძრაობა XIX საუკ. დამლევს და XX საუკ. დასაწყისში.

- გ) მუშათა მოძრაობის მიმღებად  
პეტიონი.  
დ) მუშათა კლასის მონაბო-  
ვარი.

### ძირითადი ლიტერატურა

მოცემულ თემის დასამუშავებელ ძირითად ლიტერატურას წარ-  
მოდგენს აქ დართული სასწავლო მასალა.

I	ნაწილისთვის — გვერდი —	5—19
II	” — გვერდი —	19—30
III	” — გვერდი —	30—60.

### თმა ფირითი სამუშაოსათვის

პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ერთობლიობის  
საფუძველი თვითმშერობელობისა და მებატონე-მემამულეებთან ბრძო-  
ლაში.

#### გეგმა:

- 1) ბატონიშვილის ნაშების გავლენა კაპიტალიზმის განვითარებაზე რუსეთში.
- 2) გლეხობის მეურნეობის მდგომარეობა იმ დროს, როდესაც  
მიწა და ძალაუფლება მებატონე-მემამულეების ხელში იყო დატოვე-  
ბული.
- 3) გლეხობისა და პროლეტარიატის ინტერესები თვითმშერო-  
ბელობის და მებატონე-მემამულეების ჭინააღმდეგ მიმართულ ჩევო-  
ლიუციაში.

## I. 1861 წლის ჩატორია

(რეფორმის გამომწვევი მიზნები)

კაპიტალისტურ მრავალობია განვითარდა

**მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში კაპიტალისტური ფაბრიკა ჩატორდა.**

სამრეწველო საწარმონი რუსეთში მე-XVIII საუკუნეში და უფრო წინაც არსებობდენ, მაგრამ ისინი ბატონისმური სამრეწველო წამოწყების მივნენ და არა კაპიტალისტური. მექანიზაციისა და ვაჭრების ფაბრიკა-ქარხნებში ყვები მუშაობდნენ.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში უფრო ხშირადა ვხვდებით ისეთ ფაბრიკას, სადაც დაქირავებული შრომაა შემოღებული, ე. ი. ვხვდებით კაპიტალისტურ ფაბრიკას.

კაპიტალისტური ფაბრიკის განვითარება რუსეთში მტკიცეთ არის დაკავშირებული მრეწველობის აღორძინებასთან დასაცლეთ ევროპაში. ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მრეწველობაში ახლად შეტანილმა ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ დიდი ვალენა იქონია რუსეთის მრეწველობაზედაც. რუსეთში სამრეწველო რევოლუცია დაიწყო და ამას კი მეტად დიდმნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

გაქარ-მრეწველები ეკონომიკურად უფრო სასარგებლოთა სცნობენ თავისუფლად დაქირავებულ მუშის ექსპლოატაციას, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნებშე მიწერილ და მიმაგრებულ ყმა მომწმევისას. მაშინ ტეხნიკა თანდისთან შემოღილდა რუსეთში დასაცლეთ ევროპიდან და ამ ტენიკისათვის თავისუფლად დაქირავებული მუშა უფრო ხელ-საყრელი იყო, ვიდრე მებატონის მიერ იძულებითი წესით გამოგზავნილი ყმა. ცხადია, რომ ვაჭარი-კაპიტალისტი უარს არ იტყოდა იმაზე, რაც კი მას მეტ სარგებელს მოუტანდა და უკვი მოჰყონდა კიდეც.

ტუგან-ბარანიძესკის გამოანგარიშებით, თავისუფლად დაქირავებულ მუშათა რაოდენობა მე-XIX საუკუნის დასაწყისში თითქმის ყველა ფაბრიკებში მომუშავეთა რიცხვის ნახევარს შეადგენდა. 1825 წელში რუსეთში 5261 ფაბრიკა იყო, სადაც 210568 კაცი მუშაობდა, — მათ რიცხვში თავისუფლად დაქირავებულ იყო 114515 კაცი. მე-XIX საუკუნის მომდევნო ათწლეულებში ფაბრიკებში მომუშავე

ყმების როლი უფრო და უფრო მკირდებოდა, სამაგიეროდ იზიდა-  
ბოდა თავისუფლად დაქირავებულთა როლი. ამ პროცესს ჰქონდა მის  
აგრეთვე თავად-აზნაურობის ფაბრიკების შედარებითი შეცვირებაც.  
1832 წელს თავად-აზნაურობის ფაბრიკები (საღაც ყველგან ყმებს  
ამუშავებდნენ) შეადგენდნენ რუსეთის მთელი ფაბრიკების 15%, ორ-  
მოცავან წლების ბოლოში კი თავად-აზნაურობის ფაბრიკების პრო-  
ცენტი 5-მდე დაცუ.

ბატონ-ყმობა ძლიერ უშლილა ხელს ახლადფეხადგმულ კაპი-  
ტალისტურ ფაბრიკას. საქმე იმაშია, რომ მაშინდელი თავისუფლად  
დაქირავებული მუშების უძრავლესობა საბატონო გლეხები იყვნენ,  
რომელთაც ბატონისათვის განსაზღვრული ბეგარა უნდა ეხადნათ.  
მებატონე-მემამულეს ყოველთვის შეეძლო, როცა კი მოისურებდა,  
ასეთი მუშების მოხსნა ფაბრიკიდან. ამას კი უარყოფითი გავლენა  
ჰქონდა წარმოების ნორმილურ მიმღინარეობაზე. კაპიტალისტს ისე-  
თი „თავისუფალი“ მუშა უნდოდა, რომელიც იძულებული იქნებოდა  
ფაბრიკაში ემუშავნა.

გარდა ამისა ფაბრიკა-ქარხნის მეპატონებს დროებით მიმაგრე-  
ბულ მომუშავეებისათვის ხელფასის მიცემის გარდა კიდევ სხვა გან-  
საზღვრული თანხას გალება უხდებოდა მებატონის ბეგარის გასას-  
ტუმრებლად. მუშეს რომ მხოლოდ ის ხელფასი მიეღო, რაც მარტო  
მის ელემენტარულ საჭიროებას გასწვდებოდა, მაშინ ის ბატონის  
ბეგარის ველარ გადაიხდილა თავისი ხელფასიდან. ბოლოს, მემამულე  
ჰყვლეფდა ყველა გლეხებს—ლალის გადამხდელებსაც და მიწის იჯა-  
რის ანგარიშში მის მამულზე მომუშავეებსაც—და ამით იყო თითქმის  
უსპობრა ბაზარს სამრეწველო საქონელს: გლეხს აღარაფერი რჩე-  
ბოდა რაიმე საქონელი ეყიდვნა.

შინაური ბაზრის, სამრეწველო პროდუქციისათვის, არა საქმა-  
რისი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ძლიერ სუსტი ტევადობა იყო რუსე-  
თის მრეწველობის განვითარების შენელების ძირითადი მიზეზი XIX  
საუკუნის 50-იან წლებში. ახლადწარმოშობილი მაშინდელი ბურ-  
ჟუანია ჯერ კიდევ ძლიერ სუსტი იყო თავისი ხვედრითი წონით,  
რომ რამე გავლენის შოხდენა შესძლებოდა ბაზარზე. სოფლის ლა-  
რიბთა უამრავი მასა კი ბაზარს ვერ მიმართავდა, რაღვან ყიდვის-  
თვის არავითარი სახსარი არ გააჩნდა. ბატონ-ყმობის პირობებით  
გაღატაკებისაკენ დაქანებული გლეხობის მეურნეობა ისევ ძველებურ,  
ნატურალურ მეურნეობად რჩებოდა. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ  
ბატონ-ყმური წესწყობილების დაუმსხვერევლად შეუძლებელი იყო  
შინაური ბაზრის ამოცანის გადაჭრა.

რუსეთის მრეწველობის მდგომარეობა 50-იან წლებში უფრო  
გაუარესდა, რაღაც დასავლეთ ევროპის კაპიტალმა ერთი მეორებე  
გამოვალიჯა რუსეთის კაპიტალისტებს პოზიციები საგარეო ბაზარზე —  
შეა აზიაში და მახლობელ აღმოსავლეთში. დასავლეთ ევროპის  
უფრო თაფი და უფრო უკეთესი ხარისხის საქონელი რუსეთშიაც  
შემოიჭრა და ამან უფრო შეზღუდა ისედაც შეძლუდული შინაური  
ბაზარი. დასავლეთ ევროპის კაპიტალის დაწოლამ რუსეთის წელგა-



უმაგრებელ მრეწველობაზე გააორკეცა წინააღმდეგობა ბატონიშვილისა  
და რუსეთში ახლადწარმოშობილ მრეწველობის შორის. ამზადებულია  
ბატონიშვილი შეიქმნა ახლად აოორძინებულ კაპიტალისტურ მრეწველო.  
ბის შეფერხების ძირითად მიზეზად საჭარბების საჭარბების სალთა განვითარება  
შეუჯახა ბატონიშვილისა და მის ლიკვიდაციას მოითხოვდა.

### სოცლის მაურილობის პრიზისი

XIX საუკუნეში ბაზარია და ფულმა, ე. ი. სასაქონლო მეურ-  
ნეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯით წაიწიეს წინ. ჩეენ ზემოთ აღნიშ-  
ნეთ მაშინდელ ბატონიშვილ რუსეთის პირობებში კაპიტალისტური  
ფაბრიკის წარმოშობა.

საერთო ეკონომისტური მდგომარეობა — შინაურიცა და საერთა-  
შორისოც — უფრო და უფრო თორევდა მემამულის მეურნეობას სა-  
საქონლო ბრუნვაში. ამ ამოცანის გადაჭრა შეეძლო მემამულეს ან  
ყმების შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ან გლეხისათვის როგორც  
ზედმეტი, ისე აუცილებლივ საჭირო პროდუქტების ნაწილის წართ-  
მევით და ან წარმოების ახალ, კაპიტალისტურ წესზე — დაქირავე-  
ბულ შრომაზე — გადასცლით.

ყმა-გლეხის შრომის ინტენსიფიკაცია რაიმე მნიშვნელოვანი  
წარმატებით ვერ დასრულდებოდა. გლეხს არაფერი წამახალისებელი  
მიზანი არ მოეპოვდოდა იმისათვის, რომ ცდილიყო მემამულეს რამ-  
დენიმე ასი უფრი პური მეტი მოსვლოდა, გლეხი მუშაობდა მემამუ-  
ლისათვის როგორც მისი ყმა.

ბატონიშვილ დამოკიდებულებათა შენარჩუნების პირობებში  
დარჩენილი იყო ერთად ერთი გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო  
მავალითად, ზედმეტი პურის გამორთმევა გლეხობისათვის — ეს იყო  
გზა ყმა-გლეხზე და მის მეურნეობაზე არაეკონმისტური დაწოლის  
გაძლიერებისა. და შართლაც XIX საუკუნეში მებატონის შუბრუში  
სულ უხუთავს გლეხს ისეთი ძალით, რომ გაღატებისაკენ მიაქ-  
ნებს გლეხთა მასებს.

მაგრამ მემამულის მეურნეობა დამყარებული იყო გლეხურ  
მეურნეობაზე: შემამულე უძლევებოდა თავის მეურნეობას მარტო ყმა-  
გლეხების მუშა-ხელათ კი არა, არამედ მათი ცხენებითაც და იარა-  
ლითაც. თუ მემამულეს საკუთარი საჭარმოო იარალები არ ექნებოდა,  
ძალიან ძნელი იყო მისთვის გლეხის მუშაობით სარგებლობა. მემა-  
მულე სარგებელს პოლობდა ყმების ექსპლოატაციაში მაშინ, როდესაც  
მოიხმარდა ყმების მუშა-ხელთან ერთად მათსავე სასოფლო-სამეურნეო  
ინკერარსაც.

ბატონიშვილ რუსეთის ეკონომიკაში დამკარგებულ სასაქონლო  
მეურნეობის გამო მემამულე ცდილობდა წარმოების გადიდებას და  
რაც დრო გათიოდა, უფრო და უფრო მიწის მცირე ნაკვეთებს უტო-  
ვებდა გლეხებს. შეძაბულებასთვის ეკონომისტური იყო,  
რომ რაც შეიძლებოდა მეტი მიწა ჩამოეკრა გლეხებისთვის და ან  
ოვთონ დაეთესა ან გაეყიდნა ეს ჩამონაქერი. გარდა ამისა, როცა  
გლეხებს სახნავ-სათესი მიწის მინიმალური ფართობათ

დასამუშავებელი, მემამულის ანგარიშით, მისი მიწის დასამუშავებლად უფრო მეტი სამუშაო დღეები გადარჩებოდათ მათ.

მაგრამ ამ გარემოებას თუ ერთის მხრივ სარგებლობა ჰქონდა მემამულისთვის, მეორე მხრივ სულ სხვა შედეგებს უმხადებდა მას.

გლეხობის უმიწოთ დატოვება და ბევრის მეტისმეტად გადიდება ძირს უთხრიდა გლეხურ მეურნეობის არსებობას და რაღაც გლეხის დამოუკიდებელი მეურნეობის არსებობა შეადგენდა მემამულის მეურნეობის არსებობის საფუძველს, ამიტომ გლეხობის დანიავებით მემამულე სქრიდა ხის იმ ტოტსა, ოომელზედაც თითონ იჯდა.

ყველა ეს თავადაზნაურობის და ბურეუაზიის წრეებში ნიადაგს უშენადებდა ძველ ურთიერთობათა იდეის „ლიკვიდაციას“. საკითხი „საჭიროა თუ არა ცვლილებები მოვახდინოთ“ თანდისთან გაიზარდა, გაფართოვდა და გადაიქცა ასეთ საკითხთა: „როგორ მოვახდინოთ ცვლილებები, რომ ისინი უფრო სისარგებლონი გამოდგნენ შემამულებისათვის“. მაგრამ საჭირო იყო ძალა, რომელიც აიძულებდა გაბატონებულ ქლას და მის მთავრობას ცალკე ექსპრიმენტებიდან გადასულიყო საქმეზე, საერთოდ დაესვა საკითხი და ასე თუ ისე გადავჭრა იყი პრატიკულად.

ამ ძალას წარმოადგენდა გლეხობის ბრძოლა მემამულების წინააღმდეგ.

### გლეხთა აჯანყის გავლენა 1861 წ. რეცორდაზე

მებატონების მხრივ გლეხობის მასების ჩაგვრას და დანიავებას შედევად ის მოსდევდა, რომ ყმები ხან დიდი მოძრაობით და ხან ადგილობრივი ხასიათის აჯანყებით მემამულებს თავიანთ არსებობას გაახსენებდნენ ხოლმე.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის ყოველ დღიურ მოვლენად გადაიქცა გლეხობის აჯანყება. ქვემოდ მოგვყავს აღრიცხულ აჯანყებათა ციფრები:

### გლეხობის აჯანყიათა რაოდენობა:

#### წლები.

#### რიცხვი.

1826—1829 . . . . .	85
1830—1834 . . . . .	60
1835—1839 . . . . .	78
1840—1844 . . . . .	138
1845—1849 . . . . .	207
1850—1854 . . . . .	141

ს უ 29 წელიწადში იყო 709 იჯანყება, ანუ 24 აჯანყება ყოველ წელიწ.

უიპელია, ეს ციფრები სრული არ არის. მაინც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა მებატონებების გასაგებად, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა მებატონებების გასაგებადსა და ბატონისმობის ულელ ქვეშ მოქცეულ გლეხობის შორის. ჩვენს ცხრილში მოყვანილ 709 აჯანყებიდან 112 აჯანყება სამხედრო ძალებით იქნა ჩაქრობილი.

მაგრამ ჯარი, რომლითაც სარგებლობდა ცარიზმი გლეხობათან  
ბრძოლაში, თანდისთან ნაკლებად სანუობი ხდებოდა. ჯარიზმის მართვა  
ყაზარმებში ხომ ისევ გლეხები იყვნენ, იმ განსხვავებით რომ მათ მაზა-  
რები ჰქონდათ გადაცმული. მათი ვის გასაგები იყო გლეხობის ბრძოლა  
ბატონიშობის თვითხებობის წინააღმ. ეგ, რადგან, როგორც გლეხებმა,  
კარგად იცოდნენ სოფლის გავირებება და გრძნობდნენ ბატონიშობის ულ-  
ლის სიძიმეს. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ გლეხობის აჯანყებების ტალ-  
ლასთან ერთად უაზარმებშაც იჩინა თავი რევოლუციონურმა  
უყმაყოფილებამ. XIX საუკუნის ოცნან წლებში ჯარისკაცთა შორის  
გავრცელებულ ერთ პროელამიციაში ეწერა: „თქვენ სამშობლოს  
იყავთ მტრებისაგან, მაგრამ როცა ეს მტრები მეფისა და თავად-  
აზნაურობის სახით სამშობლოს შიგნით გვივლინებიან, გალდებულნი  
ხართ მავრად შებოჭოთ ეს აშკარა მტრები და ამით დაუმტკიცოთ  
ერთმანეთს სიყვარული, ყველა ამ ბოროტმომქმედთა მაგივრად დაა-  
ყენოთ კანონიერი ძმართველი, რომელიც ყველა საქმეებშე პასუხს  
იგებს ჯარის ნაწილების არჩეულ დაპუტატების წინაშე და თვითმ-  
ყრობელი არ იქნება“. მეორე პროელამიციაში ჯარისკაცებს რჩევა  
ეძლეოდათ დაეპატიმრებინათ უფროსები, „მოქსპოთ მათი შანებელი  
ძალა-უფლება“, უფროსები აერჩიათ „თავის მოძმე ჯარისკაცებისა-  
გან და ფიცი დაედგათ დახოცალიყვნენ მათ დასახსნელად“, „ახლად  
ამორჩეულ უფროსებს კი ბრძანება უნდა დაეგზავნათ სწეა ლეგიო-  
ნებისათვის, რომ იქაც ასევე მოქცეულიყვნენ“.

აღვილი მასახვედრია, თუ რა სულიერ განშეობილებას გამოი-  
წვევდა ყველა ეს მთავრობასა და მემამულებს შორის. რუსეთის ცარი-  
შმის ძლიერება წარსული ამბავი ლა იყო, აწმყოსათვის მას თანდი-  
სთან ძალა ექარებოდა.

ყირიმის ოშეს დროს (1854-1856 წ.) გლეხობის აჯანყებანი  
დრო და დრო საშიშ ხასიათს იღებდენ. ხშირად გლეხობის წინაა-  
ღმდეგ გამოგზავნილი ჯარი, ვადრე საომარ მოქმედების ასპარეზს  
მიაღწევდა, წინასწარ მეფის ისპრავნიერებს და მემამულების წინაა.  
ღმდევ გამოიდიოდა. აღლვების ჩასაქრიბად მთავრობას დადი სამ-  
ხედრო ძალები სჭირდებოდა. სოფლის მდგომარეობის ასეთსაც სუ-  
რათს წარმოადგენს 1861 წლის რევოლუციის მახლობელი წინა პე-  
რიოდი. თუმცა სტატისტიკა დიდათ დამანიშვებულია, მაგრამ მაინც  
ნათელ სურათს იძლევა: 1857 წ. 40 აღლვება იყო აღრიცხული,  
1858 წ. 170, 1859 წ. 80 და 1860-100 აღლვება.

ყველა ამ წლების განმავლობაში გლეხობის ბრძოლის ერთ და-  
მახასიათებელ მხარეზე უნდა მიუთითოთ — ეს იყო აჯანყებული გლე-  
ხობის მიერ არა მარტო ბატონიშობის ულლის შესუბბუქების მოთ-  
ხოვნა, არამედ საკითხის უფრო ფართოდ დაყენება — თვით ბატონ-  
შიობის უდლის გაუქმების მოთხოვნა.

მარტო აჯანყებებით არ იბრძოდა გლეხობა. აჯანყების გარო  
გლეხები ბრძოლის ისეთი საშუალებებითაც აწარმოებდნენ, როგო-  
რიც არიან: ბატონისაგან გაქცევა და ბატონების ხოცვა.

იმ შიძეზთა შორის, რომელებმაც აიძულეს მეფის მთავრობაზე და  
მემამულებით რეფორმა მოეწყობათ, პირველი ადგილი უკირავდა ბრიტანული ხაზის ბრძოლას ბატონიშვილის წინააღმდეგ. ამიტომ 1861 წლის რეფორმაზე მეფის მანიფესტით გლეხთა „განთავისუფლება“ (ჩენ მალე დავინახავთ, რომ ეს გლეხების განთავისუფლება კი არა, დამონება იყო ახალი სახით) რომ გამოაცხადა, ეს „მეფის გულკეთილობის“ და „მემამულეთა შეგნების“ ბრალი კი არ იყო, ეს იყო გლეხობისა და მემამულების, ამ ბატონიშვილი საზოგადოების ძარითად კლასებს შორის წარმოებულ გამწვავებულ კლასთა ბრძოლის შედეგი.

რამ აიძულა მეფე და შემამულები რეფორმას შესდგომოდნენ?

„დიდი რეფორმა“ ბატონიშვილი რეფორმა იყო და არ შეიძლებოდა სხევგვარი ყოფილიყო, რადგან მას მებატონები ატარებდნენ. რამ აიძულათ უკანასაკენელი რეფორმას შესდგომოდნენ? რუსეთის კაპიტალისტურ გზაზე დამყენებელმა ექონომიკური განვითარების ძალაში. მებატონე-ძემამულეს არ შეეძლო წინ გადაღობოდა რუსეთის საქონლის ცვლის ზრდას ევროპასთან, არ შეეძლო გადაერჩინა სასიკვდილოდ ვანჭირული მუსიკობის ძველი ფორმები. ყარიბის ომშა გამოიაშვარავა ბატონიშვილი რუსეთის სიღამპლე და უძლურება. ყოველ ათწლევდში გლეხთა „ბუნტების“ რიცხვის მატებაში განთავისუფლების წინ აიძულეს რუსეთის პირველი მემამულე, აღქანდორე მეორე დათანხმებულიყო. განთავისუფლების ზევიდან მოხდენას, ვიდრე ელოდნა თავის ჩამოგდების ათვის ქვევილან<sup>1)</sup>.

როგორ „განთავისუფლეს“ გლეხები მიჰვა და მიმაშლებები  
1861 წელს

„ბატონიშვილის გაუქმება ჩატარა თვით მთავრობამ და არა აჯანყებულმა ხალხმა, რადგანაც პირველმა ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ დაინახა, რომ სრულებით შეუძლებელი იყო ბატონიშვილი წესშეუძლების დაცვა“.

საქმარისია მარტო ის გარემოება, რომ მომწიფებულ ამოცანების გადაჭრას ხელი მოჰკიდეს მთავრობამა და მემამულებმა, და ცხადი იქნება ჩენთვის, რომ 60 წლებში ჩატარებული რეფორმა ძლიერ ნაკლებად „აწყენინებდა“ მემამულებს და ნაკლებად დააგმაყოფილებდა მაშინდელი რუსეთის მოსახლეობის ქვედა უენებს.

რეფორმის შემდეგ რუსეთის მიწადმოქმედების ზოლის ყველა გუბერნიებში წესად დაიდვა გლეხობის მიწის ნაკეთების უაღრესად შემცირება. მოვიყვანთ პატარა ცხრილს, საიდანაც ნათლად დავინახავთ ასეთ შემცირებას ზოგიერთ გუბერნიებში:

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. XV, გვ. 143. გამოც. 3, რუსული.

მიწის ნაკვეთები  
(ნადელები) რე-  
ფორმამდე თითო  
სარევიზიო სულ-  
შე (დესტინო-  
ბით)

ყატერინოდარის	2,8	2,0
კიევის	6,6	2,1
პოლონის	5,5	2,2
სარატოვის	3,8	2,4
სიმბირსკის	2,9	2,4
ყაზანის	3,0	2,3
პეტრის	5,5	4,0

ნამდვილად კი ჩამონაჭრები უფრო იყო, ვიდრე აქ არა ნაჩვენები, რაღაც რეფორმის წინა დროის ნაკვეთებში (ნადელებში) შესული არ იყო სასახლეარე ადგილი, ტყე, საძოვრები და სხვ., რეფორმის შემდეგი დროს ციფრები ამ მიწებსაც ანგარიშობენ. ეს შესწორებაც თუ შევიტანეთ ანგარიშებში, მაშინ უფრო მეტ განსხვავებას მივიღებთ რეფორმის წინა და შემდეგი დროს მიწის ნაკვეთებში და უფრო სწორი სურათი გვევნება გლეხების უმიწოდ დარჩენისა.

სხვანაირად დატრიალდა ნაკვეთების საქმე არაშევნიალავიან გუბერნიებში. აქ მომეტებულ შემთხვევებში გლეხების მიწის ნაკვეთები გადიდდა. აი ციფრები:

მიწის ნაკვე-  
თები რე-  
ფორმამდე ნაკვეთები  
თითო სარე-  
ვიზი სულშე რეფორმის  
(დესტინობ.)

ვლადიმირის	3,1	3,9
მოსკოვის	2,6	2,9
კალუგის	2,5	3,8
პეტერბურგის	3,3	4,8
ნოვგოროდის	2,7	5,7
სმოლენსკის	3,6	4,8

განსხვავება შევნიალაგიან და არაშევნიალაგიან გუბერნიების მიწის ნაკვეთებში აღილი ასახნელია. შევნიალაგიანი მიწის მემამულეს ძეირად ულირდა მიწა და ცდილობდა სავაჭრო მეურნეობის წარმოებას. ამიტომ შევნიალაგიანი მიწის მებატონე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მიწა ჩამოეთალა გლეხებისთვისა, რისთვისაც რეფორმის დროს ყოველ ღონის ხმარობდა და, როგორც დავინახავთ, შეუსრულდა კიდეც სურვილი. თუ სრულებით უმიწოდ არ დასტოვეს აქ



გლეხი, ამის მიზეზი ის იყო, რომ უმიწოდ დარჩენილი გლეხი სოფელთან აღარ იქნებოდა დაკავშირებული მიწის ნაკვეთებით შეეძლო წასულიყო აქედან, მაშინ მემამულეს აღარც მუშა-ხელი ეყოლებოდა და აღარც მოქარებებული მაწის მოიჯარალრები. ასე რომ არ მომხდარიყო, გლეხებს დაუტოვეს „კატების“ საკმარისი მიწის ნაკვეთები, რომლის შესახებაც უკრაინელები ამობდნენ: „Як собака ляже, то голова на моему, а хвост на чужому“ (ძალი რომ წამოწვეს თავი ჩემ ადგილში ექნება, კუდი კი სხვისაშით). „კატების“ ნაკვეთები მას შემდეგ უფრო გამზადდა, როცა გაგარინის წინადადება იქმნა ცხოვრებაში გატარებული. მსხვილმა მემამულემ, თავიდმა გაგარინმა განცხადება ჟეიტანა სახელმწიფო საბჭოში, რომლითაც უკუელ გლეხს, თუ სურდა მიწის გამოუსყიდვად და დაუყოვნებლივ გაეთავებინა საქმე მემამულესთან, შეეძლო მემამულის თანხმობით ნაჩექარი მიწის ნაკვეთი მიეღო, რომელიც ამა თუ იმ ადგილისათვის დაწესებულ მიწის ნაკვეთის უდილესი ნორმის  $\frac{1}{4}$  შეადგენდა. ამ გაგარინის ნაკვეთებით ისარგებლა 500.000-მდე გლეხში, უმთავრესად ნოვოროსიაში, კოლგის ნაპირებზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიაში.

სულ სხვანაირად იყო საქმე არაშავნიადაგიან ზოლში. აქ მემულე დაინტერესებული არ იყო გლეხების მიწების ჩამონაჭრების ხაზზე თავის მიწის ფართობის გადიდებაში. მიწა ნაკლებ შემოსავალს იძლეოდა, მემამულების უმრავლესობა დიდი ხანი იყო, რაც ძახე თავის მეურნეობას აღარ აწარმოებდა, გლეხებისაგან ლალის აკრეფას მისდევდა და მაშინდელი დროს მიხედვით, ძლიერ დიდ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, მაგალითად, ნიუნიონვეკოროდის მემამულე ჯრათი შერემეტევი, თავის ერთი სოფლის 160 გლეხისაგან 25.000 მანეთ ლალას იღებდა. არაშავნიადაგიან მიწის მფლობელ მემამულეებს გლეხებისაგან შემოსული ფული აინტერესებდათ და არა გლეხების მიწა. გლეხს ეტი მიწა მიეცეს, რომ მეტი გამოსაყიდი ფული ძიებილოთ ამ მიწაში — აი რა ეწერა არაშავნიადაგიან მიწის მემამულის პროგრამაში. სწორედ ეს არის მიზეზი შავნიადაგიან და არაშავნიადაგიან მიწის ნაკვეთების რაოდენობაში განსხვავებისა; პირველში ჩამოაჭრეს გლეხს მიწა, მეორეში — გაუდიდეს ნაკვეთი. ჩამოაჭრეს საკუეთესო მიწა და გაინაპირეს ხევებისა და რიყებისაკენ.

გლეხება შემცარებული და დაბალი ხარისხის მიწა მიიღეს, მაგრამ ეს მიწაც კი გამოისყიდვეს. ეს გამოსყიდვა კი ახალ სახსრობელის ყურადღი იყო, რომელიც გადააცეს კისერზე მემამულეებმა გლეხობას თავისი მთავრობის საშუალებით და მეფის შეთაურობით.

გლეხებს მიწის გამოყიდვის ვალი 49 წლის განმავლობაში უნდა გადაუხადნათ ხაზინისათვის. ვალის მთელი თანხა რომ მთლად შეეტანათ გლეხებს,  $2\frac{1}{2}$  მილიარდს დაიჭირდა, განთავისუფლებულ გლეხებისათვის მიცემული მიწა კი მაშინდელი ბაზრის ფასებით 600 მილიონ მანეთზე მეტი არა ღირდა. რეფორმის დღიდან დაწყებული 1906 წლამდე ხაზინამ მოასწორ და ააფუქვნა გლეხებს მიწის გამოსყიდი თანხის ანგარიშში 1. 574 მილიონი მანეთი.



მეფის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით გლეხები „განვითარებით თავისუფლა“ შემცირებული მიწის ნაკვეთებით და დიდი ფართის გლეხების თქმისა არ იყოს, განთავისუფლება ყმობაზე უარესი იღმოჩდა. ვიდრე მიწის ნაკვეთს მთლიად გამოისყიდდა, გლეხს ლალა უნდა ეძლია შემამულისათვის ან ბეგარით უნდა გადაეხდა იგა. შემდეგ შეპატონეს შერჩა გლეხების გასამართლების უფლება, შეეძლო შეეწერებინა ადგილობრივი საფლაოს ყრილობის გადაწყვეტილება, შეიცვალნა სათემო (კოლოსტის) მწერალი და სხვ. გლეხობის დროებით-ვალდებული მდგომარეობა გაუქმდა მხოლოდ 1881 წ. 28 დეკემბრის კიონით, რომლის ძალითაც სავალდებულოდ იყო გმოცხადებული გამოსყიდვა როგორც გლეხობისათვის, ისე შემამულეთათვის, აქნობამდის კი გამოსყიდვა მარტო გლეხობისათვის იყო სავალდებულო.

19 თებერვლის დებულებით გლეხებს თავიანთი თვითმმართველობა ენიჭებოდათ, მაგრამ უფლებრივი მხრით ის ძლიერ შეზღუდული იყო. დებულებაში ზუსტად იყო ჩამოთვლილი ყველა ის საკითხები, რომლების განხილვაც შეეძლო სასოფლო და ათემო ყრილობებს. ამ საკითხების გარეშე განხილვა აკრძალული იყო, წინა შემთხვევაში პასუხს ავებდენ თანამდებობის პირნი და ყველა გლეხები.

სოფლის საწიგადოებას დავალებული ჰქონდა თავდებობა. იყი პასუხისმგებელი იყო თვითოულ სოფლის მცხოვრების მიერ გადასახადის და ბეგარის თავის დროზე შესრულებისათვის. იქ, სადაც რეფორმაზე შიწის მფლობელობა სათემო იყო, ასევე იქნა დატოვებული რეფორმის შემდეგაც. გლეხს არ შეეძლო თემიდან გასვლა, ვიდრე მთლიად არ გამოისყიდდა თავისი მიწის ნადელს, ე. ი. იძულებითი წესით იყო მიმაგრებული თემზე. თუ „ხალხის ყრილობა“ ნებას არ დართავდა, გლეხი ქილაში ვერ წავიდოდა, ხალხის ყრილობის შეეძლო ქონება გაეყიდნა ან იძულებით სამუშაოში გაეგზავნა გადასახადის შეუტანლობისათვის და სხვ. „ხალხის ყრილობა“-ს გაწკეპლის უფლებაც კი ჰქონდა დატოვებული.

3. ი. ლენინი ასე აფასებდა 1861 წლის რეფორმის შეზევებს.

„არ უნდა დავიკიწყოთ, რომ მოულესასწაულეთა მიერ წარმოთქმულ სახოტბო სიტყვებში, გულწრფელ მტრობასთან ერთად ბატონიყმობისა და ყოველივე მისი შედეგების მიმართ, აგრეთვე ბევრი რამ ფარისევლურიც არის. თავიდან ბოლომდე ფარისევლურიც დაყალბი „დიადი“ რეფორმის ის დაფასება, რომელიც ჩვეულებრივი შეიქნა ჩვენში: „გლეხთა განთავისუფლება მიწით სახელმწიფო გამოყიდვის საშუალებით“. სინამდვილეში კი ეს იყო გლეხთა განთავისუფლება მიწისაგან, იმიტომ რომ იმ ნადელებიდან, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ფლობდნენ გლეხები, ვებერთელა ნაკვეთები ჩამოაქრეს, ხოლო, მთელი ასეული ათასი გლეხი სულ მთლად უმიწაწყლოთ იქნა დატოვებული, — მიგდებული მეოთხედ ან სულ უმნიშვნელო ნადელზე. სინამდვილეში გლეხები ორმაგად გაძარცვეს; ის არ აქმარეს, რომ მიწება ჩამოუქრეს, აიძულეს



ჭილეც გადაეხადათ „გამოსაყიდი“ მათვის დატოვებულ შიწაზე კურნებული შელიც მუდამ მათ მფლობელობაში იყო, და თანაც გამოსაყიდისაფუძველი დანიშნეს გაცილებით მეტი მის ნამდვილ ფასზე. თვით მემაშულენი ათი წლის შემდეგ გლეხების განთავისუფლებიდან გამოტეხით ამბობდნენ მთავრობის მოხელეებთან, რომლებიც სოფლის მეურნეობი მდგომარეობას იყვლევდნენ, რომ გლეხები აიძულეს გამოყიდათ არმარტო შიწა, არამედ იგრეთვე თავისუფლებაც. და, თუმცა პირადად განთავისუფლებისათვისაც კი გამოართვეს გამოსაყიდი სახასული გლეხებს, მაგრამ მათ მინიც არ აღიტეს თავისუფლება: ოცს წლით დროებით ვალდებულად დატოვეს—და ისინი დღემდე რჩებიან—დაბალ წოდებად, რომელიც ისჯება რომელი, იხდის განსაკუთრებულ გადასხადებს, ვერ ბედის თავისუფლად გამოსულას ნა. ხევარ ბატონყმურ თემიდან, თავისი მაწის თავისუფლად მოხმა-) რას, თავისუფლად დასახლებას, საღაც მოისურვებს—სახელმწიფო ყველა კუთხეში. ჩვენი საგლეხო რეფორმა კი მთავრობის დიდსულოვანებას არ ამჟღავნებს: პირიქით, ის წარმოადგენს იმის უდიდეს მაგალითს, თუ რა რიგ გაბინძურებული გამოდის ყოველი საქმე თვითმპრობელი მთავრობის ხელიდან.

### გლეხობის პასუხი 1861 წლის აუცოდაზე

როგორ შეხვდნენ გლეხები ამ მინიჭებულ „თავისუფლებას“?

ამის პასუხი საუკეთესოდ არის გამოხატული „შემდეგ ციფრით. მეფისა და მემაშულეების 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმას „განთავისუფლებულმა“ გლეხებმა ათასზე შეტი აჯანყებით უპასუხეს. გამოცხადებულ თავისუფლებას გლეხები თავისუფლებად კი არა, მოტყუებათა რაცხდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროისულებული იყო 1861 წელის მიზანის თვეში ასეთი ციოკულიარული წერილი დაგეზავნა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომდი გლეხობის მდგომარეობის შესახებ მოსული ცნობები ადასტურებენ, რომ მის წარმატებით სელას და განსაკუთრებით კი საწესლებო სიგელების შედგენას ბევრგან ხელს უშლიან გლეხობის შორის გავრცელებული შემცდარი ცნობები და მათ შორის ფესვგადგმული ცრუი იმდები. ისინი რაღაც ახალ თავისუფლებას ელოდებიან, რომლის გამოცხადებიდან რომ წლის შემდეგ ვითომც 19 თებერვლის მანიუსტრში გამოუცხადებელი ახალი შელავათები მიენიჭებათ და ამ შელავათებს მოკლებულნი იქნებიანა ის გლეხები, რომლებიც მებატონებს მოურიგდებიან და საწესლებო სიგელებს ხელს მოაწერენ“..

შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო წინადადებას იძლევა განემარტოს გლეხებს, რომ ახალი თავისუფლება არ იქნება, ასეთია მეფის ხება და სხვ. გლეხობის მხრივ ახალ თავისუფლების მოლოდინს ადასტურებს ერთი მომრიგებელ შუამაგალთაგანი, რომელიც: უშუალოდ იყო ჩაბმულ ამ დროს გლეხობის საქმეებში „განთავისუფლების“ დროს. ის სწერს, რომ გლეხები მეტისაგან მოელოდნენ ნადელს, ხოლო მებატონებაგან მიღებულ ნადელს მოტყუებათა

სთვლილნენ და გაიძახოდინენ: „ალბათ გვატყუებენ, რომ ხელის მოწყობის გვთხოვენ; ეს რომ საჭირო ყოფილია კუო, მომრიგებელი შუამავალი დაპირ გვიბრძანებდა“. დაბექავი ბულ, მცირედშევნებულ გლეხონის მასას კიდევ იმედი ჰქონდა მეფის და მისგან „ნამდვილ თავისუფლებას“ მოელოდდა და ვერ მიშვადარიყო, რომ მეფის 1861 წ. 19 თებერვალის მანიურისტით გამოცხადებული იყო ნამდვილი მონობა („განთავისუფლება“).

შევ 1861 წლის აპრილში, თვე-თვენახევრის შემდეგ მანიურესტის გამოცხადებილან, დაიწყო გლეხთა აჯანყებანი. მრავალ ასეთი აჯანყების ჩაქრობა მოუხდა მთავრობის სამხედრო ძალებით. ყაზანის გუბერნიის, სპასკის მაზრის სოფელებში, მუსინ პუშკინის მამულში გლეხებმა გადაჭრილი შარი გამოცხადეს ყოველგვარ საბატონო ბეგარაზე. აჯანყების ხელმძღვანელობდა გლეხი ანტონ პეტროვი. პეტროვის აგიტაცია მაღალ გავრცელდა მაზრაში და სოფ. ბეზიაში რთხი ათასამდე კაცს მოუყარა თავი გამოწვეულმა სამოხედრო რაზმა ერთბაში სროლით. 71 კაცი მოკლა და 155 დასჭრა. თითონ პეტროვი დაიკირეს და დახურიტეს.

საერთოდ 1861 წლის განმავლობაში გლეხებმა არეულობა მოახდინეს ამა თუ იმ ფორმით თითქმის რუსეთის ყველა გუბერნიის ში, გარდა ასტრახანის, ვიატკის, კურსკის, ოლონეცის და ტავრიიდის გუბერნიებისა. მაგრამ ამ გუბერნიებშიც კი (ოლონეცის გუბერნიის გამოკლებით), საღაც ყმების რიცხვი სულ 5411 სულს უდრიდა, არეულობები მოხდა 1862 წ. თავისუფლების გამოცხადებილიან რომ წლის განმავლობაში მომხდარ გლეხურ აჯანყებათა რიცხვი ასეთ ციფრებით გამოიხატება:

ა ლ ე ბ ი	აჯანყებათა რაოდნობა	რ ე ბ დ ე ნ ს ო ფ ე ს მოედო	ჩაქრობილია სამს. ძალით შემთხვევები	სოფლები
1861	784	2.034	499	1666
1862	388	573	298	449
	1172	2.607	797	2115

აჯანყების უმრავლესობა მოდის შემდეგ 14 გუბერნიაზე. ვიტებსკის, ვილნის, გროდნის, კონის, ყაზანის, პენზის, პოდოლის, ტამბოვის, ჩერნიგოვის, კიევის, სარატოვის, ტულის. მოვილევის და სმოლენსკისაზე. ამ 14 გუბერნიაში 1861 და 1862 წ. იყო 733 აჯანყება 2012 სოფელში. დანარჩენ გუბერნიებშე მოდის 439 აჯანყება 595 სოფელში.

უმცველია, ჩეგნ მიერ მოვანილ ანგარიშში აჯანყების ყველა შემთხვევა არ არის შესული, მაგრამ სურათი მაინც ნათელი რჩება. მეტის თავისუფლებას გლეხობა მტრილად შეხვდა.



რა უნდოდათ გლეხებს? როგორი იყო იმათი „პროგრამის შედევრი“

გლეხის პროგრამა ძალიან მოკლე და პრიმიტიული, მეტაზოგიანი უცვლასათვის გასაუგები იყო. ორი პუნქტი შეადგენს გლეხთა მოთხოვნების არსებობის: 1) მოელი მიწა გლეხობას უნდა ეკუთვნოდეს, მემამულებს აქ საქმე არა აქვს; 2) არიგითარი ფასი არ ეკუთვნის მემამულებს მიწაში.

როგორც ვიცით, არც ერთი პუნქტი არ იყო ძეგლან შესრულებული 1861 წლის რეფორმით. მებატონების მთავრობა გაუსწორდა მრავალრიცხვან დაქსაქსულ და შეუკავშირებელ გამოსვლებს. მარტი გლეხებს, ქალაქის მცხოვრებლების—პროლეტარიატის დაუბმარებლივ არ შეეძლო თავის ჯაინყბების მიყვანა რევოლუციამდე, რომელსაც შეეძლო გადაეჭრა მემამულებსა და გლეხებს შორის საუკუნო დავა უკანასკნელების სასარგებლოდ.

1861 წლის რეფორმამ ვერ მოსპო მემამულებსა და გლეხებს შორის მწვავე ბრძოლის ნიადაგი. ბრძოლა გაგრძელდა რეფორმების შემდევაც.

### მიმამდევრობა 1861 წლის რეფორმის შეზახება

1861 წლის რეფორმა იმდენად მოქლებული იყო თანამიმდევრობას, იმდენად ხალხის საწინაღომდეგო მიმართულება პქონიდა, რომ „შეურყვდვლად დასტოვა შემამულეთა ბატონობის უმთავრესი საფუძვები“. შემამულებმა გაძარცვეს გლეხები, ჩამოართვეს საკუთხევლი მიწა, ერთი სამაც გამოაყიდინეს მათთვის დატოვებული რეყები, შებოჭეს თავდებობით, მიამავრეს თემზე და სხვ.

როგორი იყო შინაარსი რეფორმით გატარებულ იმ ლონისძიებებისა, რომელთაც ახალი რომ შექვენდათ მებატონის და გლეხის ურთიერთისაღმი დამოკიდებულებაში და ამა თუ იმ შხარეს ახალ პირობებში აყნებდა? სიით მიაქანებდნენ ეს ლონისძიებანი საზოგადოებრავ განვითარებას?

რეფორმით მოხდენილი ცვლილებანი<sup>1)</sup> შემდეგში გამოიხატებიან: პირები,—ყოფილი საბატონო გლეხები უმიწამებულოდ დარჩენენ და იძულებული იყვნენ გაეტანათ ბაზარზე თავისი სამუშაო ძალა, როგორც საქონელი; მეორე, გლეხობის მეურნეობა გამოეყო მემამულის მეურნეობას. გლეხსა და მემამულეს შორის ახალ სასაქონლო და ფულადი ხელშეკრულობით ხორციელდებოდა კავშირი, თუმცა ძველი დამოკიდებულის ზოგიერთი ნაშთებიც განაგრძობდნენ არსებობას. ახლა გლეხი იძულებული იყო ექცენა და ეშვება ფული მიწის გამოსაყიდათ<sup>2)</sup>, გადასახადის მისაცემად, ადგილობრივი შესატანების ფასასტუმრებლად და სხვ, უნდა მიემართა ბაზრისათვის და ან თავისი მეურნეობის პროდუქტები გაეყიდნა, ან თავისი სამუშაო ძალა.

<sup>1)</sup> ჩეენ ამჟამად მიზარდდ საგლეხო რეფორმას ეინილავთ და არ უცხებით სასამართლოს, ფინანსების ადგილობრივ თეათრმართველობას და სამსუდოო რეორგებს.

<sup>2)</sup> მიწის გაშოუიდვას ჭიდი მნიშვნელობა ემიტონი აქვს, რომ ის დიდ როლს თამაშობდა გლეხის ბაზრისაგან დამოკიდებულების განვითარებაში.

კაპიტალისტური განვითარების თვალსაზრისით ასეთი ცვლილებები წარმოადგენს აუცილებლივ წინსვლის ნაბიჯს.

ამრიგად, თანამიმდევრობას მოკლებული და შებატონებული მექანიზმების მიერ ანგარებით ჩატარებული 1861 წლის რეფორმა, რომელმაც მრავლად დასტოა რუსეთის ეკონომიკაში და სახელმწიფოს მშრომელობაში ბატონ-ყმბის ნაშთები, თავისი ღონისძიების შინაარსით წარმოადგენდა ბურუუაზიულ რეფორმას, რომელიც გზას უკაფავდა კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას.

ამ საკითხის შესახებ ლენინი ერთ-ერთ თავის შრომაში სწერს:

„სასაქონლო მეურნეობის დასაწყისი მიეკუთვნება რეფორმის წინა ხანას. საპამბო მრეწველობის კაპიტალის ტური ორგანზაციაც კი გლეხთა განთვისუფლებამდე ჩამოყალიბდა; მან პირველ ადგილზე წამოიყენა არა შრომის პროდუქტის სასაქონლო შრომი, არამედ სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა; მან დაადასტურა არა სასაქონლო, არამედ კაპიტალისტური წარმოების ბატონობა“<sup>1)</sup>.

სხვა იდგილას კი სწერს:

„1861 წლის 19 თებერვალი წარმოადგენს ბატონყმურ ეპოქიდან წარმოშობილს ახალ, ბურუუაზიულ რუსეთის დასაწყისს“<sup>2)</sup>.

ამასთან დაკავშირებით ჩენ განვიხილავთ გლეხურ პროგრამას ბატონყმობის ლიკვიდაციის შესახებ.

გლეხები მოითხოვდენ მიწაზე მემამულეთა საკუთრების მოსპობას, მაგრამ თავითან პროგრამაში არ მოითხოვდენ სასაქონლო წარმოების და წარმოების საშუალებებზე და იარაღებზე ბურუუაზიულ საკუთრების მოსპობას. მათი პირადი ინტერესები მიწის დაყოფაზე, ე. ი. მემამულებისათვის ჩამორთმებაზე—შორს არ მიღიოდენ.

გლეხური პროგრამა—ეს იყო ბატონყმობის ყოველგვარ ელემენტების სრულიად და გადაჭრით მოსპობის პროგრამა.

ასეთი პროგრამის გამარჯვება ნიშნავდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისათვის უფრო სწრაფი და მისებისათვის ნაკლებად მტკიცნეულ შესაძლებლობის შექმნას. მაშინ კაპიტალისტური წარმოება ჩეარი ნაბიჯით წავიდოდა წინ ქალაქშიაც და სოფლადაც, ეს კი აჩერებდა, როგორც ბატონყმურ, ისე კაპიტალისტურ მონობაზე სოციალისტური რევოლუციის გაამარჯვებლად საჭირო კლასობრივ ძალთა და მატერიალურ წინაშეარ პირობათ შექმნას.

მაშასადამე, როგორც გლეხების, ისე მემამულების პროგრამას რუსეთი კაპიტალიზმის აკენ მიჰყავდა, კაპიტალისტურ რელსებზე აუცნებლენ რუსეთს. ამ შემთხვევიში ორივე პროგრამები თანხმობით მოქმედდენ.

მაგრამ მემამულეთა პროგრამა ნიშნავდა რუსეთის სასოფლო მეურნეობის ნელი ტემპით გადაყვანას ბატონყმური რელსებიდან კაპიტალისტურზე. მოიგონეთ, როგორ ჩატარეს მამამულებმა გლეხების „განთვისუფლება“: ჩამოჭრეს მიწები, აიძულეს გამოსაყიდი

1) ლენინი, ტ. I, გვ. 473 (ქართული გამოცემა).

2) ლენინი, ტ. XV, გვ. 143 (რუსული მე-3 გამოცემით).

ფულის გადახდა, დაუწესეს „სათემო“ ხელისუფლება, შემოიღეს ურთ თერთის თავდებობა, და აიძულეს გლეხი უკანასკნელი გროვები ეძლია მემამულესათვის მიწის იჯარაში. კაპიტალისტური წარმოშენება სათვის კი ცველა ეს მუხრუჭს, მისი ტემპების შენელებას წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ კაპიტალისტური განვითარების ნელი გზა იყო, ეს გზა მასების ტანჯვის გზაც იყო თავისი ზიმშილით, გალატაკებით და სოფლის უმეტესობის ამოწყვეტით, სადაც ხელს მოითბობდა მხოლოდ ერთი მუქა სოფლის კაპიტალისტების—კულაკების.

ასეთი კაპიტალისტური განვითარების გზა პრუსიაშ გაიარა.

გლეხობის პროგრამა გულისხმობდა მსხვილ მემამულეთა მიწის მფლობელობის სრულებით მოსპობას და მიწის გრეხობის ხელში უფასოდ გადასცვას. ამ გზაზე აღარ უნდა ყოფილიყო მემამულის შეირჩევა, გამოსაყიდვ და საიჯარო ფულის გადახდევინება. ეს გზა წარმოადგენდა დაც შესაძლებლობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ეს იყო გზა კაპიტალიზმის განვითარების სწრაფი ზრდისა და შედარებით მასების ნაკლები ტანჯვისა.

„რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდენ გლეხები განთავისუფლების დროს და რაც უფრო იაფად მიიღებდენ შას, მით უფრო სწრაფად, ფართოდ და თავისუფლად იწარმოებდა კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, მით რთულ მაღალი იქნებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე... მით უფრო ჩქარა მოხდებოდა მანქანების გამოყენება ცხოვრებაში“<sup>1)</sup>.

„ბურუუაზიული განვითარება შესაძლებელია, როცა მეურნეობას მეთაურობენ მსხვილ მემამულეთა მეურნეობანი, რომელიც თანდათან ბურუუაზიულ ხახეს იღებენ და ექსპლოატაციის ბატონყმურწესებს კაპიტალისტურ წესებზე სცელიან, შესაძლებელია მისი განვითარება აგრეთვე მაშინაც, როცა მას გლეხთა მეურნეობანი მოთავსებენ, იშორებენ საზოგადოებრივ ორგანიზირდან ბატონყმურ ლატიფუნდიების „ხორცმეტს“ და უიმისოდ თავისუფლად ვითარდებიან კაპიტალისტურ ფერწერობის გზით.

ობიექტიურად შესაძლებელ ბურუუაზიულ განვითარების ამ ორ გზის ჩვენ უწოდებლით პრუსიისა და ამერიკის ტიპების გზის. პირველ შემთხვევაში მემამულის ბატონყმური მეურნეობა ნელის ნაბიჯით გარდაიქნება ბურუუაზიულ, იუნკრულ მეურნეობად. ამას მისდევს გლეხობის მძიმე ექსპლოატაცია და დამონება, სადაც გამონაკლისს მხოლოდ ერთი მუქა „გროსბაუერები“ („მსხვილი გლეხები“) წარმოადგენს. მეორე შემთხვევაში მემამულის მეურნეობა ამ არსებობს და ან დანგრეულია რევოლუციის მიერ, რომელიც კონფისკაციის ანდენს დიდი მაშულებისას და ანაწილებს მათ. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა გლეხს, იგი ხდება მიწადმოქმედების განსაკუთრებულ აგენტად და თანდისთან იქცევა ფერწერად“<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. III, გვ. 607 (ჭართული გამოცემა).

<sup>2)</sup> ლენინი, ტ. 18, გვ. 443—444 (I რუს. გამოცემა).

მემამულეთა და გლეხობის ბრძოლა 1861 წ. რეფორმის ფრგველი  
იყო ბრძოლა კაპიტალისტური განვითარების ამა თუ იმ გზისათვის  
გლეხები ცდილობდენ პირობები შეექნათ „ამერიკული“ გზისათვის,  
მემამულები კი „პრუსიელი“ გზისათვის იბრძოდენ. გლეხებისა და  
მემამულების ამ დიდ ჭიდალში უკანასკნელთ გაიმარჯვეს 1861 წ.  
ბრძოლაში.

მემამულებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ვერ მოსპეს ის ნიადაგი, რო-  
მელზედაც სწარმოებდა ბრძოლა ერთის მხრივ მათსა და მეორე შერივ  
გლეხობის შორის. ბრძოლა ამა თუ იმ გზით (პრუსიულით ან ამე-  
რიკულით) დედლ ბატონისტურ რუსეთის კაპიტალისტურ რუსეთად  
გარდაქმნისათვის დიდხანს შეადგენდა კლასობრივი ინტერესების და  
ქლასთა ბრძოლის უმთავრეს საგანს რეფორმის შემდგომი დროის  
რუსეთში. მაგრამ ეს ბრძოლა იშლება სულ სხვა სოკიალურ-ეკონო-  
მიურ გარემოებაში.

## II. მარცხენა და კლასობრივი დამოკიდებულება 1861 წ. რეფორმის შემდეგ

### კაპიტალისტურ მეურნეობის ზრდა

#### სოციალის მიურნეობა

1861 წლის რეფორმა წარმოადგენს იმ მოსაბრუნებელ პუნქტს  
რომლიდანც რუსეთში საბოლოოდ შესდგა ფეხი კაპიტალისტურ  
განვითარების გზაზე.

„... მსოფლიო კაპიტალიზმის ზეგავლენით 1861 წ. შემდეგ  
ძველმა, პატრიარქალურმა რუსეთმა სწრაფად დაიწყო რღვევა. გლე-  
ხები შიმშილობდენ, დატაკდებოდენ და იხოცებოდენ ისე ძლიერ,  
რომ წინად ამის მაგვარი არა ყოფილა რა, სტოგებდენ მიწას და  
ქალაქებში მოჩოდენ. გაფაციცებით შენდებოდა რკინის გზები, ფა-  
ბრიკები და ქარხნები, დანიავებული გლეხების „იაფი შრომის“ გამო.  
რუსეთში ვითარდებოდა მსხვილი ფინანსიური კაპიტალი, მსხვილი  
ვაჭრობა და მრეწველობა“. 1)

რუსეთის რეფორმების შედეგი დროის განვითარების გასაგე-  
ბად საჭიროა გვახსოვდეს ის დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოიტანეთ  
1861 წლის რეფორმის შედეგების შესახებ. ორი მომენტი შეადგენს  
ამ დასკვნის საფუძველს.

ერთის მხრივ რეფორმამ თითქოს გზა გაუხსნა სასაქონლო და  
მაშასადამე, კაპიტალისტურ მეურნეობას; მეორე მხრივ დასტოვა გა-  
ტრინგმობის მრავალი ნაშთი: მემამულების ხელში დარჩა მიწის ათე-  
ული მილიონი დესეტინები და მთელი სახელმწიფო ბრივი ძალაუფ-  
ლება; გლეხობას კი 4 ეფორმისაგან ერგო ჩამოქრილი ნადელები,  
მიწის გამოსაყიდი დიდი ვალი და შებორკილი იქნა თემზე მიმაგრე-  
ბით და ურთიერთის თავდებობით.

1) ლენინი, ტ. XIV, გვ. 405, მე-3 რუსული გამოცემა.

თავისთვის ცხადია, რომ რეფორმის ერთსაცა და მეორე მხედვები არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინათ რეფორმის შემდევებად დროის რუსეთის ეკონომიკურ განვითარებაზე და კლასთა არისტოკრატიულებაზე. ვნახოთ რაში ჰქონდა ამან თავისი გამოხატულება.

რეფორმის შემდეგ გლეხობის მეურნეობა უფრო ფართოდ და მჭიდროდ უკავშირდება ბაზარს. მუდმივი საჭიროება ფულისა ბაზარისაკენ ერკებოდა გლეხობის უმრავ მასებს. მიწის გამოსაყიდათ, ხარჯების, გადასახადების, იჯარის და სხვ. გასასტუმრებლად — ყველა-ფრისათვის საჭირო შეიქნა ფული. ფულის შოვნა კი შეიძლებოდა ბაზარზე ან რაიმე პროდუქტების, ან საკუთარი ძალონის გაყიდვით. როგორ მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა გლეხობის მონაწილეობა ბაზარზე ყიდვა-გაყიდვაში პირველ 30—40 წელიწადს რეფორმის შემდეგ? რეფორმაში ბაზარზე შემოსულ 100 ფუთი პურისაგან გლეხობას კეთვნობდა სულ 10 ფუთი. რეფორმის 40 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე აუარებელა პური შემოდიოდა, მაინც გლეხობის პური დიდათა სჭარბობდა. — ყველ ასი ფუთიდან მას უკვე 70—80 ფუთი პური კეთვნობდა. უგუნურება იქნება გეო-ფიქრი, რომ გლეხობის უძრაველესობა მოვარბებულ პურსა პყიდდა. პირიქით, გლეხობის უმეტესობისათვის პურის გაყიდვა უკანასკნელ ფუთის გაყიდვას ნიშნავდა. მარტო სოფლის მყირერიცხოვან ზედა-ფენებისათვის იყო სინამდვილეში სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა მოვარბებულ საქონლის გასაღება.

თუ გლეხის პროდუქციის ბაზარზე გამოტანა გვისახავს გლეხს, როგორც გამყიდველს, გლეხობის გასავლის ბიუჯეტები მეტყველებენ მასზე, როგორც საქონლის მყიდველზე. გლეხთა ბიუჯეტების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის დამლევისათვის გლეხი თავის გასავლის ნახევარს ფულადი ფორმით ჰქარავდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ შეძლებული და ლარიბი გლეხობის ბიუჯეტები უფრო მეტად იყვნენ ფულიანი. შეძლებულების შესხებ იმაში იქვიც არ დაგვებადება. რაც შეეხება ლარიბ კომლებს, აქ საქმე იმით აისწნება, რომ ყველაზე მეტად და ყველაზედ ხშირად ლარიბი კომლები ჰყიდდენ თავიათ ს-მუშაო ძალის, თავს ირჩენდენ აღმდებული ბელფასითა და ძალებულნი იყვნენ ბაზარზე შეძინათ პირადი მოხმარების საგნები. გლეხობის მეურნეობის მიერ ბაზარზე ფეხის შედგმა მოწმობს, რომ იგი სასაქონლო მეურნეობად იქცეოდა. გლეხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უბრალო მწარმოებლისაგან, როგორიც იყო ბატონი, ყმობის დროს, თანდისთანობით საქონლის მწარმოებლად, წვრილ-ბურჟუად იქცეოდა.

მაგრამ სოფლის ეკონომიკური და სოციალური წინსვლა მარტო ამით არ განისაზღვრებოდა.

სასაქონლო შეურნების საფუძველზე დაიწყო სოფლად კლასობრივი დიფერენციაციის შედარებით სწრაფი პროცესი. თუ ძეველი ბატონი ყმური სოფელი უმთავრესად მარტო უბრალო ქონებრივ უთანასწორობას და ამა თუ იმ ოჯახის შედარებით სამეურნეო უზრუნველ-

ყოფას იცნობდა, რეფორმების შემდეგი დროის სოფელში ქონებაზე უთანასწორობა უკვე კლასიკური უთანასწორობათ გადაიქცა. სოფელის მდიდარი უკვე ლარიბის ექსპლოატატორი-კაპიტალისტურული

რამდენად შორის წავიდა სოფლად კლასიკური ტექნიკური პრინციპები პროცესი, ესა სხანს შემდეგი ციფრებიდან: XIX საუკუნის დამლევი-სათვის ყოველ ასი გლეხის მეურნეობიდან იყო: ლარიბი კომლი—50, საშუალო—30 და კულაკური—20.

თვითერლ ამ ჯგუფთაგანის ეკონომიკური სიძლიერის დანახვა შეიძლება შემდეგი ცნობებიდან: ლარიბი კომლების 50 პროც. ფლობ-ლა 33—37 პროც. სანადელო და 15 პროც.-მდე ნაყიდ მიწას, მაშინ, როცა კულაკების კომლების 20 პროცენტს ჰქონდა 33-36 პროც. სანადელო და 90 პროც.-მდე ნაყიდი მიწასა.

გლეხობის კლასიკური დიფერენციალის პროცესს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმ მიმართულების გასავარად, რომელსაც დაადგა სოფელი თავის ეკონომიკურ განვითარებაში რეფორმების შემდეგ. ეს დაგვარწმუნებს, რომ სოფელმა უკვე შესდგა ფეხი კაპიტალისტურ განვითარების და ყველა მისგან გამომდინარე წინააღმდეგობათა გზაზე.

„ამ ბატონყმურ ექსპლოატაციას, რომელიც ფაქტიურად ისევ ძალაში დარჩა რეფორმის შემქენლი და განმხორციელებელი ჩინოვნიერების წყალობით, დაერთ კიდევ კაპიტალისტური ექსპლოატაცია. ფულის ძალა და გავლენა, რამაც წელში გასტეხა, მაგალითად, თვით ფრანგი გლეხი, რომელიც ბატონყმური უღლიდან გაანთავისუფლა არა უბადერუქმა და უსუსურმა რეფორმამ, არამედ ხალხის ძლევამოსილმა რევოლუციამ,— ფულის ეს ძალა და გავლენა ახლა მთელი თავისი სამძიმით დააწევა ჩვენს ნახევრად-ყბა გლეხს ფული მას აუცილებლად უნდა ეშვენი, რაც არ უნდა მომხდარიყო: ფულის სახით უხდა შეეტანა გადასახადები, რომელიც ასე გაადიდა კეთილმყოფელმა რეფორმამ, ფული ესაჭიროება მიწის იჯარით აღებისათვის, იგივე სჭირდებოდა საფაბრიკო მრეწველობის იმ ცირკონდენ პროდუქტების საყიდლად, რომლებმაც თანდათან დაიჭირა გლეხის შინ ნაწარმოები პროდუქტების აღვილი, ფული სჭირდება აგრეთვე პურის საყიდლად და სხვ. ფულის ძალამ არა მხოლოდ გასტეხა, არამედ გათიშა კიდეც გლეხობა: უამრავი მასები საბოლოოდ ლატაკდებოდა და პროლეტარებად ხდებოდა, დანარჩენიდან გამოიყოფებოდა ხომე მცირე ჯგუფი კულაკებისა და წელმაგარი მეურნე გრეხობისა, რომლებიც თანდათანობით ხელში იგდებდენ გლეხების მეურნეობას და გლეხთა მიწებს და ამრიგად აღვენდენ სოფლის მოზარდ ბურეუაზიის კადრს“. <sup>1)</sup>)

კაპიტალისტური განვითარების პროცესი მემამულეთა მეურნეობასაც შეეხო მთლიანად. ჩვენ აქ მიზნად არა გვაქვს დასახული

1) ლენინი, ტ. IV, გვ. 113 (ქართული გამოცემა).

მემამულეთა მეურნეობაში კაპიტალიზმის დამყარების პროცესის ათი წერვა, აღნიშნავთ მხოლოდ მოკლედ მემამულეთა მეურნეობაში მეურნეობაში ტალისტურ საფუძველზე გარდაქმნას. XIX საუკუნის 80-ან წლების დათვის ლენინმა ასეთი ანგარიში გამოიყვანა:

1.	გუბერნიიგბი მოგარდებული ბატონყმური შეურნეობებით . . . .	19
2.	კაპიტალისტური . . . .	17
3.	გუბერნიიგბი, სადაც ერთნაირად იყო გავოცელებული როგორც ბატონყმური, ისე კაპიტალისტური სისტემა . . . . .	9

ეს ცნობები ნათლად გვისახავენ მემამულეთა რეფორმის შემდეგი დროის მეურნეობის ეკონომიკის ხასიათს. ძველ, ბატონყმურ წესებს მიემატა ახალი, კაპიტალისტური წესები. ერთ ადგილზე ძველი წესები სპარბობდენ ახლებს, მეორეზე — ახლები ძველებს.

ერთ-ერთ თავის შრომაში ლენინმა ასე დახასიათა სოციალურ-ეკონომიკური წინსელის ნაბიჯები რეფორმის შემდგომი დროის მიზადმოქმედებაში:

„რეფორმის შემდგომი დროის ისტორია ხასიათდება კაპიტალის შექრით სამიწადმოქმედო მეურნეობაში. მემამულები გადადიოდენ (ნელად თუ სწრაფად — ეს სხვა სიკითხია) ნებაყოფლობით დაქირავებულ შრომაზე... ისინი ამაღლებდენ ტეხნიკას და ცდილობდენ მანქანების შემოლებას... გლეხურ მეურნეობაში ცხადად გამოაშვარივდა გლეხობის დაშლა-დანაწილება სოფლის ბურჯუაზიად და პროლეტარიატად“.<sup>1)</sup>

კაპიტალიზმა უფრო ძლიერ მოიყიდა ფესვი იმ რაიონების მემულეთა და გლეხობის მეურნეობაში, სადაც 1861 წლამდე ნაკლებად იყო განვითარებული ბატონყმობა ან იმ რაიონებში, რომლებშიაც უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდენ სასაქონლო მეურნეობის განსავითარებლად. ასე, მაგალითად, კაპიტალიზმის განვითარების სიმძლავრის მხრივ განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა ცენტრალური სამრეწველო რაიონი, სადაც ბაზრის პირობებიც უკეთესი იყო და გლეხობასაც მიწადმოქმედების გარეშე სხვა საშორებაზე გასვლის სრული შესაძლებლობა ჰქონდა ასეთსაცე პირობებში აყვნენ აგრეთვე ყოფილ რუსეთის დასაცლეობის და სამხრეთის განაპირა მხარეები: ნოვოროსია, უკრაინის მარჯვენა მხარე, ვოლგის ნაპირები, ჩრდილო-კავკასია და სხვ.

მეტად სუსტად ვითარდებოდა კაპიტალისტური მეურნეობა ცენტრალურ-შავნიადაგიან რაიონში, მაგალითად, პენზის, სიმბირსკის და სხვა გუბერნიიებში.

ახლა ჩვენ უვავ დავუახლოედით რეფორმის შემდეგი დროის სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე ბატონყმობის ნაშთების გავლენის საკითხს.

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. I, გვ. 442 (კართული გამოცემა).

ვინაიდან მებატონე-მემამულეებს ხელში შერჩათ მიწაცა და სახელმწიფო ბრივი ხელისუფლებაც (თვითმშეყრობელობა იყო—მებატონე-მემამულეების დიქტატურა), გლეხობას კი წილად ხვდა უფარვისი, ძნელად გამოსაყენებელი „კატის“ ნადელები, რომელიც მიმარებული იყვნენ სხვადასხვა ხრიკებით,—სოფელი წარმოადგენდა მეტად ნაყოფიერ ნიადაგს მეურნეობის გარდამავალ ბატონყმური ფორმებისა და ბატონყმურ ურთიერთობის არსებობისათვის.

სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას ძლიერ აბრკოლებდენ ბატონყმობის ნაშთები. განვიხილოთ, რა გავლენას ახდენდენ ისინი გლეხობის და მემამულეების მეურნეობაზე.

1861 წელს მემამულისაგან გაყველევილი გლეხი იძულებული იყო ლუქმა პურის საშონელად იჯარით აეღო მემამულის მიწა. გლეხობას იმდენი სალსარი არ ჰქონდა, რომ დიდი მიწის ნაკვეთები და გრძელი ვადით აეღო იჯარით, ამიტომ უმრავლესობა წერილ ნაკვეთებს იღებდა იჯარით და ისიც მოკლე ვადით, ხოლო იჯარის იხდედა თავისი მუშაობით მებატონის მინდორზე და არა ნალიდი ფულით. ფართოდ გავრცელდა იჯარის გადახდა შრომით.

იჯარის შრომით გასტუმრება საბატონო ბევრის პირდაპირი გაგრძელება იყო. წინანდებურად გლეხი ისევ თავისი საკუთარი ინკვენტარით ამჟავებდა მემამულის მიწას. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ის წინად მემამულესათვის მუშაობდა, რადგან ამ უქანასენელის საკუთრებას შეადგენდა; ეხლა კი მიწის პატარა ნაკერის საიჯარო ფასი თავისი მუშაობით უნდა გადაეხადა.

მეტად მძიმე ტვირთი იყო გლეხობის მეურნეობისათვის მიწის წრილი ნაკვეთების იჯარით აღება მოკლე ვადით და იჯარის გადახდა შრომით და არა ფულით. საიჯარო გადასახადი თნქავდა იჯარით აღებულ მიწის შემოსავლიდან მიღებულ ყოველ მანეთიდან 80 კაპეიკამდე, გინდ იმასაც ნუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იჯარით აღებულ მიწის დამუშავებას ანდომებდა გლეხი გაზაფხულისა და ზაფხულის ძვირფას დღეებს.

მიწის დიდი მოთხოვნილება იწვევდა მემამულეების მხრიց საიჯარო ფასის გადიდებას და ამასთან შეფარდებით შალლა იწვევდა მიწის ფასიც.

თუ მებატონე იჯარით აღრჩობდა გლეხს, მთავრობა გადასახადების სახით აქერდა მაგრად ფეხს. მეფის გადასახადების პოლიტიკა ბატონყმობის სულით იყო მთლად გაელენით. საკმარისია მიუთითოთ ისეთ ფაქტზე, როგორიც არის განსხვავება მემამულეებისა და გლეხობის მიწის დაბეგვრაში: მიწის ფართობის ერთეულში (მაგალითად, დესტინაში) გლეხი 10—12 კერ მეტ გადასახადს იხდიდა, ვიდრე მემამულე. პრაქტიკაზე ეს აი რას ნიშნავდა: XIX საუკუნის 70-ან წლებში შევმიწან გუბერნიებში გადასახადი აღემატებოდა

1½-დან 3½-მდე გლეხის მიწის წმინდა შემოსავალს, ხოლო არა შემოსავალს, მიწიან გუბერნიებში 6½-ჯერაც კი.

„ნადელის“ წმინდა შემოსავალი გლეხს გადასახადის მისაცემადაც კი არა ჰყოფნიდა. ის იძულებული იყო დანაკლისი ან მემამულისა-გან იჯარით აღებულ მიწით შეეცნო, ან გარე სამუშაოზე გასულიყო. მაგრამ ჩევნ უკვე ვნახეთ, რა მძიმე იყო გლეხთა ოჯახების უმრავ-ლესობისათვის მიწის იჯარით აღება. გლეხებისათვის მოჯადოებული წრე იქმნებოდა: თუ მიწის იჯარით არ აიღებდა, ვერ იცხოვრებდა, თუ აიღებდა — იჯარა სულს უხუთავდა.

ადვილი მისახვედრია, რა შედეგები უნდა მოჰყოლოდა გლეხო-ბის მეურნეობის ასეთ მდგომარეობას. აქ ჩევნ მიუთითებთ ორ უ-თავერეს მოვლენაზე: პირველია — შიმშილი სოფლად, მეორე გლეხური მასის გაღიტავება. აი სანიშუშო დასურათება სოფლის გაღიტავებისა.

სამარის გუბერნიის, ნიკოლოზის მაზრის, სოფ. დერგუნოვის შესახებ 1887 და 1891 წლების შედარებითი ცნობები გვაჩვენებენ ცხენების რაოდენობის ასეთ ცვლილებას:

კ ი მ ლ ე ბ ი	1887 წ.	1891 წ. ოქტომბერი	მომ-ტება + დაკლება — % - ბში
უცხენო გლეხები . . . . .	5	29	+ 48
ერთ ცხენიანები . . . . .	14	29	+107
ორცხენიანები . . . . .	32	23	- 12
ოთხცხენიანები . . . . .	14	7	- 50
ხუთი და შეტი ცხენიანები . . . . .	35	7	- 80

არა ნაკლებ საგულისხმიერონი არიან მუშა საქონლის შემცი-რების ციფრები სამარის გუბერნიის ზოგიერთ თემებში 1891 წ. ყოფილ შიმშილობის წელიწადში.

### 1892 წ. 1 იანვრისათვის სამონეტი დაკლება ( $%/_{\circ}$ -ბში).

იგანვის თემს . . . . .	74
ლიპოვეცის თემს . . . . .	67
ნოვოტულის თემს . . . . .	67
კუჩომიევის თემს . . . . .	61
შანგინის თემში . . . . .	45

ქაპიტალიზმი ბატონიშვილის ნაშების საშუალებით იყავავდა გზას მიწადმოქმედებაში. სწორედ ამისათვის იყო ასეთი მტანჯველი მეურნეობის გარდაქმნის პროცესი გლეხობის უამრავი მასისათვის.

„გლეხი და გლახავდა, მისი ბრნა და ნანირის ბინა ერთი იყო, ეცვა ძონები, იკვებებოდა ბალაბ-ბულახით; გლეხი გაექცა თავის ნადელს, რა წამსაც კი დაინახა გასაქცევი ადგილი, კიდევ ნეტი —



თავი გამოიყიდა ნადელიდან, თითონვე პირიქით აძლევდა და უფლება იმას, ვინც დასთან მდებოლა მისგან მიეღო ნადელი, რომელის უფლება სახადი მის შემოსავალს სჭარბობდა. გლეხები ქრონიკულად შიმშილობდენ და მთელი ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და სხვადასხვა ჭირისავან მოუსავლიანობის დროს, რაც სულ უფრო და უფრო მეორცებოდა<sup>1)</sup>.

ბატონიშვილის არ შეეძლო კაპიტალისტური განვითარების შეჩერება, მაგრამ მეტად მაზიჯ ფორმებს აძლევდა უკანასკნელს და ანელებდა მის ტემპსა.

ავილოთ მემამულების მეურნეობის გადასცელა კაპიტალიზმზე. მემამულეს ეკუთხნოდა მიწის დიდი ფონდი, სოფელები მიმაგრებული მცირე მიწიანი გლეხობა იძულებული იყო მისი მიწები იჯარით აელო და ამიტომ მას არავითარი განსაკუთრებული სურვილი არა ჰქონდა კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასასცლელად. იჯარის კაბალური პირობები უზრუნველყოფდნ ნ მემამულისათვის დიდ შემთხვევალს, ხოლო იმავე მოიჯარადრების შრომითა და ინვენტარით შეეძლო მას ეწარმოებინა თავისით ნახევრადბატონიშური მეურნეობა, ისე რომ არაუკრი დახარჯოდა.

გლეხობის მასა კი შეუჩერებლივ დატაქდებოდა იჯარის მაღალი ფასების, გადასახადების და სამოქალაქო უფლებების მოკლების გამო. თვით ფაქტი სოფლის გაღატაებისა ძირს უთხრიდა მეურნეობის ბატონიშური წესით — მიწის იჯარის შრომით გადახდის საშუალებათ — დამუშავებას. გლეხი ჰყარგვდა ცხენს, იარაღს და მაშასადამე, თავის მნიშვნელობასაც მემამულესათვის: ის ვეღარ გადაუხრიდა მიწის იჯარის შრომით, რადგან ალარ იღებდა საჯარო მიწას. სოფლის გაღატაება და პროლეტარიაცია შეუდრევლივ აიძულებდა მემამულის მეურნეობას დაქირავებულ შრომაზე და საკუთარ ინვენტარზე გადასცვას. მაგრამ თუ მემამულის მეურნეობის მიწის იჯარის შრომით გისტუმრების წესით დამუშავება აუცილებლივ უნდა დარღვეულიყო, ბატონიშური მეურნეობას გზა კაპიტალისტურ მეურნეობისაკენ დაკავშირებული იყო სოფლის სიღატაკესა, სიმშილსა და ამოწყვეტასთან.

მემამულე დაინტერესებული იყო იატი მუშაობელით, ამისათვის იგი სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას მიმართავდა და ცდილობდა გლეხები არ გაქცეველნენ სოფლის სიღარიბეს, არ დაეტოვებინათ თავიანთი უბადესუკი მეურნეობანი. ამ რიგად გლეხი მიმული იყო სოფელზე და მეტი არა ჰქონდა, წინანდელსავით იჯარით უნდა აეღო მემამულის მიწა და სრულიად მცირე ხელფასით ემუშავნა მემამულის მინდონზე. ამ შერიც დამახასიათებელია 80-იანი წლების კანონმდებლობა, რომელსაც ექ მოკლედ გავეცნობით.

1886 წელს მთავრობა სცემს კანონს სასოფლო-სამეურნეო შების დაქირავების შესახებ. ამ კანონის ძალით სასოფლო-სამეურნეო მუშას მემამულის ნებადაურთველად არ შეეძლო მუშაობის და-

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. IV, გვ. 113 (ქართული გამოცემა).



ტოვება მის (მემამულის) შეურნეობაში. თუ თავისი ნებით წაგიდოს, მაშინ პასუხიაგებაში ეძლეოდა ოოვორც სამოქალაქო მუნიციპალიტეტის სისხლის სამართლის წესით, ე. ი. მუშას მოეთხოვებოდა მემამულე-საგან ვადაჲე აღრე წასვლით მიყენებული ზარალის ანაზღაურება და იღევნებოდა ოოვორც დამნაშავე, თუმცა მთელი მისი „დანაშაული“ მიაში გამოიხატებოდა, რომ მას სხვადასხვა მიწერების გამო აღარა ჰსურდა ამ მემამულესთან მუშაობა.

1888 წლის მეორე კანონით შეზღუდული იყო ოჯახური გაყ-რის უფლებები, 1893 წლის კანონით კი შეზღუდული იყო სათემო მიწების ხელახლათ დაყოფა, მოლოს 1893 წ. 14 დეკემბრის კანო-ნით აკრძალული იყო გლეხობის მიწების გაყიდვა და დაგი-რავება.

ყველა ამ კანონებს ერთი აზრი ჰქონდა: მთავრობას სურდა ადმინისტრაციული წესებით აეძულებინა გლეხები სოფლებში მსხდა-რიყენენ, უზრუნველეყუოთ მემამულები იაფი მუშა-ხელით და იჯა-რით აეღოთ მათთვის მასტულები კაბალურ პირობებში.

მეორე მხრივ, რომ „ზრუნვა“ გლეხობის შესახებ დაეყვანათ თვითოულ კომლამდე, რომ უფროსების „მზრუნველ“ თვალს გლეხი სიკვდილის დროსაც კი არ გამოჰქონდა, 1889 წლის 12 ივნისის კანონით დაარსებულ იქნა ერობის უფროსების თანამდებობაში.

გართალია ბატონყმური ნაშთები აძნელებული მიწადომექედება-ში გლეხობის შორის კაპიტალისტური მწარმოებლების გაჩენას, მა-გრამ სწორედ ბატონყმობის ეს ნაშთები იყო მიზეზი სოფლად კაპი-ტალის ჩამორჩენილი ფორმებისა—სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალისა. როდესაც გლეხობის მასა ერთის მხრივ იძულებულია ფული იშოვოს, და მეორე მხრივ კი დაბეჭიდებულია ბატონყმური კაბალით და მიმაგრებულია თავის ნადელზე, მაშინ უდგებათ ხელსა-ყრელი პირობები კულაკებისა და მევახშეებს. სოფლის წელმაგარი გლეხი ასეთ შემთხვევებში თავის კაპიტალს იყენებს როვორც ვაჭა-რი და ოოვორც მევახშე (ფულს ასესხებს სარგებლით).

გლეხობის ექსპლოატაცია შევახშესა და ჩარჩ-ვაჭარს შეძლებას აძლევს „ერთი-სამათ“ აიღოს სარგებელი. გვევლინება სოფლის მკა-მელის ფიგურა, რომელიც სოფლის მეორევარ მებატონედ იქცივა. მიწის იჯარის კაბალური პირობები და მიწაზე დაწესებული დიდი ფასები სოფლის შეძლებულ ფენებს ხალისს უკარგავს წარმოებაში კაპიტალების დაბანდებისას, მაგრამ იგივე პირობები და მათთან ერ-თად მთავრობის თავისადაზღაურობისათვის „ზრუნვის“ და გლეხობისა-თვის „მეურვეობის“ გაწევის პოლიტიკა სასურველ ნიაღავს ჰქმნიან იმისათვის, რომ ვაჭრობამ (ჩარჩობამ) და მევახშეობამ (ფულით ვაჭ-რობამ) უაღრესად დიდი მოვება ნახონ. სწორედ ამით აისწერა ის გარემოება, რომ საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა ჩარჩისა და მევახშის კაპიტალისტურ მწარმოებლად გადაქცევა. რამდენად საზიზღარი იყო თვით კაპიტალისტური ექსპლოატაცია.

თავისუფალ კაპიტალისტურ განვითარების ფართო გზაზე და  
საყინებლად ერთი გზა იყო — ეს იყო გზა თვითმშერობელობის გზაზე  
ხობისა და მემამულეთა მიწადმფლობელობის ლიკვიდაციისა. კაპი-  
ტალისტური განვითარების პრესიული გზა, რომლითაც შეძარონე-  
ბებამულენი ცდილობენ მიემართათ რუსეთის განვითარება 1861  
წლის შემდეგ, ეს იყო გზა ნელი ევოლუციისა კაპიტალიზმისაკენ,  
გზა კაბალისა, შემშილისა, სიღარაჟისა და ფიზიკური გადაშენებისა.  
მხოლოდ სოფლის მცირებიცხოვანი ზედაფენები ახერხდებენ მწარ-  
მოებელ-კაპიტალისტების რიგებში ჩადგომის და ეს ზედაფენებიც,  
ვიხიადან წარმოშობილი იყვნენ მემაშულეთა მიერ გაღატავიბულ  
სოფლის ჩაგვრის საფუძველზე, დიდხანს ინარჩუნებდენ დანიავებულ  
გლეხობის ნახევრად ბატონიშვილი ექსპლოტაციის მეთოდებს.

„რუსეთის სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითა-  
რების უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენლენ ბატონიშვილის ნაშ-  
თები, ე. ი. მიწის იჯარის შრომით გასტუმრება და უწინარეს ყო-  
ვლისა — კაბალა, შემდეგ ბატონყმობის გადასახადები, გლეხის არა-  
სრულუფლებიანობა, მათი დამცირება უმაღლესი წოდების წინაშე და  
სხვ. დიდი ხანია საჭირო იყო მეურნეობისათვის ამ ნაშთების მოს-  
პობა, ხოლო XIX საუკუნის დამლევს კრიზისი არაჩვეულებრივად გა-  
მწვავდა იმიტომ, რომ მიწის იჯარით მუშაობით გადახდამ და კაბა-  
ლამ დიდხანს იარსებეს და ძლიერ გავიანურდა რუსეთის საშუალო  
საუკუნების წესებიდან განთავისუფლების პროცესი“<sup>1)</sup>.

ეს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისათვის სამი ძირი-  
თადი პირობაა საჭირო: საქონლის გასასაღებელი ბაზარი, მუშა-ხე-  
ლის კალრები და კაპიტალი.

რკინის გზების დაჩქარებული შენებით გამოწვეული გლეხური  
მეურნეობის საქონლიანობის ზრდა, ხაზინის მოთხოვნილება, კერძოდ  
საქონლის ნაწილობრივ საზღვარგარედ გატანა და ბოლოს თვით  
მრეწველობის მოთხოვნილება, რომელიც იზრდება მრეწველობის გან-  
ვითარებასთან ერთად — ყველა ეს უწმიდა მრეწველობის ბაზარს,  
როგორც მისი განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთ პირობათაგანს.

სამრეწველო კაპიტალიზმისათვის საჭირო მუშათა არმიის რე-  
ზერები ნაწილობრივ წარმოშვა 1861 წლის რეფორმამ, რომელმაც  
ქუჩაში გამოყარა ათიათასობით ნაყმევი და მიწის ნადელებს მოკლე-  
ბული გლეხობა. მეორე მხრივ სოფლის კლასობრივ ფენებათ დაყო-  
ფამ ზედმეტად გახადა მეურნეობაში მრავალი მუშა-ხელი, რომელსაც  
თავისი გამოყენება ფაბრიკა-ქარხნებში უნდა ექება.

მართალია, შინაური კაპიტალის დაგროვება იმდენად მნიშვნე-  
ლოვანი არ იყო, რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა კაპიტალზე,  
მაგრამ ეს ნაკლი შეავსო რუსეთში დასავლეთ ევროპიდან შემოჭრი-  
ლმა კაპიტალმა.

1) ლენინი, ტ. XII, გვ. 266, გამოც. 3. (რუსული).

სამრეწველო-კაპიტალისტურ განვითარებისათვის ზემოდასახუ-  
ლებულ სამი საქირო პირობის შექმნამ, მთავრობის მფარველობის  
პოლიტიკასთან ერთად, შეამზადა XIX საუკუნის 90 იან წლის მდგრა-  
რუსეთის მრეწველობის „აყვავება“. ვიდრე 90-იან წლების სამრე-  
წველო აღორძინებას შევეხებოდეთ, საჭიროდ მივვაჩინა შევჩერდეთ  
წარსულ ათწლედების სამრეწველო განვითარების შედეგებზე.

სამრეწველო განვითარების წარმატება ჩევეულებრივად ისეთი  
მაჩვენებლითა ხასიათდება, ოოკონიც არიან, პროდუქციის ზრდა,  
მომუშავეთა რიცხვის გადადება, მაღაზი ტეხნიკა და მუშათა კონ-  
ცენტრაციის ხარისხი. რეფორმების შემდეგ პირველ 2—3 ათწლე-  
დის განმავლობაში სამრეწველო განვითარების შედეგები უდავოდ  
მოწმობენ კაპიტალისმის ხრდას.

1865 წლიდან 1890 წლამდე გაიდამუშავებული ბაზის რაოდე-  
ნობა ხუთჯერ გადიდა (2950 ათასი ფუთიდან 367.203 ათას ფუ-  
თამდე), თუმცი დნობა სამჯერ გადიდა (17.397 ათასი ფუთიდან  
1865 წელში 55.219 ათას ფუთამდე 1890 წ.). მუშების რიცხვი ერ-  
თი ორად გაიზარდა (706 ათასიდან 1865 წ.—ერთმილიონ 432 ათა-  
სამდე 1890 წ.).

კაპიტალისმის ზრდას თან სდევდა მსხვილი წარმოების ზრდა.  
მსხვილი ფაბრიკების რიცხვი, საღაც 100 კაცზე მეტი მუშაობდა,  
თუ 1866 წელს 644 იყო, 1879 წ. იყო 856, ხოლო 1891 წი—951.

მრეწველობის განვითარების შედეგები სჩანს აგრესუ მუშა-  
ხელის კონცენტრაციიდან, მუშათა მასების დიდი რაოდენობით თავ-  
მოყრიდან მსხველ საწარმოებში. ასე, მაგალითად, 1866 წელს იმ  
მსხვილ ფაბრიკების მუშების რიცხვი, საღაც 1000 კაცზე მეტი მუ-  
აშაობდა, შეადგენდა ყველა მუშების 27%, 1879 წელს კი მუშაობდა  
სეთ ფაბრიკებში დაახლოებით 40 პროც. მრეწველობაში ჩაბმულ  
ყველა მუშებისა, ხოლო 1890 წ. ამ პროცენტში 46-მდე აიწია.

მაგრამ ამ პერიოდში ჯერ ისევ ჩამოჩენილი ტეხნიკა იყო  
გამეფებული ფაბრიკებში.

ყოველმხრივი წინსვლა დაეტყო რუსეთის მრეწველობას უკვე  
90-იან წლებში, როდესაც რუსეთი განიცდიდა ეკრეატოლებულ  
ამერიკული აღმარინების ხანა ს.

სამრეწველო აღმარინება XIX საუკუნის 90-იან წლები.

სამრეწველო აღმარინებას პირველყოფილისა ხელი შეუწყო  
90 იან წლებში ფართოდ წარმოებულმა რკინის გზების მშენებლო-  
ბამ. მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს:

ავინიაზლის რკინის გზები.

წლები	გერსების რიცხვი	წლები	გერსების რიცხვი
1889—1891	1.239	1895—1897	5.916
1892—1894	3.778	1898—1900	10.893



რკინის გზების მშენებლობა ნაკარნახევი იყო მემამულეთის მეშვეობა  
რნეობის ინტერესებით, რომელსაც კარგი სავაჭრო გზები ესაქტრის  
ბოდა, მით უმეტეს რომ ამ წლებში სასოფლო მეურნეობა დიდ  
კრიზისს განიცდიდა. აი ამიტომ გადაშალა მთავრობამ თავისი სიუ-  
ნების კალთა მრეწველებს. მაგალითად ამერიკელმა იუზმა იუზმის კი-  
ნარხების გადაკეთებაში, დიდი სესხის გარდა, მიიღო პრემიად კი-  
დევ 50 კაპეიკი დამზადებულ რელსების ყოველ ფუტზე. მთავრობის  
ასეთი სიუნევი აძლევინებდა კაპიტალის ტებს აეშენებინათ ფაბრიკა-  
ქარხები და შეედგინათ სხვადასხვაგარ მშარმოებელთა კიბპანიე-  
ბი. რუსეთში დიდი სამრეწველო მშენებლობა დაიწყო.

90-იანი წლებში აღორძინებულ მრეწველობის განსაკუთრე-  
ბულ თვისებად უნდა ჩაითვალოს მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ზრდა.  
1890—1900 წლების პერიოდში თუჯის წარმოება სამჯერ გადიდდა,  
რკინისა და ფოლადისა—ორნახევარჯერ, ქვა-ნახშირის ამოლება  
ოთხჯერ გადიდდა, ნავთისა—თითქმის სამჯერ. უფრო ნაკლებად  
მნიშვნელოვანი ზრდა ეტყობა მსუბუქი მრეწველობის დარგებს. ასე  
მაგალითად, აღნიშნულ ათწლედში გადამუშავებული რაოდენობა  
გადიდდა ორჯერ, ან ცოტა ნაკლებ.

მრეწველობის ზრდა ამ პერიოდში ყურადღებას იქცევს იმი-  
ტომ, რომ წინა ათწლედის პერიოდში ძლიერ დაბალ დონეზე იდგა  
მრეწველობის განვითარება ას მილიონ შეხოვრებით დასახლებულ  
ქვეყანაში.

ახლადდაარსებულ მრავალ საწარმოთა სამრეწველო პროდუ-  
ქციის დიდად მნიშვნელოვანია ზრდამ გამოიწვია ამავე დროს წარ-  
მოების სწრაფი თავის მოყრის პროცესი მსხვილ საწარმოებში. მაგ.,  
ქვანახშირის ამოლების დარგში უდიდესმა საწარმოებმა, რომლებიც  
ყველა ნახშირის ამომლებ საწარმოების 2 პროც. შეადგინდენ, დონის  
ბასენიში თავი მოუყარეს თავის ხელში მთელ რუსეთში ამოლებულ  
ნახშირის 23 პროც. იმ საწარმებს, რომლებიც წელიწადში სამ მი-  
ლიონ ფუთ ქვანახშირის იღებდენ, წილად ხელათ მხოლოდ მთელ  
ამოლებულ ნახშირის 100%, თუმცა ქვანახშირის მომლებ საწარმოთა  
შორის ეს წვრილი საწარმონი თავისი რაოდენობის მხრივ 86 პროც.  
შეადგინს. ასევე ხდებოდა დანარჩენ დარგებშიაც.

წარმოების კონცენტრაცია იწვევს მუშა-ხელის კონცენტრა-  
ციას. მუშა-ხელის განაწილება იმავე დონის ბასეინის საწარ-  
მოებში საქმაონ ხასიათლება შემდეგი ცნობებით: 13 მსხვილ და სა-  
შუალო საწარმოში თავმოყრილი იყო ნახშირის ამოლებაზე მომუშავე  
დონის მუშების 83 პროც.-ზე მეტი, დანარჩენ წვრილ საწარმოთა  
86 პროც.-ს კი ჰყავდა სულ 17 პროც. მუშა-ხელისა. თუ ერთ მსხვილ  
და საშუალო საწარმოზე 1403 მუშა მოდიოდა, ერთ წვრილ საწარ-  
მოზე სულ 23 კაცი მოდიოდა.

როგორც წარმოების მაშტაბის, ისე მომუშავე მუშა-ხელის  
რაოდენობით ისეთ უდიდესი სამრეწველოები ჩამოყალიბდა 90-იან  
წლებში, როგორც მეტალურგიული ქარხები, დონის ბასეინის ქვა-  
ნახშირის მალაროები, ბაქოს ნაეთის სარეწომები და სხვ.



XX საუკუნის დასაწყისის რუსეთი ხასიათდებოდა შემცვევაზე ერთის მხრივ უდიდესი საწარმონი, შეიარაღებული ახალგაზისტებით და მომარავებული რამდენიმე ათასი მუშა-ხელით. მაგ. დონის საწარმონი და სხვა, მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობა წარმოების ძეგლებური წესებით, რომელსაც აწარმოებდა გაქირებით, გადასახადებით კულაჟური კაბალით და უფლებებით დაჩაგრული-დაბეგაჩე-ბული გლეხი ამაში მდგომარეობდა რუსეთის ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობა.

ასეთ კვეყანაში კაპიტალიზმის დროს აუცილებელი სამრეწველო კრიზისები მეტად მძიმე, ლრმა და ხანგრძლივინი არიან, სწორედ ასე დაემართა რუსეთის მრეწველობას XX საუკუნის დასაწყისში. ამ ფაქტში თავი იჩინა ახალი სახით მებატონე-მემამულის გამატონებამ, რომელიც სცარცვავდა მომარავებელს—გლეხს. მებატონე-მემამულენი და მათი მთავრობა მფარველობდენ მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც საჭირო იყვნენ მემამულეთა მეურნეობისათვის და სახელმწიფოსათვის, ხოლო ძლიერ ავიწროვებდენ რუსეთის მრეწველობის შინაურ მოთხოვნილების ბაზას.

ნამდვილ გამოსავალი ამ ჩიხიდან, მაგრამ არა საერთო კრიზისებიდან—განთავისუფლების გზა იყო ერთადერთი—ბატონიშვირი ჩავრის ნაშთების შოსპობა და მებატონე-მემამულის ეკონომიკური (მსხვილი მიწა-დამფულობელობა) და პოლიტიკური (თვითმმკრობელობა) ხელისუფლების მოსპობა. გამოსავალი მაშინადამე, იყო რევოლუცია, რომელსაც შეეძლო გადაექრა XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობა—წინააღმდეგობა კაპიტალიზმის მოწინავე ფორმებსა და სოფლის მეურნეობის უაღრესად ჩამორჩენალ ფორმებს შორის.

### III. რევოლუციონური ნაროდიკობა, გლეხობის და მუშაობა ნასების მოძრაობა 1861 წლის რევოლუციის შემდეგ

#### რევოლუციონური ნაროდიკობა

ნაროდიკობის განვითარების ძირითადი მიზანია არა მარტინი და მტავრი

რუსეთში, ჯერ ისევ მე-XX საუკუნის 60-იან წლებში, „დიდი“ მემამულერი გარდაქმნით უქმაყოფილების ნიაღაგზე და გლეხობის გახშირებულ აჯანყებების პირობებში დაარსდა რამდენიმე საიდუმლო წრე, რომლებიც მიზნად ისახავდეს ამ მთავრობაზე ზევავლენა მოქმედინათ და აეძულებინათ იგი შემდგომი რეფორმების გზას დასდგომოდა და ან მეთაურობა გაეწიათ მოსალოდნელ სახალხო აჯანყებისათვეს. საშოციან წლების წრეების შორის უფრო შესანიშნავი იყვნენ: „Великорусс“-ი, აღმოცენებული 1861 წელს, „მიწა და თავისუფლება“, 1862 წელს დაარსებული საიდუმლო საზოგადოება „ახალგაზრდა რუსეთი“—1861 წ. მოწყობილი წრე და 1863 წელს შემდგარი იშუტინის წრე.

ნაროდნიკული მიმდინარეობა საბოლოოდ 70-იან წლებში ჩატარდა. სამოციანი წლები იყო რევოლუციონურ მოძრაობის და რევოლუციონური ბრძოლის გზების დამუშავების წლები.

70-იანი წლების ნაროდნიკებიდან სამი უმთავრესი ჯგუფი გა-მოიყო: ბაკუნიზმი, ლავრიზმი და ტკაჩევიზმი. მათ შორის უფრო ძლიერი და გავლენიანი იყო ბაკუნიზმი.

რევოლუციონურ ნაროდნიკობის ისტორიაში პირველ ეტაპს 1872—1874 წლები წარმოადგენენ. სუორედ ამ წლებში მოიკიდა მაგრად ფეხი ნაროდნიკულ ინტელიგენციაში<sup>1)</sup> „ხალხთან წასელის“ იდეამ და პრატიკამ. რამდენად ძლიერი იყო ეს იდეა სსენებულ წლებში, სხას, მაგალითად, ერთი თანამედროვე—ფროლენკოს მო-გონებიდან:

„1874 წლის გაზაფხულზე პიტერში შევედი და ვნახე, რომ ხალხის უამრავი ნაწილი შეპყრობილი იყო ერთი და იმავე აზრით (ხალხში გასვლით). ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე კრება, მსჯელობა, კამათი და ძახილი, რომ ასეთ გარემოებაში დაშვეიცებით სწავლა მხოლოდ „უმსგავსთ“ შევძლიათო. თითქოს თვით პარტშიაც კი ჯანყის სუნი ტრიალებდა, ყველა აღმფოთებული იყო და ყოველ კამათს მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა“.

ოფიციალური ცნობების მიხედვით ამ წლებში ნაროდნიკული პროპაგანდა 37 გუბერნიას მოედება.

რა მიზნით მიღიოლდნ ხალხში 70-იანი წლების ნაროდნიკები? არ შეიძლება იმისი თქმა, რომ ყველას ერთნაირად ჰქონდება ნაბიჯი ამოცანები. იყვნენ ისეთები, რომელებსაც სურდათ ჯერ უნახევი სოფლის გაცნობა. მაგრამ ერივნენ ისეთებიც, რომელთაც მიზნად ჰქონდათ შეესწავლათ ადგილმდებარეობა და სარტყელერიო პოზიციები იმოერჩიათ მათი აზრით ახლო მომავალში მოსალოდნელ რევოლუციისათვის. საერთოდ კი ნაროდნიკები მიღიოლდნ ხალხის მოსამართებლად რევოლუციისათვის და „საბუნტოდ“ ისეთ შესწყობილების დასამყარებლად, რომლის დროსაც „შიწა, ფაბრიკები და ქარხნები გლეხებისა და მუშებისა იქნება, თავისუფლება და თანასწორობა კი—ყველას მიენიჭება“.

რევოლუციის მაღე მოხდენას იმედები მთლად დაუმსხვრია სოფლის სინამდვილემ იქ წასულ ნაროდნიკებს. სოფელმა დაუყოვნებელი რევოლუციით არ უპასუხა მათ პროპაგანდასა და აგიტაციას. სოფელი იწოდა მემამულისადმი სიძულვილით, მაგრამ მას მემამულეთა წინააღმდეგ ჯანყებანი რევოლუციამდე ვერ მიეყვანა პროლეტარიატის კლასის ორგანიზაციული ძალის გარეშე. ამ წლებში კი პროლეტარიატი ჯერ არ იყო გამოსული ისტორიულ სარბიელზე. შეორე მხრივ არც მთავრობა იჯდა გულხელდაკრეფილი: დაპატიმრებით

1) ნაროდნიკული კადრები შესდგებოდა უმთავრესად წვრილბურულუანიულ ინტელიგენციიდან, ეგრედწოდებულ ხაზნორინებისაგან.



და დევნით ათხელებდა სოფლად წასულთა რიგებს. პირველმა ხალხში გასვლამ დაბარცხება განიცადა. ხალხში პირველად ფასულის მან მიღებული გაკვეთილები შეიქნა სოფლად ნაროდნიკების მუშაობის საორგანიზაციო ფორმების გადასინჯვის საფუძვლად.

1876 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა ნაროდნიკული ორგანიზაცია „Земля и воля“, რომელმაც თავის პროგრამაში და ტაქტიკაში ანგარიშში მიიღო წარსულის გაკვეთილები.

„Земля и воля“ შეკვეთი 1877 წელს შეუდგა რევოლუციონერ ნაროდნიკულ ძალთა ახალ მობილიზაციის სოფლისაკენ ხელახლად გასალაშექრებლად. ახლა კი გადაწყდა სოფლად წასულა არა მხოლოდ მფრინავი პრობაგანდისა და აგრტაციის გასაშევად, არამედ დიდი ხნით და მოზრდილი ჯგუფებით დასაბინავებლად. მიღიოდენ ეხლა ხალხში მასწავლებლებად, ექიმებად, ფერლაშერებად და ილარ საჭიროებდენ გლეხურ „სერმიაგის“ და ქალამების ჩატანა, როგორც სჩედიოდენ ამას პირველ პერიოდში. მთელ ჩიგ გუბერნიებში გაჩნდა ეგრედწოდებული ნაროდნიკებით დასახლებული ადგილები.

მაგრამ ეს ნაროდნიკული ლაშქრობაც სოფლისაკენ მარცით დამთავრდა. ნაროდნიკებით დასახლებული ადგილები მთლად დაანიავა პოლიციამ. მაგრამ ნაროდნიკული ლაშქრობის ასეთი მარცის მიზეზი მარტო პოლიცია არ იყო. როდესაც ნაროდნიკი სწევეტდა „კარგა ხნით“ დამკვიდრებულიყო სოფელში, მას მიზნად ჰქონდა დასახული აემოძრავებინა გლეხებია სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. საქმით კი ისე გამოვიდა, რომ რევოლუციური მუშაობის მაგივრად ასეთი ნაროდნიკების მოღვაწეობა ჩამოქვევითდა წერილმან, ყოველდღიურ, კულტურულ საყოფა-ცხოვრებო ხესიათის მუშაობამდე. ხალხში წასულამ მიშჩიდველობა დაკარგა ნაროდნიკების თვალში. ასეთმა იმედების გაცრუებამ ახალი გეზი მისცა ნაროდნიკებას—ხალხში წასელის მაგივრად უშუალო ბრძოლა ეწარმოებინა თვითმკურობელობასთან პოლიტიკური თავისუფლების და დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად. რასაკეირველია, ახალი მისწრაფება უცბად არ ცვლილა ძველ რწმენას და არ იმარჯვებდა მასზე, მაგრამ იგი თანდისთან ღრმად იდგავდა ფესვებს რევოლუციონურ-ნაროდნიკულ ინტელიგენციაში.

ამ ნიადაგზე დაიწყო უთანხმოებანი „Земля и воля“-ს ნაროდნიკულ ორგანიზაციაში, რომელმაც პოლოს მაინც განხეთებილება გამოიწვია 1879 წ. ვორონეჟის ყრილობაზე. ამ ყრილობაზე „Земля и воля“ ორ დამოუკიდებელ ორგანიზაციად გაიყო: „Народная воля“-დ, რომელშიაც პოლიტიკური ბრძოლის მომხრენი შვეიცარებ და „Черныш передел“-ად, რომელმაც გააგრითანა ძეველ ნაროდნიკულ თვალსაზრისხე ურყევად დარჩენილი პირი.

რევოლუციონურ ნაროდნიკების ისტორიაში დაიწყო მესამე პერიოდი—პერიოდი ხალხის თავისუფლებისა. „Черныш передел“-ის ორგანიზაციას რაიმე ღირსშესანიშნავი რევოლუციონური აქტი არ დაუტოვებია. 1880 წლის დასაწყისში მისი გამოჩენილი წევრები საზღვარგარეთ წავიდნენ, ნაწილი კი ხალხის თავისუფლების მომხ-

რეებს შეუერთდა. „Черный передел“-ი დაიშალა და გაათვალისწინებოდა.

თვალსაჩინო გმირული ფურცლები ჩასწერა რუსეთის შეკოლებული ციონურმოძრაობის ისტორიაში. „Народная воля“-მ. ნაროდოვოლცების ისეთი სახელები, როგორც უელიაბოვი, სოფიო პერივასკაია და სხვები, თავგანწირების და გმირობის მაგალითებს წარმოადგენებ.

„Народная воля“ გამოიყო „Земля и воля“-ს პოლიტიკურ ბრძოლის სეკიონში შეუთანხმების გამ. „Черный передел“-ის მიმდევრების წინააღმდეგ „Народная воля“-მ თავის უშუალო ამოცანების რიცხვში შეიტანა თვითმმართველობის დამხობა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვება.

იმ მიზნების მიღწევას ნაროდოვოლცები ცდილობდენ ინდივიდუალური ტერორის საშუალებით, ე. ი. შთავრობის წარმომადგენლების, და მათ რიცხვში, თვით მეფის მკვლელობით.

როდესაც ტერორის ტაქტიკაზე გადაღიოდენ ნაროდოვოლცები, ფიქრობდნენ, რომ ისინი, როგორც მცილროდ შედუღებული რევოლუციონური პარტია, ხელში ჩაიგდებენ სახელმწიფობრივ ხელისუფლებას და მოიწვევდენ დამფუძნებელ კრებას, ხოლო უკანასკელი კი გადასწყვეტს რუსეთის პოლიტიკური და სოციალური წესწყობა-ლების ხეკითხს. მაგრამ თუ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს, ისინი თავიანთი ბრძოლით იძულებენ თვითმმართველობას და მომობაზე წასვლას, აიძულებენ კონსტიტუციის მოცემას და ასეთი მონაპოვრები გაუაღვილებს მათ მუშაობას შემდგომში სოციალისტურ პროპაგანდისა და აგიტაციის საჭეში.

„ხალბის დამონაცემის გამო,—სწერდენ ნაროდოვოლცები „აღმასრულებელი კომიტეტის“ პროგრამიში,—და იმის გამო, რომ მთავრობას დიდხანს შეუძლიან საერთო რევოლუციონური მოძრაობის შეჩერება თავისი „მშევიდობის დამამყარებელი წესებით“, საჭიროა პარტიაშ აიღოს თავის თავზე გადატრადების მოხდენის საქმის მეთაურობა და არ ელოდოს იმ მომენტს, როდესაც ეს ხალხისათვის ჰკვე ზედმეტი იქნება“.

მეორე ადგილას სწერდენ.

„გადატრიალების მოხდენა შეთქმულობის საშუალებით—აი და იმის გამო, რომ მთავრობას დიდხანს შეუძლიან საერთო რევოლუციონური მოძრაობის შეჩერება თავისი „მშევიდობის დამამყარებელი წესებით“, საჭიროა პარტიაშ აიღოს თავის თავზე გადატრადების მოხდენის საქმის მეთაურობა და არ ელოდოს იმ მომენტს, როდესაც ეს ხალხისათვის ჰკვე ზედმეტი იქნება“.

ასე პერიოდათ ჩამოყალიბებული თავიანთი ტაქტიკური ამოცანები ნაროდოვოლცებს. ვ. ი. ლენინი დამსახურებათ უთვლის ნაროდოვოლცებს პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასევლას და ამის გამო სწერს:

„ნაროდოვოლცებისათვის“ პოლიტიკური ბრძოლის ცნება გაიგივებულია პოლიტიკური შეთქმულების ცნებასთან... ბლანკის შეთქმულების ტრადიცია შეტად ძლიერია „ნაროდოვოლცებში“, იმდენად ძლიერია, რომ მათ პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ პოლიტიკურ შეთქმულების სახით წარმოუდგენია; სოციალ-დემოკრატებს კი შეხედულების ასეთი სიგიჭროვე არ

ახასიათებს; შეთქმულება მათ არა სწამთ; ისინი ფიქრობენ, რომ შეთქმულობის დრო დიდი ხანია წავიდა, რომ პოლიტიკური კური ბრძოლის შეთქმულებამდე ჩამოქვეითება ნიშნდეს, ერთი მხრით, მის ძალზე დავიწროებას, ხოლო მეორე მხრით ბრძოლის სრულიად გამოუსადეგარი წესების არჩევას.. აბსოლუტი-ზეის საწინააღმდეგო ბრძოლა უნდა მდგომარეობდეს არა შე-თქმულებათა მოწყობაში, არამედ პროლეტარიატის აღზრდასა, დარაწმვასა და ორგანიზაციაში”<sup>1)</sup>).

ნაროდოვოლუცების ტერორისტული მოქმედების უაღრეს წერ-ტილს წარმოადგენს მეფე ილექსანდრე II მოკვლა 1881 წლის 1 მარტს.

1881 წ. 1 მარტის შემდეგ „Народная воля“-ში სხვადასხვა მიმართულებამ იჩინა თავი. დანაწილების დაწყება აუცილებლად და-კავშირებული იყო იმასთან, რომ ნაროდოვოლუცებმა თუმცა გმირული აქტი ჩაიდინეს—მეფე მოკლეს, მაგრამ ამით ვერც მასიური მოძრაობა გამოიწვიეს და ეერც ხელისუფლება იგდეს ხელთ. ერთი მეფის მაგივრად, მეორე დაჯდა ტახტზე, უფრო „მოულრეკავი“ ნარო-დნოვოლუცების ტერორი და ბრძოლის ტაქტიკა დამარცხდა. მაგ-რამ თუ დანაწილება დაკავშირებული იყო ტერორისტული ტაქტი-კის დამარცხებასთან, მისი ფესვები სულ სხვაგან იმაღლოდენ: იმ კლასობრივ გადაჯგუფებაში და ცვლილებებში, რომლებიც მოხდა და ხდებოდა მაშინ ნაროდინიების მიერ რუსეთში სოციალისტურ რევოლუციის დასაყრდენად მიჩნეულ კლასში.

ნაროდინიკობის ისტორიაში 90-იან წლებიდან ახალი ხანა და-იწყო: იმ ხალხს, რომელიც თავის თავს ნაროდინიებს უწოდებდა და ძველ რევოლუციონურ ნაროდინიკობის მემკვიდრეებად აცხადებდა, ასებითად არავითარი რევოლუციონური პროგრამა და ტაქტიკა აღარა ჰქონდათ. 70-იანი და 80-იანი წლების ძველი ნაროდინიება თავის ამოკანად ისხავდა რევოლუციის მოხდენას და, როგორც მას ეფონა, სოციალისტურ საზოგადოების მოწყობას,—90-იანი წლე-ბის ნაროდინიები კი რეფორმებზე ოცნებობდნენ და არსებულ წეს-წყობილებას ხელუხლებლად სტროებდნენ. ესენი უკვე „კრონბორები“ იყვნენ და არა რევოლუციონერები.

ლენინმა შემდეგი სიტყვებით დახასიათა ამ გადაგვარების არსი:

„დოქტრინიდან, რომელიც გლეხურ ცხოვრების თავისე-ბურებას აღიარებდა და ჩენი განვითარების გზებზე ლაპარა-კობდა, წარმოიშვა რაოდაც მჭერე ექლექტიზმი, რომელსაც არ შეუძლია უარპყოს, რომ საქონლის წარმოება ეკონომიური გან-ვითარების საძირკველად გადაიქცა, რომ ის კაპიტალიზმში შეინარჩუა; მას არ უნდა მხოლოდ დაინახოს ბურჟუაზიული ხასიათი უველა საწარმოო დამოკიდებულებისა, არ უნდა დაი-

1) ლენინი, ტ. II, გვ. 266-277 (ქართული გამოცემა)

ნახოს კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა ამ წესშეყობილებაზე გაშინდა. პოლიტიკური პროგრამიდან, რომელსაც განზრახვული ჰქონდა, რომ გლეხობა აემხედრებია სოციალური რევოლუციის მოსახლენად თანამედროვე საზოგადოების საფუძლების წინააღმდეგ, — წარმოაშვა პროგრამა, რომლის მიზანია გლეხობის მდგომარეობის შეკონტრიბა, „გაუმჯობესება“ ისე, რომ თანამედროვე საზოგადოების საფუძველი ურყვილად დარჩეს<sup>1)</sup>.

მხოლოდ საქმე იმაშია, — სწერდა ლენინი მეორე ადგილას, — რომ ეს არაა ნაროლნიკობა (ამ სიტყვის ძველი წვეშლებრივი მნიშვნელობით); სოციალ-რევოლუციონური ნაროლნიკობა, რომელიც ოპოზიციაში უდგა ჩვენ ლიბერალიზმს, გადაიქცა „კულტურულ“ ოპორტუნიზმად, რომელიც შეუდუღა ამ ლიბერალიზმს და მხოლოდ წერილბურეუაზიულ ინტერესებს გამოჰქონდას<sup>2)</sup>.

ამ გადავგარების შინებია არის სოფლის ის კლასობრივი დიფერენციაცია, რომელზედაც საუბარი გვქონდა ჩვენი ლექციის მეორე თავში.

90-იანი წლების ნაროლნიკობა კაპიტალისტურ გზაზე შემდგარ სოფლის ზედავენების ობიექტური წარმომადგენლობა იყო, რომელიც მიისწრავოდა თავის კულტურულ პირობების განვითარებისა-კენ და არსებულ ბურეუაზიულ წესშეყობილების შელამაზებისაკენ ისე, რომ ეს წესშეყობილება არ დარღვეულიყო.

რაოდიუციონურ ნაროლნიკობის კლასობრივი ბაზა და მისი ისტორიული უძინვა.

ნაროლნიკობის მატერიალური საფუძველი უნდა ვეძოთ რეფორმების შემდეგი დროის რუსეთის იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ დამოკიდებულებათა შერის, რომელიც განვითარებისა-კენ და არსებულ ბურეუაზიულ წესშეყობილების შელამაზებისაკენ ისე, რომ ეს წესშეყობილება არ დარღვეულიყო.

ნაროლნიკობა აღმოცენდა 1861 წლის რეფორმების შემდეგ რუსეთში შექმნილ მდგომარეობიდან. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში ირლევოდა ძეველი (ბატონიშვილი) და იურებოდა ახალი (კაპიტალისტური) საძირკველი.

ნაროლნიკების მოძღვრება ჭირითადად რამდენიმე აზრით გამოიხატებოდა, რომელთა შესახებ ლენინი სწერდა:

„ნაროლნიკობა ერთგვარი მთლიანი და თანამიმდევრობითი მოძღვრება იყო. იგი უარსაპყოფდა კაპიტალიზმის გაძარინებას რუსეთში, უარსა პყოფდა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა როგორც მოელი პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა—როლს; უარყოფილი ჰქონდა პოლიტიკური რევოლუციის და

1) ლენინი, ტ. I, გვ. 232—233 (ქართული გამოცემა).

2) ლენინი, ტ. I, გვ. 242 (ქართული გამოცემა).

ბურეუაზიული პოლიტიკური თავისუფლების მნიშვნელობაზე  
პირდაპირ ქადაგებდა სოციალიზმს, რომელიც უნდა წარმოადგინა  
ბილიყო გლეხური თემიდან და მისი წვრილი სოფლის მე-  
ურნეობიდან...

მომავალი რუსეთის ადამიანი — გლეხი იქნება, — ისე  
ტიქტობდენ ნაროლნიკები და ასეთი შეხედულება გამომდინა-  
რებდა სოციალისტური თემის რწმუნიდან და ქაპიტა-  
ლიზმის ბედისადმი ურწმუნოდ მოპყრობიდან<sup>1)</sup>.

საინტერესოა პ. ნ. ტექჩევის მიერ ფ. ენგელსისადმი მიწერილ  
ლია წერილში მოყვანილი ნაროლნიკების შეხედულობის ფორმული-  
როვეა რუსეთში უშუალოდ სოციალისტური რევოლუციის მოხდე-  
ნის შესახებ, რომლის მამოძრავებელ ძალადაც იგინი თემსა და  
გლეხობასა სოცლიდე:

„ჩვენი ხალხი გაუნათლებელია — ესეც ფაქტია. სამაგიერო  
მოშეტებულ შემთხვევაში ის თემური მფლობელო-  
ბის პრინციპით არის გამსჭვალული; ის, თუ შეი-  
ძლება ასე ესთქვათ, კომუნისტია ინსტიტით, ტრიდიციით...

აქედან ცხადია, რომ მიუხედავად თავისი გაუნათლებლო-  
ბისა, ჩვენი ხალხი უფრო ახლო დღა სოციალიზმთან, ვიდრე  
დასაცლეთის ხალხი, თუმცა უკანასკნელნი უფრო განათლე-  
ბულნი არიან. ჩვენი ხალხი მიჩვეულია მონობას და მორჩილე-  
ბას — არც ამისი უარყოფა შეიძლება. მაგრამ აქედან ის დას-  
კვნა არ უნდა გამოიყენოთ, რომ ის კმაყოფილია თავისი  
მდგომარეობით. ის პროტესტს აცხადებს, განუწყვეტლივ აცხა-  
დებს პროტესტს ამის წინაიღმდეგ... ამიტომ შეგვიძლიან რუ-  
სის ხალხს ინსტიტიუტი რევოლუციონური გუშვიდოთ... ჩვენი  
ინტელიგენტური რევოლუციონური პარტია მცირერიცხვი-  
ნია, — ესეც მართალია. მაგრამ ის სხვა არავითარ იდეალისაკენ  
არ მიისწოდების, გარდა სოციალისტურისა, მისი შტრები კი  
მასზე სუსტინი არიან და ეს სისუსტე მისთვის სასარგებლობა<sup>1)</sup>.

ნაროლნიკობის დამახასიათებელია რწმენა განვითარების გან-  
საკუთრებული, დასაცლეთისაგან განსხვავებული გზისა. ნაროლნი-  
კების აზრით რუსეთს, საქართვის საფუძვლები აქვს თავიდან აიცი-  
ლოს კაპიტალიზმის განვითარების ფაზა და უშუალოდ სოციალიზმ-  
ში გადავიდეს. ამის საფუძველს ნაროლნიკები ჰქედავდენ თემში,  
რუსის გლეხის არტელურ ჩვეულებებში. რაღაც ნაროლნიკებს გა-  
თვალისწინებული ჰქონდათ უშუალო სოციალისტური საზოგადოება,  
ამიტომ უარსა პყოფენ პოლიტიკურ ბრძოლას თვითმცყრობელობის  
ბურეუაზიულ-დემოკრატიული წესწყობილებით შეცვლისათვის. მათი  
წარმოდგენით ბურეუაზიულ პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ბრძო-  
ლა გააძლიერებდა რუსეთში კაპიტალს, რომელიც ჯერ ხელოვნურად

1) ლენინი, ტ. VI, გვ. 361, მე-3 რუს. გამოც.

2) მოგვყავს პლეზანოვის წიგნიდან: „ჩვენი უთანხმებანი”. ბაზი ჩვენ მიერ  
არის გასმული. გ. ბ.



იყო გაღმონერგილი, მაგრამ განმტკიცების შემსრულებელი წერტიკი და არღვევდა და საფუძვლებს (თემს, არტელს და სხვ.), რომელზედაც, ნაროვანი კების აზრით, უნდა სოციალისტური საზოგადოება აშენებულიყო.

დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წესწყობილების დამყარების პერიოდში წარმოიშვა რამდენიმე მოძვრება, რომელიც პროტესტით ხვდებოდა კაპიტალის ჩაგვრას და სულ სხვა საფუძველზე აშენებულ საზოგადოებას ისახავდა მიზნად. მაგრამ როდესაც დასავლეთ ევროპაში სოფლის წვრილბურეუაზიული ფენები არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ისინი კაპიტალიზმს ებრძონენ იმ მიზნით, რომ გადაექრჩინათ თავი, როგორც წვრილ მესაკუთრებს. რუსეთში კი, სადაც კაპიტალიზმის განვითარება ის იყო იწყობოდა და ბატონიშვილის ჯარ კიდევ დიდი მაღა ჰერონდა, გლეხობის ბრძოლა არ სებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის, ბრძოლის კაპიტალისტური განვითარების „ამერიკული გზისათვეს“. გლეხობის ამ პროცესტს და ამ ბრძოლის არს ასახავდენ ნაროვნიკული თეორიები.

ნაროვნიკების წარმოდგენით, მომავალი საზოგადოება, რომლისთვისაც ისინი იბრძოდენ, სოციალისტური საზოგადოება იქნებოდა. ნამდვილად კი ნაროვნიკობაში არაფერი სოციალისტური არ იყო. სოციალისტური იყო მხოლოდ ფრაზები, გარევნობა.

სოციალიზმშე მეოცენებები ნაროვნიკები უტობისტები იყვნენ. მათი სოციალიზმი მოგონილი და ცხოვრებიდან დაწირებული იყო. ნაროვნიკები თემში\*) ხედავდნენ სოციალიზმის საფუძველს და მის საფუძველზე პირობდენ სოციალიზმის აშენებას. სინამდვილეში კი კაპიტალიზმი უკვე იქრებოდა თემში და ფართოდ იყალთებდა. ნაროვნიკი გლეხობის სახით ხედავდა ბუნებრივად კომუნისტურ, კოლექტივიზმს შეჩევულ მასის. ნამდვილად კი გლეხობა მთლიან ერთეულს არ წარმოდგენდა. სოფლის შეძლებული ზედა-ფენის ერთი მუქა გლეხობა მთელი უამრავი გლეხური მასის ექსლოატაციას აწარმოებდა. შემცდარი და უტობისტური იყო მათი გზები(კ), რომლებითაც ნაროვნიკებს სურდათ მიეღწივნათ სოციალიზმისათვეს.

ზემოდმოყვანილ „ლია წერილზე“ პ. ნ. ტკაჩევს ფ. ენგელსი ასე უპასუხებდა:

„მნელია მიაზე ადგილი და სასიამოვნო რევოლუციის წარმოდგენა. საკმარისია დაიწყოს გაყოფა სამ-ოთხ პლგილზე და დანირჩენს „უკვე თვითონ“ შეასრულებენ „ინსტიტიური

\* ) სინამდვილეში თემს არტერი საერთო არა ჰერონდა პროექტულფილ კომუნიზმთან (გერცენი ფიქტობდა კი, რომ რუს გლეხობას ცხოვრების თემში წესები უძველესი დროიდან არასიათვებდა); თემი შეემნილი იყო ბატონიშვილი წესწყობილების შემცდარი ფისკალური (სახაზინო შემოსაფლის) მიწნებით.



რევოლიუციონერი", „პრაქტიკული აუცილებლობა" და ასაკუთად  
დაცვითი ინსტიტუტი". ისეთი უბრალო და ადვილი საქმეები, რომ  
გასაკვირველია, რატომ დიდი ხნის წინადვე არ ძოხდა რევო-  
ლიუცია, არ განთავისუფლდა ხალხი და რუსეთი სოციალიზმის  
ქლასიკურ ქვეყნად არ გადაიქცა"? <sup>1)</sup>

რაში ხედავ ენგელსი ნაროდნიკების შეცდომას?

პირველად იმაში, რომ ნაროდნიკებს იდეალათ ჰყავთ დასახუ-  
ლი თემი.

„ბატონისმობის გაუქმებამ, — სწერს ენგელსი, — ძლიერ  
დიდი ზიანი მოუტანა ომს გლეხს მარტო სახლი და ში-  
შველი მიწა შერჩა, მისი დასამუშავებელი საშუალებანი კი  
აღარა ჰქონდა; და ეს მიწაც კი.... იმდენად მცირე იყო, რომ  
ერთი მოსავლიდან მეორემდის ვერ გამოცკვებავდა გლეხს თა-  
ვისი ოჯახობითა".... „დაუმატეთ ამას, — განაგრძობს ენგელსი, —  
უზომო გადასახადება და კულაკობა. ასეთ პირობებში მიწის  
თემური საკუთრება სიკეთის მაგივრად ბორკილს წარმო-  
ადგენს. გლეხები ხშირად გარბიან თემიდან... სტოკებენ  
მიწას და მომთაბარე მუშებად ხდებიან. აქედან სჩანს, რომ  
რუსეთში უკვე გათავდა მიწის თემის აყვავების ხანა... და  
ახლა დალუკვისაკენ მიდის" <sup>2)</sup>.

როგორ დაიბადა ეს ნაროდნიკული სოციალისტური უტოპია? არ უნდა დაგვავიწყდეს ის ისტორიული პირობები, რომელი-  
შიაც წარმოიშვა 70-იანი წლების ნაროდნიკული სოციალიზმი. შა-  
შინ ახლად ჰქონდა რუსეთში ადგმული ფეხი კაპიტალიზმის. ჯერ კი-  
დევ სისწორით არ იყო გამორჩეული ახალ ბურჟუაზიულ საზოგა-  
დოების წინააღმდეგობანი. ნაროდნიკი ხედავთა მაშინდელი წესწყო-  
ბილებით დაჩაგრულ მილიონიან გლეხობის მასებს, ხედავდა ამ ჩაგვ-  
რის საწინააღმდეგო პროცესტსაც. ამის გამო ნაროდნიკებმა შეპქმ-  
ნეს თეორია კომუნისტურ გლეხობის შესახებ, რომელიც მზად არის  
სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად, მაგრამ მხედველობიდან  
გამოეპარათ, რომ ეს გლეხობა უკვე დანაწილებული იყო ბურჟუა-  
ზიაზე და პროლეტარიატზე, რომ გლეხს, როგორც საქონლის წერილ  
მწარმოებელს თავისუფალი განვითარებისათვის სოციალიზმი კი არ  
აინტერესებს, აინტერესებს „მიწა და თავისუფლება" საქონლის წარ-  
მოების და კერძო საკუთრების დაცვით. გლეხობის ბრძოლის აზრი  
არსებულ წესწყობილებასთან სოციალიზმისათვის ბრძოლისაკენ კი  
არ იყო მიმართული, მიმართული იყო ფეოდალიზმისა და ბატონ-  
იზმის ულლისაგან განთავისუფლებისაკენ და პირველ რიგში ბატონ-  
იზმური ლატიფუნდიებისაგან გაწმენდილ კაპიტალისტურ განვითა-  
რებისაკენ.

ნაროდნიკები ასახედენ გლეხობის ბრძოლას ბატონიზმური ნა-  
შთების წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად ისინი იბრძოდენ არა სო-  
ციალიზმისათვის, არამედ კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული

<sup>1)</sup> ფრიდრიხ ფრიდლისი, სტატიები 1871—1875 წ.

<sup>2)</sup> ფრიდრიხ ფრიდლისი, სტატიები 1871—1875 წ.



გზისათვის, „მიწების რევოლუციონური გაწმენდისათვის“. ამაშიც მათ ბრძოლის რეალური შემცნელობა და ისტორიული როლის ასეთი საკირველია, თითონ ნაროლიკები ვერა გრძელდენ ამასა. მათ გულწფელად სწამდათ, რომ სოციალისტურ საზოგადოებისათვის იბრძოდენ, და სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი ძალითადი შეცდომა

მისწრაფება ფეოდალურ ექსპლოატატორების, ე. ი. მემამულე-მებატონების მოსპობისაკენ—მართლა რომ ნაროლიკულ პროგრამის რეალურ შინაარსს წარმოადგენდა. მაგრამ აქავე ჩართული კაპიტალისტურ ექსპლოატორების მოსპობისაკენ მიმართული მეორე მისწრაფება კი — ნაროლიკული უტოპიზმი და წვრილბურეუაზიულ ინტელიგენტის ოცნება იყო საუკეთესო მომავლის შესახებ.

ნაროლიკებს ვერ შეეგნოთ, რომ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მხედვენა შეუძლიან მხოლოდ კერძო საკუთრებისაგან თავისუფალ კლასს—პროლეტარიატს.

მიუხედავად შემცდარი თეორიისა და ბრძოლის უნაყოფოდ ჩაეღლისა, ნაროლიკებმა მაინც თავიანთი განძი შეიტანეს ცარისმისა და ბატონიუმობის ჩაგრისაგან მშრომელების განთავისუფლების საქმეში. ნაროლიკების დამსახურება იმაში შდგომარეობს, რომ მათ დასვეს ხელისუფლებისა და მებატონე-მემამულეთა ჩაგრისაგან რევოლიციონური გზით განთავისუფლების საკითხი. გარდა ამისა თვეთმეურობლობასა და ბატონიუმობის წინააღმდეგ ნაროლიკული ბრძოლის პრაქტიკამ ძვირიფასი გამოცდილება მოგვცა მასებში აგიტაციის დაყენების და რევოლუციისათვის თავდადებულ და რკინის დისკიპლინით შედეულებულ პირთაგან მეომარ, არალეგალურ, რევოლუციონურ ორგანიზაციის შექმნის საქმეში.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდად აფასებდა რსს სოციალისტურობისტებს, XIX საუკუნის 70-იან და 80-იან წლების რევოლუციონურ-ნაროლიკებს, აფასებდა და ამავე დროს ამხილებდა მათი ტაქტიკის სისუსტეს, სოციალისტური იდეალების უტოპიურობის და იმ შემცდარ გზებს, რომლითაც ისინი ცდილობდნ გამარჯვება მოეპოებინათ.

### გლეხობის მოძრაობა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში

მეორე კარში ჩვენ გავეცანით გლეხურ მეურნეობის განვითარების პირობებს 1861 წ. რეფორმის შემდეგ. მემამულის კაბალით, თვითმეურობელობის გადასახადების ბატონიუმური პოლიტიკით და კულაკ-მევანშის ექსპლოატაციით დაჩაგრული, ყოველ მხრივ შეზღუდული და მოქალაქობრივ უფლებებს მოკლებული გლეხი, მათხვერობამდის იყო მისული. მხოლოდ სოფლის მცირე ნაწილი, რომელიც დანარჩენ გლეხობის მასის კაბალურ-მევანშურ ექსპლოატაციას აწარმოებდა, გვერდით მისდევდა მიწადომელებაში კაპიტალისტურ მწარმოებლებს, გლეხობის უდიდესი ნაწილი კი გალატაკების გზაზე იყო დამდგარი.



გლეხობის მასის გაღატაკება წინ უსწრებდა მის პროლეტარიზაციას. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება უფრო ნეტურული დინარეობდა, ვიდრე თავისი სამუშაო ძალის „მიმწოდებლას“ ჩამოყალიბება სოფლად. უფრო ნელა ვითარდებოდა დაქირავებულ მუშა-ხელშე მოთხოვნა სოფლად, რაღან მიწადმომქმედი მებატონე „უპირატესობას აძლევდა“ კაპიტალისტურ მეურნეობის წარმოების წინაშე მიწის იჯარით გაცემას და იჯარის ანგარიშში საკუთარ მიწის გლეხების შრომით დამუშავებას. ამავე დროს საშინაოდ იყო შეკიტროებული მებატონეთა მსხვილი მიწისმფლობელობით და ცარიზმის პოლიტიკით გლეხების კაპიტალისტურ „ფერმერებად“ გადაქცევა. ამაზე მეტიც ხდებოდა: მემაშულები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ მათი მიწების გარშემო მრავლად ყოფილიყვნენ დაბერჩებული გლეხები, ამისათვის იყენებდნენ თვითმშერობელობის აპარატს და ძალას, რომ ეკონომიკური უსარგებლობის მიუხედავად მაინც თავის ნადევლების ნაგლეჯებზე მიემაგრებინათ ისინი.

მებატონე-მემაშულის ჩიგრას აორკეცებდა მიწადმოქმედებაში-შეკრილ კაპიტალიზმის ნელი, მაგრამ გადაუხრელი ზრდა, იგი აძლიერებდა გლეხობის გაბორეტებას არსებულ შესწყობილების წიწინააღმდეგ და უქმნიდა ნიადაგს გლეხობის რევოლუციის ელემენტების მომზადებას (იხ. ცხ. 41 გვ.)

1861—1866 ხუთწლედში მომხდარი გლეხთა მღელვარებანი პირდაპირი პასუხი იყო „შეწევნითა ღვთისათა“ 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტით მონიჭებულ „თავისუფლებაზე“.

1866—1870 წ. ხუთწლედში გლეხთა მღელვარების დაცხრობა აისწნება როგორც მთავრობის მიერ მოძრაობის შეიარაღებული ძალით ჩახრჩობით, ისე იმითიც, რომ ამ წლებში გლეხობამ თავი გაინთავისუფლა უშუალო ბატონებობისაგან და გაძოიყვნა ის შესაძლებლობანი, რომელიც „მინიჭებული ჰქონდა“ გლეხურ მეურნეობას „19 თებერვლის დებულებით“.

ეს შესაძლებლობანი ისე მაღვ იქმნა ამოწურული, რომ 1871 წლიდან გლეხთა მოძრაობას ხელახლიდ გაცხოველება ეტყობა. საიჯარო ფასების ზრდა (80-იან წლებისათვის საიჯარო ფასები გაორკეცდა), გადასახადების შძიშვ ულელი და სხვ. 70-იან წლებში დაწყაბულ კრიზისის პირობებში საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდენ გლეხობის მღელვარების გასაძლიერებლად. გლეხობა თანდასთან ხმას იმაღლებს და მიწების ხელახლად დაყოფას მოითხოვს.

ჭ ლ ე ბ ი	რიცხვი იშ გუ- ბერნიებისა, სა- დაც ადგილი ჰერიტა გლენთა მოძრაობას	ევროპის რუს- თის გუბერნიე- ბის საერთო რაცხვის პრო- ცენტი
1861—1865 . . . .	45	90
1866—1870 . . . .	4	8
1871—1875 . . . .	6	12
1876—1880 . . . .	10	20
1881—1885 . . . .	27	54
1886—1890 . . . .	2	4
1891—1895 . . . .	8	16
1896—1900 . . . .	24	48
1901—1904 . . . .	42	84

მთავრობის მიერ 1870 წ. 16 ივნისს გამოცემულ კირკულიარ-  
ში ნათევებია:

,ამ რამდენიმე ხნის წინად ხალხში გავრცელდა  
ის ცრუ აზრი, მითომ მოსალოდნელი იყოს მიწების ხელახა-  
ლი დაყოფა. ხელმწიფე-იმპერატორის განსაკუთრებული ბრძა-  
ნების გამო ვაცხადებ, რომ არც ეხლა, არც შემდეგში არავი-  
თარი დამატებითი მიწის ნაკრები არ მიემატება და არც შეი-  
ძლება მიემატოს გლეხობის მიწის ნაკვეთებს. საკუთრების უფ-  
ლების დამცავ ჩვენი კანონების არსებობის დროს ასეთი უსა-  
მართლობა არას დროს არ მოხდება, რომ კანონიერი წესით  
ვისთვისმე დამტკაცებული მიწა ჩამოერთვას კანონიერ მფლო-  
ბელს და სხვას გადაეცეს“.

მაგრამ მემამულების მიწის საკუთრების მტკიცედ დამცველი  
მთავრობა იძულებული იყო დაეთმო ამოფარდნილ ქარიშხალისათვის.  
როგორც მუშები ჰელვეტიკ ხელიდან თვითმპყრობელობას ამა თუ  
იმ საფაბრიკო კანონებს, ისე გლეხთა გაძლიერებული მოძრაობა  
შეიქმნა მიზეზად 80-იან წლებში ზოგიერთი ღონისძიებების გატა-  
რებისა. 1881 წელს საკანონმდებლო წესით იქნა გაუქმებული გლე-  
ხობის დროებით ვალდებული მდგომარეობა; ჩამოეწერა გლეხობას გა-  
დასახადების დაგროვილი ნარჩენები (რაც იმის მაჩვენებელია, რომ  
გლეხები უზომოდ იკვენენ დაბეგრილი); შემცირდა გამოსაყიდი გა-  
მოსალები (რაც იმას ამტკიცებს, რომ გამოსაყიდი თანხა ყოველ ზო-



შის ფარგლებს იყო გადაქარბებული); შეტანილი იყო ზოგოვრული ცვლილებანი გადასახადების აკრეფის საქმეში. 1883 წელს მთავრობა საგლეხო ბანკი, მაგრამ პრიუტიკაზე მისი როლი იმაში გამოიხატება, რომ მემამულებს კარგ ფასებში გაეყიდათ თვევიანთი მიწები. საერთოდ მეფის მთავრობას არ შეეძლო ჩაიმე ზომის გატარება ისე, რომ ზედ მემამულებზე „ზრუნვის“ ბეჭედი არ დაესვა.

80-იან წლების მეორე ნახევარში ჩამოვარდნილი სიწყნარე იყო სიწყნარე ქარიშხალის წინ.

1891 წლიდან გლეხობის მოძრაობის ტალღა უფრო და უფრო მძლავრად იშლება. 1898 წ. 17 ივლისის ცირკულიარში შინაგან საქმეთა მინისტრი სწერს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ უკანასკელ დროს ზოგიერთ გუბერნიებში, უმთავრესად კი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთში აღგილი აქვს გლეხობის არაულობას, რაც გამოიხატება მემამულეთა მინდვრების და საძოვრების წახდენაში, სადაც ერეკებიან საქონელს და თან აყოლებენ კეტებით და რკინის ორთითებით შეიარაღებულ ყარაულებს, თავს ესხმიან მემამულეთა ტყეების ყარაულებს და დარაჯებს. სჩეხავენ მემამულეთა ტყეებს და წინააღმდეგობას უწევენ ტყის ყარაულებს, როდესაც მემამულეთა მცენები ატუსალებენ გლეხების ოთხფეხ საქონელს, განთავისუფლების მიზნით გლეხები სოფლეურად თავს ესხმი ნ მიწის მფლობელთა ეკონომიკებს და სახლკარს, იყოფენ მათ სამეურნეო და საცხოვრებელ შენობებს, სცემენ და ასახიჩრებენ მოსამსახურებსა და ყარაულებს. ასეთ უწესობას ზოგიერთ შემთხვევებში თან სდევდა უწესობის ჩასაქრობად გამოცხადებულ ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა და პოლიციის პირთა ცემა და დაჭრა. აღგილ უბრივი ხელისუფლება ულონო იყო რაიმე წინააღმდეგობა გაეწია გლეხობის თავებდობისა და თვითნებობისათვის, რადგან ეშინოდა გლეხობის ქადაგისა და ამიტომ მომეტებულ შემთხვევებში უმოქმედობას იჩინდა“.

როგორც მემამულეთა მთავრობას შეშვენის, რესეფის მთავრობაც გლეხთა მღელვარების ალსაკეთად ძველ, გამოცდილ გზას დაადგა. სოფლის ხალხის მასა საგანგებო რეეიმს დაუმორჩილა: აპარტიმრებდენ და ასახლებდენ ყველა „საეჭვო“ პირებს; სამხედრო რაზმების ძალით ალელვების ჩანასახსავე სპობდენ; პოლიციის „მზრუნველობა“ უმაღლეს წერტილს აღწევდა.

მაგრამ რეპრესიებით არ შეიძლებოდა იმ მოძრაობის ჩახრიბა, რომელიც დამონაბის და პოლიციური თვითნებობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული. რეპრესიებისა და პოლიციურ „მზრუნველობას“ შეეძლოთ დროებით შეეჩერებინათ მღელვარებას აფეთქება და აზასაესებით ხეცალებინათ იგი, ისინი იცავდნენ გლეხობის ბრძოლის წარმომშობნიადაგს.

900-იან წლების დასაწყისში გლეხობის მღელვარება უკვე მდგრადი და რუსეთის გუბერნიების 84 პროც. მოდედა.

გლეხობის მოძრაობის ტალღის გაძლიერებას 900-იან წლების დასაწყისში იგივე მიზეზები ედო საფუძვლად, რომლებიც წინათაც იწვევდენ გლეხურ მოძრაობას რეფორმის შემდეგი დროის რუსეთში. ეს მიზეზები იყო ბატონიშვილის ნაშები და, უპირველეს ყოვლისა, შემამულეთა მსხვილი მიწადმფლობელობა, რომლებსაც ასე წმინდათ იცავდენ პოლიციელთა „მათრახებით“. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა გავლენას ახდენდენ ეს ნაშები უამრავ გლეხობის მასის შეურნეობის განვითარებაზე. ამ საკითხის შესახებ ვ. ი. ლენინი სწერდა:

„ბატონიშვილის ჩავტორის საუკუნეებმა და რეფორმების შემდეგი დროის დაქანისარებული გალატაკების ათწლეადებმა უალრესი სიძულვილი, გაბოროტება და თავგანწირვა გამოიწვიეს. მისწრაფება სახელმწიფო ეკლესიის და მემამულეთა მთავრობის ძრიიანფესიანად ამოგდებისა, მიწადმფლობელობის ყველა ძველი ფორმების და წესების მოსპობისა, მიწის გაწმინდისა, პოლიციურ-კლასობრივ სახელმწიფოს მაგივრად თავისუფალ და თანასწორუფლებიან წერილ გლეხობის საერთო საცხოვრებლის დაარსებისა—ეს მისწრაფება წითელი ზოლივით არის გავლებული ჩვენი რევოლუციის გლეხობის თვითეულ ისტორიულ ნაბიჯში“<sup>1)</sup>.

გლეხთა მოძრაობის გარეგნულ მხარეს მე-XX საუკუნის დასაწყისში საქმიან ნათლად გვისურათებუნ შემდეგი ცხრილი.<sup>2)</sup>

წლები	შავმიწიანი სარტყელი	არაშავმიწია- ნი სარტყელი	სულ ევროპის რუსეთში
1900 . . . .	44	4	48
1901 . . . .	28	22	50
1902 . . . .	301	39	340
1903 . . . .	128	13	141
1904 . . . .	75	16	91
	571	99	670

გლეხები უმთავრესად მემამულეს ესხმოდენ თავსა, გლეხობის უკვე რევოლუციონურ გამოსვლების 65—66%, — მკვლევარ-ისტორიკოსების გამოანგარიშებით, — მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა. სამღედლობებისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს — სულ

1) ლენინი, ტ. XII, გვ. 333, გამოც. მე-3 (რესული).

2) „1905 წ.“ შ. ნ. პოკროვსკის რედაქციით, გვ. 250.

4—5% გლეხობის გამოსვლების მთელი რიცხვიდან. უფრო დიდი 3როცენტი მოდის ხელისუფლებასთან შეტაკებაშე (30%-მდე) მემამულებია წინააღმდეგ გლეხების უმთავრესი ფორმები იყო: მაშულების აკლება, დაწვა, ტყის გაჩეხვა, მოსავლის გატაცება (თესლისა და სურსათისა), მემამულებია და მათი მოსამაშურებების ცემა და დაშინება, მემამულებზე სასამართლოში ჩივილი, შუამდგომლობების აღმცენა და სხვ.

მე-XX საუკუნის დასაწყისში გლეხობის გამოსვლებში ცენტრალური აღგილი უჭირავთ პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიისგან 1902 წელს მომხდარ ამბებს. უნდა აღვნიშვნოთ, რომ ამ გუბერნიების გლეხები ძლიერ ნაკლებად იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით, მემამულები სარგებლობდენ ამით და უზომი იჯარას ახდევინებდენ: ერთი დესეტინა მიწის იჯარაში აიძულებდენ გლეხებს ზოგჯერ მემამულეთა საში დესეტინა მიწის დამუშავებას. 1901—1902 წლებში ამ გუბერნიებში შინშილი ჩანოვარდა. გლეხობის ისედაც გავირვებული შეგომარეობა საშინლად გაუარესდა. ამიტომ აქ საუკეთესოდ იყო მომზადებული ნიადაგი მღელვარებისათვის. გლეხთა პირველი გამოსვლები დაიწყო 1902 წ. დასაწყისში.

მოძრაობა,—სწერს ისტორიკოსი,—იდიდი ძალით და ინტენსივობით მიმდინარეობდა; 5 დღის განმავლობაში იქნებული იყო პოლტავის გუბერნიაში 54 მამული და ხარკოვისაში — 28. მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა 108 სოფელი პოლტავის გუბერნიაში და 57 ხარკოვისაში, სადაც დაახლოებით 150.000 სული ცხოვრობდა და ამათგან თითქმის ნახევარი მცხოვრებლები იღებდენ მონაწილეობას მოძრაობაში".<sup>1)</sup>

მოძრაობა იარაღით იქნა ჩაქრობილი. სამართალში მოცემულ (1902 წ. შემოდგომით) 960 კაცისაგან სასამართლოს დახურულმა კრებამ მხოლოდ 123 კაცი გაამართლა.

პოლტავისა და ხარკოვის ამბებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მოძრაობაში ჩაბეს გლეხობის უამრავი მასივი და ამით გაედლენა მოახდინეს სხვა გუბერნიების გლეხებზე: ეს ამბები ნიშანი იყო უკვე მოახლოვებულ გლეხურ რევოლუციისა.

## მუშათა მოძრაობა

მატირიალური-ფილებრივი მდგრადიობა მუშათა 1861 წლის რეზომის 1861

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის მიზნები, რომლებიც აიძულებდენ რუსეთის მუშათა კლასს ბრძოლა ეწარმოებინა კაპიტალისტების წინააღმდეგ, საჭიროა წინასწარ გავეცნოთ რუსის მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს 1861 წლის რეფორმის შემდეგ.

1) 1905 წელი, მ. ნ. პოკროვსკის რედაქციით, გვ. 811.

ერთ-ერთ თავის შრომაში ისტორიკოსი მ. ნ. პოეროვსკი ახასიათებს რუსთ მუშაის შრომასა და ყოფა-ცხოვრებას.<sup>1)</sup>

„შეწველობასთან ერთად... იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატიც: მეტალურგიაში 1887 წ. მუშაობდა 103 ათასი მუშა, 1897 წელს კი—153 ათასი; საფეიქრო დარგში 1887 წ. ირიცხებოდა 309 ათასი მუშა, 1897 წ. კი—642 ათასი. ეს არმია იცხებოდა გაღატაებულ გლეხობისაგან.

... ფაბრიკა იყო ის მაგნიტი, რომელიც სოფლის ტარიბებს იზიდავდა თავისკენ თვით დაშორებული ადგილებიდანაც კი; უკვე 1880 წ. მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკებში შხოლოდ მუშების  $\frac{2}{5}$  ნაწილი იყო მოსკოვის გუბერნიის მცხოვრებლები, დანარჩენები, თითქმის  $\frac{3}{5}$  მახლობელ გუბერნიებიდან იყვნენ— კალუგის, სმოლენსკის და სხვ. უქეტეს ნაწილს კავშირი არა ჰქონდა გაწყვეტილი გლეხობასთან საბოლოოდ, შერჩენილი ჰქონდა თავისი სოფლის მეურნეობა და ზაფხულობით იქ მიღიოდა სამუშაოდ; მაგრამ მომეტებული ნაწილი კი— $\frac{1}{4}-\frac{1}{3}$  მეტი (29%) მოელი წლის განმავლობაში მუშაობდა ფაბრიკებში.

რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ამ ახალ საზოგადოებრივ ფენას?

შხოლოდ მეურნეობისათვის დაუფასებელ და უალრეგულ კვალიფიციურ მუშებს ეძლეოდათ ცალკე ზინა 80-ანი წლების დასაწყისში: ჩვეულებრივი მუშათა მასა იძინებდა იქვე, სადაც მუშაობდა. მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკები მუშებს „თითქმის ყველგან“ სახელოსნოებში ეძინათ დაზღვებზე. ერთ დაზგანე— სივრძით 2 მეტრიანზე და სიგანით  $1\frac{1}{2}$ -ზე— მოელ ოჯახს ეძინა. ქვეშავებად ხშარობდნ საკუთარ ტანისამოს, ან ჭუჭყიან რაიშე ძონებსა და ჭილობებს. მაგრამ დიდი მტკერის გამო იმდენი რწყილი იყო საფეიქროებში, რომ მრავალმომზინე რუსის მუშაც კი ვერ უძლებდა მათ და ზაფხულში ეზოში გარბოდა დასაძინებლად. ზოგიერთ ალაგას იატაკიდან ორი მეტრის სიმაღლეზე, ჭერქვეშ ბულებივით გუთეს აკეთებდნ მუშები, შიგა თავსდებოდნ და ამ რიგად თავს აღწევდნ რწყილებს. ასეთ მოწყობილობას თითონ მუშები „შაშვის ბულებს“ ეძახოდნენ.

ასე ცხოვრობდა მასა. მაგრამ თვით მუშათა „არისტოკრატია“, რომელსაც საცხოვრებელ პინად მიჩნილი ჰქონდა ცალკე ყაზარმა, ან ცალკე პაწია თოანი ყაზარმასთან ოჯახის საცხოვრებლად, ძლიერ შორს იყო ბურუჟაზიულ ცხოვრებაზე. აი როგორ იგი წერს 80-ანი წლების საფაბრიკო ინსპექტორი მაშინდელი დოოის მუშის პაწია თოახს, რომელსაც თითო, ან ორ-ორი ფანჯარა ჰქონდა და დასახლებული იყო ორი ოჯახით; საკუთარი თახახის მიღება მაშინ „არისტოკრატებისათვისაც“ კი ძნელი იყო: „ზიგ შესელისთანავე შენიშნავდით კედლების ორივე

1) პოეროვსკი მ. ნ., „Русская история в самом сжатом очерке“, ч. II, стр. 168—174.

მხარეს საწოლებს, ერთმანეთისაგან ფარდებით გადაღობილი  
რაცვან საწოლები თრი ოჯახისა იყო; შეძლებ კედლების ნაწილი  
მოწყობილი იყო მცირეწლოვანთა დასაძინებელი აღვიზული მოქმედოდა, უმრავ-  
ზოგიერთ მცირეწლოვანს ცალკე საწოლი მოქმედოდა, უმრავ-  
ლესობას კი იატაქზე ეძინა; აქვთ ნახავდით ჭერში ჩამოკიდე-  
ბულ კალათს ჩვილი ბავშვებით; დანარჩენ აღვილზე თვითეფლ  
ოჯახს უდგას თავისი სასადილო მაგიდა; კუთხეებში ჩამოკიდე-  
ბულია რაძლენიმე ხატი თავისი ლამარებით; კედლებზე იაფი  
სურათებია გაკრული, რომლებზედაც ჩვეულებრივ მეფის საგვა-  
რეულოს წევრები ჰქაონი; სურათებს შუა ზოგიერთგან შე-  
ხვდებით უბრალო კედლის საათსაც. აქა-იქ პატარა ოთახებში  
ნახავთ ყვავილებს და ფარდებსაც ფანჯრებზე”.

ეს ლეთისმოსავი და ტახტის ურთვეული პროლეტარიატი  
ისევე ცუდათ იკვებებოდა, როგორც ცუდად ცხოვრობდა. სამ-  
ზარეულოებში ყველგან „წარმოუდგენელი სიბინძურე“ იყო.  
მუშათა სასადილოებში ისეთი სივიწროვე იყო (ზოგჯერ ორპა-  
რად სადილობდენ—მაგიდებთან მიმსხდარი იყვნენ უფროსები,  
ხოლო მათ ზურგს უქან ფეხზედ იდგნენ ბავშვები) და ისეთი  
სქელით თრთქლი იდგა საქმელებისა და მოსაძილეების ამონა-  
სუნთქვისა, რომ „კაცი ერთხმაშად ვერ გაარჩევდა, რა ხდებოდა  
აქა“. ჩვეულებრივ საქმელს შეადგენდა ბოლში გამოყვანილი  
ხმელი თვეზი, დამარილებული და უმეტეს შემთხვევებში სუნ-  
დაცემული ხორცი, ხოლო თუ ახალი ხორცი ექნებოდათ, ეს  
სუნდა „ჯიგარი“—ხარის შიგნული ყოფილიყო. ყველა ეს სა-  
ნოვაგვე მუშებს უნდა ეყიდნათ ფაბრიკის დუქანში და არა კერ-  
ძო ბაზარზე.

რიგიან კვებას მოკლებული და საშინელ პირობებში მცხოვ-  
რები მუშა დაგდებული ჰყავდა ყოველგვარ ავადმყოფობას;  
მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკებში ათას მუშა ქართვი 134 იყო  
კლექით ავად. მაგრამ ყველა ამ ავადმყოფობებს ემატებოდა  
კიდევ ერთი, სპეციალურად პროლეტარული,—„ტრავმატიული  
ეპიდემია“, ასეთ სახელს უწოდებდენ ექიმები ფაბრიკე-  
ბში გაყრცელებულ ქრილობების და დასახიჩრების მი-  
ლებას. ის მაშინდელი საფაბრიკო ინსპექტორის სიტყვებით  
დახატული ფაბრიკის ყოფა-ცხოვრების სურათი, რომელიც მთ-  
გვითითებს „ეპიდემიის“ მიზეზებზე. დანილოვის მანუფაქტურის  
„შესატრუსავ“ ნაწილში სდგას ორი მანქანა მრავალ-  
კბილებითი ბორბლებითა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულე-  
ბით ბრუნავენ; ამ ორ მანქანას ხორცის დატოვებულია დაბლო-  
ვებით 1/2 მეტრის სიგანის გასავლელები, რომელზედაც ასობით  
გადი-გამოდიან დღე დამის განმავლობაში მუშები და მათ  
შორის მცირე წლოვანებიც; საქმარისია ოდნავი გაუფრთხი-  
ლებლობა,—მეტადრე ამ განკოფილებაში არსებულ სიცხეში და  
ხმაურობაში, ერთი ნაბიჯის არასწორად გადადგმა და ვისმესთან  
შეხსლა—და კაცი აღვილად მოჰყება ბორბლების კბილებში  
და დამახინჯდება“.

სოკოლოვსკის მანუფაქტურაში ორი წლის განმავლობაში შინაგანი ფეიქიერებ შორის ათას კაცზე დასახიჩრების 67 შემთხვევა მოდიოდა, მატყლის მწერავთა შორის—250, ზეინკლებს შორის 535 და ხარატებ შორის კი—625; ქვაბეჭებ მომუშავეებში ეს რიცხვი 750 აღწევდა; ორი წლის განმავლობაში ოთხი მუშიდან მარტო ერთი გადარჩა ისე, რომ ჭრილობა არა ჰქონდა მიღებულა.

ეკონომიურად მუშა სავსებით დამოკიდებული იყო ფაბრიკის მეპატრონებზე; ჯერ ერთი, რომ სამუშაოს მიმცემი მაშინ აძლევდა მუშას ხელფასს, როცა მოისურვებდა. ის მოვალეთ არა სთვლილა თავისთავს განსაზღვრული ხელფასი მიეცა მუშისათვის განსაღვრულ ვალზე, მუშისაგან კი მოითხოვდა სამუშაოს ზუსტად შესრულებას და შეუბრალებლად აჯარიმებდა ყოველ ნაკლისათვის.

ერთ გაცდენილ დღეში მუშას ორი დღის ხელფასს უჭირდენ, დღის ერთ მესამედში კი—მთელი დღისას. დასაჯარიმებელი მიწერზე მრავალი თავის ანგარიშში. —ასე, მაგალითად მანეთით აჯარიმებდენ იმ მუშებს, რომლებიც კანტორაში ერთად გამოტანადდებიან რამდენიმე კაცი და არა ცალკედები; თუ ეს დანაშაული გაიმეორეს, მაშინ სრულიად ითხოვდნენ ფაბრიკიდან და 15 მანეთითაც აჯარიმებდენ. მიხევის ფაბრიკაში (მაუდის) დღემდის კიდევ ისე უყურებენ მუშებსა, როგორც ყმებსა; მაგალითად, ფულს... აძლევენ წელიწადში მხოლოდ ორჯერ ისიც იმდენს, რაც გადასახადების გასასტუმრებლადაა საჭირო (დანარჩენ მათ მოთხოვნილებას აქმაყოფილებადან დამატებაში დაუქანი). გარდა ამისა კუთვნილი ფული მუშებს კი არ ეძლევათ ხელში, სოფლის და თემის სტაროსტებს ეგზავნებათ ფოსტითა. ამ რიგად მუშები მთელი წლის განმავლობაში უფლოდ არიან, დიდ ჯარიმას უხდიან საანგარიშო წიგნიკებით თავიანთ ფაბრიკას და ყველა ამას უკლებენ ხელფასიდან წლის დასასრულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს... „პეტროვის ფაბრიკაში ორი განტხადება იყო გამოყიდული, ერთ მათგანში ეწერა: „ვინც ფაბრიკაში დადგა სამუშაოდ, მას უფლება არა აქვს ბლაგაფის კარების გარედ გავიდეს; წესის დარღვევისათვის ერთი მანეთით იქნება დაჯარიმებული“. მეორეში ნათევამი იყო: „რადგან ფაბრიკის მომუშავეები ბედავენ მეპატრონებს შეწუხებას ფულის თხოვნით, გაფრთხილებ მუშებს, რომ ფული 20 ნოემბერზე აღრე არ გაიცემა (ჩვეულებრივი ვალა კი 22 ოქტომბერს იყო გასული); ვინც გაბედავს ამაზე აღრე ფულის მოთხოვნას, სრულიად იქნება რათხოვნილი ფაბრიკიდან“.

რაც ზემოდ იყო ნათევამი, გვვინია ამას ბევრი რისამე დამატება ალარ დასჭირდება. ორიოდე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ ხელუასზე და სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე.

მე-XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ასეთი ცნობები გვაქვს /  
ფეიქრების ხელფასის შესახებ. სართავი ფაბრიკების მუშა — მამაკაცების  
გაუცდნლად თვეში 25 დღე რომ ემუშავნა ჯოჯოხეთურ პირობები-  
ში, საშუალოდ ხელფასად აიღებდა 10 ბან. 18 კაბ., მუშა-ქალი კი  
8 მან. 33 კაბ. მაგრამ ამ გლაბაჟის ხელფასაც ვერ იღებდა სრულად  
მუშა. ხშირად ხელფასის ერთი ნახევარი ჯარიმებს უნდებოდა, მეო-  
კი — აბანოს, წამალს ხატების ლამპრის ზეთს და ზოგჯერ არქეილე-  
ბის პარაკლისებსაც კი ხმარდებოდა. ხელფასი შცირდებოდა ავრეთვე  
იმის გამო, რომ იგი მუშას ხელში არ ეძლეოდა და უკანასკნელი  
იძულებული იყო საჭირო საქონელი ევამრა ფაბრიკის დუქანში,  
რომლის ფასებიც ხშირად 20—30 პროცენტით სჭარბობდნ ბაზრის  
ფასებს.

აი ასეთი ხარჯების და ჯარიმების გამოყლების შემდეგ დარ-  
ჩინილ და გაწყალებულ ხელფას იღებდა მუშა გრძელ სამუშაო დღე-  
ში. მოსკოვის გუბერნიის სამ მაზრაში სამუშაო დღის დღე-ლამის  
ნორმები ასეთი იყო:

სამუშაო დღის ხაზრდლივობა	რამდენ საჭარბოში (პროცენტებში)
ნაკლები 12 „ „ საათისა დღე დამეში.	10 ფაბრიკაში
12—12½ „ „ .	25,0 *
13—13½ „ „ .	44,0 *
14—14½ „ „ .	11,6 *
15 და შეტე „ „ .	5,4 *

ამრიგად სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა 13—15 საათს  
უდრიდა დღე-ლამეში. საფეიქრო საჭარმებში სამუშაო დღე 16 და  
ზოგჯერ კი 19 საათს იღევდა დღე-ლამეში.

ამას უნდა დაემატოს მუშის უუფლებობა და ფაბრიკანტების  
დაუსჯელი თვითნებობა და მაშინ წარმოვიდგებათ თვალწინ შიშვ-  
ლად რუსის მუშის მდგომარეობა.

დაბალი ხელფასი, გრძელი სამუშაო დღე, საცხოვრებელ ბინე-  
ბის საზარელი პირობები, მშეირი მუცლით შუშაობა, მძიმე ავად-  
მყოფობანი, შრომის დაცვის არარსებობა, ფაბრიკანტის დაუნდობ-  
ლობა მმ დროს, როცა მუშები უფლებებს იყვნენ მოკლებულნი და  
არავითარი კანონით დადგენილი შრომის ნორმები არ აოსებობდნ,  
დაუსრულებელი ჯარიმები და სხვ.— აი იმ პირობების დახასიათება-  
რომლებშიაც ცხოვრობდა რუსის მუშა 40—50 წლის წინად.

ეს საზარელი მატერიალური-ყოფაცხოვრებითი პირობები, მუ-  
შის მოქალაქობრივი უფლებების გაუქმება და მწარმოვებელის თვით-  
ნებობა—რამდენადაც ვითარდებოდა მსხვილი კაპიტალისტური ფაბ-  
რიკა და გარშემო იკრებდა მუშათა დიდ ჯგუფებს, იმდენად მეტად  
აძულებდა მუშებს თავდავიწყებით შებრძოლებოდენ თავიანთ მწაგვ  
რელებს.

„ისინი ხედავენ, რომ თითოეული მათგანი ცალკე სრულად უძლურია და სრული დაღუპვა შოელის კაპიტალის ჟანერების შევეშ; ასიტომ მუშები ერთიანდებიან და იწყებენ აჯანყების მექანიზმებითა წინააღმდეგ, იწყება მუშათა გაფიცვები“<sup>1</sup>).“

### საბაზიცო მოძრაობა

„უცილა ქვეყნებში მუშათა აღშეფოთება იწყებოდა ცალკე აჯანყებით... თავდაპირველად მუშებს არც კი ესმით, რას მოითხოვენ, არა აქვთ შეგნებული რისთვის იქცევიან ასე: ისინი პირდაპირ ამსხვერვენ მანქანებს, ანგრევენ ქარხნებს. მათ სურთ მხოლოდ აგრძნობინონ მექანიზებს თავიანთი აღმფოთება, ისინი სკაფიან თავის შეერთებულ ძალებს, რომ თავი დააღწიონ აუტანელ მდგომარეობას, თუმცა ჯერ კიდევ არ იციან, რათ არის მათი მდგომარეობა ასე უიმედო და რა უნდა შეადგენდეს მათ მისწრაფებას“<sup>2</sup>).

მუშათა მოძრაობის განვითარება, რომელსაც ჩეენ ეხლა ვეცნობით, უნდა გვაინტერესებდეს არა მარტო იმ მხრივ, თუ როდის, სად და როგორ ჩაიარა ამა თუ იმ გაფიცვამ, არამედ იმ მხრივაც, თუ ამ გაფიცვის ღროს რაძლენად შეიცნეს მუშებმა თავიანთი უიმედო მდგომარეობა და თავისუფლებისაკენ მიმდინარე გზები.

გაფეცნოთ ჯერ გაფიცვის მოძრაობის საერთო სურათს, რომელიც საჭირო მასალას მოგეცემს ზოგად დასკვნების გამოსაყვანად. ამ მიზნით ვისარგებლოთ მ. ნ. პოკროვსკის ისტორიით: „Русская история в самом сжатом очерке“ (გამოცემა მეექსე, გვ. 176 და შემდეგ) და ლ. მარტოვის წიგნით: „Пролетарская борьба в России“ (გვ. 83 და შემდეგი).

„70-იანი წლების პირველ ნახევარში გაფიცვები უფრო და უფრო ხშირდება რუსეთის ყველა კუთხებში—კრენგოლ-მის მანუფაქტურაში ნარვის მახლობლად, კოსტრომაშიაც, მოსკოვშიაც, სამხრეთ რუსეთშიც და ვილნის გუბერნიაშიც. ძირითადი მიზეზი ერთი და იგივე—ყველგან ბრძოლა ხელფასისათვის და მუშები იმდენად ხელფასის მომატებას არ ითხოვენ, რამდენარაც ითხოვენ, რომ საერთოდ ფასი ეძლეოდეთ მათ მუშაობაში, ვინაიდან ზოგიერთი მწარმოებლები დროზედ არ აძლევდენ ხელფასს და თან ჯარიმების სახით მუშის ხელფასის საგრძნობ ნაწილს იტოვებდენ თავისთვის. ეს არის მიზეზი, რომ 80-იან წლების ნახევარში ყოველ გაფიცვის ღროს უეპველად ვხვდებით პროტესტს ჯარიმების წინააღმდეგ. გაზეთების მიხედვით თუ გამოვიანგარიშებთ, 1865 წლიდან 1875 წლამდე გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე მუშამ, ნამდვილად კი გაფიცვულთა რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო, რადგანაც პროვინციულ გაზეთებს არ შეეძლოთ კრინ-

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. II, გვ. 755 (ქართული გამოცემა).

<sup>2)</sup> ლენინი, ტ. II, გვ. 795 (ქართული გამოცემა).

ტი დაეძრათ გაფიცვების შესახებ. განსაკუთრებით 1878 წლის  
დან განმირდა გაფიცვები პეტერბურგში. მუშათა მოძრაობის  
ისტორიკოსები რუსეთში 1878—1880 წ. აღნიშნავენ უფრუნველ  
ფიცვას, სადაც მონაწილეობას იღებდა 30—35 ათასი მუშა.

1878—1879 წლების შემდეგ თავი იჩინა სამრეწველო  
კრიზისიმა, რომელიც სამხედრო შეკვეთების მიღების გამო ჟე-  
საძლებელად ხდიდა ფაბრიკანტების მიერ მუშების უზომო ექსპ-  
ლოტაციას და მათი უფლებების შეზღუდვების მიზნების სადამ-  
დისც წინად რუსეთშიც კი არ მისულა ასეთი შევიწროება.  
კრიზისის გაფლენით მოხდენილმა წარმოების შემოქლებამ შუშე-  
ბის უმრავ რიცხვის სიცოცხლის თვითმშეკრობელად გადააქცია  
მწარმოებელი: „არ გინდა ჩემ პირობებში მუშაობა — წადი, სა-  
დაც გინდა; უშენოდაც იმდენი მუშები მყავს, რომ არც კი მე-  
სავიროება“.

„კრიზისი გაგრძელდა 80-იან წლების მთელ პირველ ნახევარს  
და ექსი წლის (1881—1886) განმავლობაში რუსეთის მუშათა მოძ-  
რაობის ისტორიკოსები აღნიშნავენ 48 მსხვილ გაფიცვას, სადაც 80  
ათასამდე მუშა იღებდა მონაწილეობას. ამათვან ყველაზე სამასოვ-  
რო იყო ცნობილი „მოროზოვის ფაბრიკის მუშების გაფიცვა“ 1885  
წლის იანვარში ორეხოვო-ზუვეში მოროზოვის ფაბრიკაში;  
ეს გაფიცვა პირველი წარმატება იყო რუსეთის მუშათა მოძრაობა-  
ში, თუმცა გარეგნულად ფაბრიკანტის გამარჯვებით დასრულდა.

გაფიცვა დიდი თავდაჭრილობით და დაბეჭითებით ჩატარდა.  
გაფიცვის დამწყებებმა ფეიქარმა მამაკაცებმა მოახერხეს „სამშობ-  
ლან მოხსნა“ ფეიქარ-დედაქაცებისა, შემდეგ დამრათველებისა, ბოლოს  
მღებავებისა და მთელი წარმოება დადგა. მოისეენკო და ვოლკოვი  
(მუშები იყვნენ. — ლ. ბ.) ურჩევდნ გაფიცულებს არავითარ ძალადო-  
ბისათვის არ მიემართა, მაგრამ ისე ძლიერ იყვნენ გაბრაზებული  
პროლეტარული მასები აღმანისტრაციის წინააღმდეგ, რომ მორო-  
ზოვის ხელის შემწყობთა ბინები საგრძნობლად დაზარალდნენ. მო-  
ძრაობამ ისეთი მრისხანე ხასიათი შიიოთ, რომ ქვეითა ჯარის ორი  
ბატალიონი და მთელი ყაზახების პოლკი გამოიწვია აქა ვლადიმირ-  
რის გუბერნატორმა (გაფიცული იყო 8 ათასამდე კაცი). მაგრამ მუ-  
შები ჯარმაც ვერ შეაშინა და ფაბრიკანტის წინაშე დათმობაზე არ  
წავიდენ. მოროზოვის უკან დახევა დაიწყო, მუშების ასეთი ერთსუ-  
ლოვანი იერიში, რომ დაინახა. 11 იანვარს გაფიცულებმა (გაფიცვა  
დაიწყო 7 იანვარს) წითელი დროშებით გაიარეს, მაგრამ როდესაც  
მუშების ჩრდილებულები დაპატიმრებულნი იქნენ, გაანთავისუფლეს  
იგინი პატიმრობილან. მხოლოდ ყაზახების და ქვეითი ჯარის მიერ  
რამდენჯერმე გამართულმა ცემა-ტყეპამ და 600 კაცის დაპატიმრე-  
ბამ გასტეხა გაფიცულების გმირული წინააღმდეგობა. მუშაობა 14  
იანვარს განახლდა, მაგრამ 8 ათასი კაციდან სამუშაოზე მარტო 800  
გამოცხადა.

90-იანი წლების დასაწყისისათვის გაფიცულები არამც თუ არ  
შემცირდა, პირიქით, უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა. თუ  
80-იანი წლების დასაწყისიდან ხუთი წლის განმავლობაში გაფიცვე-

ბში 80 ათას კაცს მიეღო მონაწილეობა, ეხლა მარტო ერთ 1895 წლში 45 ათასი კაცი გაიფიცა, ხოლო შემდეგ ხულწლედში (1895—1899) გაფიცულთა რიცხვი ნახევარ შილიონამდე აღავალით (434 ათასი კაცი).

1896 წლის ფეიქართა ცნობილ პეტერბურგის გაფიცვით საფუძველი დაედო ნამდვილ „გაფიცების ეპიდემიას“.

1896 წლის გაზაფხულშე გაფიცების მოძრაობა მოედო პეტერბურგის სართავ-ხაჭსოვი წარმოების მთელ მუშათა მასებს, 1896 წლის მაისის მეორე ნახევარში გაიფიცა ამ წარმოების 35.000 მუშადა სხვადასხვა საერთო მოთხოვნები წარადგინეს—მათ რიცხვში სამუშაო დღის 10 საათამდე შემოქლება. გაფიცები თვეზე მეტი გასტანა, გაფიცულებს დიდი სიმრეკაცი ემჩნეოდათ, საკვირველ თავდაცერილობას და სიმშვიდეს იჩენდენ, მიუხედავად პოლიციის, უანდარმების და საფაბრიკო ინსპექციით პროვოკატორულ მოქმედებისა.

პეტერბურგიდან გაფიცვა გადავიდა მოსკოვში და ცენტრალურ სამრეწველო რაიონების სხვა ქალაქებში (კოსტრომაში, სერპუხოვში, იაროსლავში, ორეხოვო-ზუევში, გუს-მალცევოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში). დასავლეთ მხარეში გაფიცვა მოედო ხელოსან მუშების მასებს; ლიბავაში და რიგაში გაიფიცა მსხვილი მექანიკური ქარხნები; ვარშავაში გაფიცების მოძრაობა საფაბრიკო და ხელოსანთა ყველა დარგებს მოედო და შემდეგ პოლონეთის სამორიმადნო რაიონში გადავიდა. სამხრეთში მოძრაობა ვითარდება კიევში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, დონის რაიონის რამდენიმე ადგილზე და კავკასიაში გადადის. ურალშე მუშათა დარაზმულ მოძრაობას ადგილი ჰქონდა ზლატოუსტის სახელმწიფო თოთ-იარალის ქარხანაში, სადაც მუშები რვე თვის განმავლობაში მტკიცედ იბრძოდენ 8 საათაინი სამუშაო დღის შემოსალებად.

1898 წლის დამლევს პეტერბურგის ფეიქართა მოძრაობა დიდი გაფიცვით დამთავრდა მაქსევილის და პალის ქარხნებში, სადაც მუშები თავს იცავდნენ და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ გააფთრებულ პოლიციის ძალადობას და დამარცხებულ იქნენ მხოლოდ სამხედრო ძალებით. გამარჯვებულებმა საშინელი წამება მიაყენეს მუშებს და ბევრი სიცოცხლესაც გამოისალმა ამ წარმოებამ. შემდეგ დაიწყო მუშების გასამართლება, რომელიც დასრულდა სასამართლოს მიერ მუშებისათვის მეტად სასტიკი განაჩენების გამოტანით.

სხვა ქალაქებში მოძრაობა არ შეწყვეტილა 90-იანი წლების დამლევამდე.

დიდი ამბები მოხდა 1899 წ. ქ. რიგაში, როდესაც აქ ჯუტის ფაბრიკის მუშების გაფიცვამ იფეთქა. პოლიციის უხეშ ძალადობას რიგის პროლეტარიატმა გაფიცვით და ჯართან ქუჩებში ენერგიული ბრძოლით უპასუხა. ბევრი დაკრილი და დახოცილი დარჩა მაშინ რიგის ქუჩებში.

მთავრობის ძალადობა და კაპიტალისტების უსულეულო ჯუტობა უფრო მეტად ამჭიდროვებდა მუშათა მასებს, მებრძოლ სულს ულვიძებდა და იმ დისციპლინას უნერგვდა, ურომლისოდაც შეუ-



ძლებელი იყო კაპიტალისა და მისგან წარმოშობილ სიღატაკისაგან  
დაბეჭინებულ და წამებულ პროლეტარიატის აღორძინება. ქაშვანიათ  
ცვი ბრძოლაში მოპოვებულმა წარმატებამ ჩაუნერგეს შეგნება იმ ძა-  
ლისა, რომელსაც წარმოადგენს შეერთებული პროლეტარიატი. თვი-  
თეული ახალი გაფიცვა და მთავრობის თვითეულ ჩარევა გაფიცვა-  
ბში ახალი გაკვეთილი იყო პროლეტარიატისათვის და ამ გაკვეთი-  
ლების ნაყოფი აშკარად მოსჩანდა მთავრობისადმი გაძლიერებულ  
სიძულევილში. ფართოდ იქიდებდა ფეხს პროლეტარიატის შორის  
თავის კლასობრივის მთლანობის და მთელი პროლეტარიატის ინტე-  
რესების ერთობის შეგნება მიუხედავათ პროფესიისა, ეროვნებისა  
და სარწმუნოებისა. ეს შეგნება იყო ის საფუძველი, რომელზედაც  
ემყარებოდა პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა და მთელი  
კლასის ბრძოლა სახელმწიფოს ხელისუფლების დასაპყრობად. თავი-  
სი კლასობრივი მთლანობის შეგნების ნიშანი იყო ის თანაგრძნობა,  
რომლითაც პროლეტარიატი შეხვდა მასის დღესასწაულის იდეას. იმ  
მცირე რიცხვანი წრებიდან, რომლებიც 90-იან წლების დასაწყის-  
ში ფარულ კრებებზე იხდიდნენ მასის დღესასწაულს, ეს იდეა ახლა  
მასებში იყო გაომოსული. პოლონეთის, ლიტვის და ლიგის მუშები მა-  
სიური გაფიცვებით ხვდებოდნენ 1 მაისს და ქუჩებში დემონსტრა-  
ციებს ახდენდა. შუაგულ რუსეთში პირველი დიდი საპირევლმა-  
ისო დემონსტრაცია ხარჯოვში მოხდა 1900 წ., როდესაც ამ დემო-  
ნსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ყველა ქარხნებშა და ფაბრი-  
კებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა პეტონდათ საპირევლმაისო დღე-  
ბს პეტერბურგში 1901 წელს. გაიფიცა ობუხოვის ქარხანა, და  
როდესაც აღმინისტრაციამ დევნა დაუწი „მოთავეებს“, ობუხოვე-  
ლებმა უპასუხებს გაფიცვით, რომლებმაც ძლიერი შეტაკება გამოი-  
წვია შეიარაღებულ ძალებთან. მთავრობის „გამარჯვება“ ნაყიდი  
იყო მრავალ დაქრილთა და დახოცილთა ფასით, მაგრამ „ობუხოვე-  
ლი მუშების“ თავდაცვამ, მუშების მიერ თავისი პოზიციების დაცვის,  
ობუხოველებისათვის მუშა-ქალების მიერ დახმარების და მათი გამ-  
ბედაობის ამბავმა ახალი რევოლუციონური სული ჩაბერა მუშათა  
მასებს. „ძირის თვითმშევრობელობა“ — გაისმოდა ობუხოვის თავდაცვე-  
ლთა შორის და ამ სიტყვებისავე ძახილით ებრძოდნ ვიბორგის  
მხარის მუშები 1 მაისს გზაზე გადაღობილ პოლიციის რაზმებს. ობუ-  
ხოველებზე ძალადობის ხმარებამ სხვა ქარხნებშიაც გამოიწვია მო-  
ძრაობა, რომელიც არ შეწყვეტილა მთელი ზაფხულის განმა-  
ვლობაში.

დემონსტრაციები არ შეწყვეტილა მთელი 1901—1902 წლის  
ზამთრის განმავლობაშიც. მრავალ ქალაქის ქუჩებში ფრიალებდა  
წითელი დროშები და გაისმოდა რევოლუციონური სიტყვები. „და-  
მატშევიდებლებს“ სიმკაცრე ემატებოდა და ხალხი კი, ამ სიმკაცრით  
გამწვავებული, შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევაშე გადადიოდა.



როსტოვის რეინის გზის სახელოსნების გაფიცვა ისტორიულ  
ამ ადგინებული მთელი რუსეთისათვის, რადგან ისეთი დადგისადამ  
ლიტიკური მოძრაობა გამოიწვია, რომელშიაც მთელი ქალაქი იღე-  
ბდა მონაწილეობას. საქმე იმაშია, რომ რს დმპ დონის კოშიტეტის  
ხელმძღვანელობით მუშები ბრძოლის ახალ ფორმაზე გადავიდენ.  
წინანდელ დემონსტრაციების დაგილი ახლა ცის ქვეშ გამართულმა  
მიტინგებმა დაიჭირეს; რევოლუციონური სიმღერების და ძალის  
მავიცრად გაისმოდა სიტყვები პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე.  
გაფიცულთა მიტინგებმა მთელი ქალაქის ყურადღება მიიპყრეს. შა-  
თი გავლენით მუშაობა დასტოვეს როსტოვის ყველა საწარმოთა მუ-  
შებმა იმ მიზნით, რომ თავისი სოლიდარობა გამოეცხადებინათ გა-  
ფიცულ რეინის გზებისათვის. ურიცხვი ხაოზი სულგანაბული უგდე-  
ბდა ყურს დონის კომიტეტის ორატორების სიტყვებს, რომლებიც  
უსნიდენ მას თვითმყრობელობასთან ბრძოლის საჭიროებას და მუ-  
შათა მოძრაობის ამოცანებს.

ადგილობრივი ხელისუფლება დაიბნა: ის შეჩერები იყო ათას კა-  
ცისაგან შემდგარ დემონსტრაციების „გარეკვას“, მაგრამ ერთ მოედან-  
ზე ათიათასობით თავმოყრილი ხალხის გარეკვა კი ვერ მოეხერხებინა. ერთი კვირა გავიდა მიტინგების დაწყებიდან, ვიდრე მთავრობა  
„მთელი სისასტიკით“ დაიწყებდა მოქმედებას და მოიმარჯვებდა იარაღს,  
შემდეგში კი ხელისუფლება ცდილობდა ორ დაეშვა ხალი ქრებები  
და თავის დროზე დაეჭირა ზოგიერთი ხელმძღვანელები, მა-  
გრამ „როსტოვის ნოემბრის დღეებში“ უკვე შოასწრეს თავისი  
ძძლავრი გავლენის მოხდენა და აშკარად ცხადიდ ჰყვეს პოლიტიკურ  
მოძრაობაში უმრავ მასების ჩაბმის შესძლებლობა. მეორე მხრივ,  
როსტოვის ნოემბრის დღეების მაგალითი მიუთითებდა საყოველთაო  
გაფიცვაზე, როგორც ბრძოლის ახალ საშუალებაზე. და სწორედ ამ  
ფორმით მოხდა პროლეტარიატის ახალი გამოსცელა.

იგი ერთსა და იმავე დროს ორ ადგილზე, დაიწყო: ბაქოში  
და ოდესაში. მოძრაობას ერთი-ერთმანეთზე უერთდებოდენ ახალი  
პუნქტები. ექაც და იქაც პროლეტარულმა სოლიდარობამ ათიათა-  
სობით წაახალისა მუშები დაეტოვებინათ სამუშაო და დაეწყოთ  
საყოველთაო გაფიცვა. ამას მოჟყვა მრავალრიცხვანი მიტინგები,  
რომლებშიაც მოძრაობა წინ უსწორებდა თავის წმინდა ეკონომიკურ  
ფორმას. რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა დაუმტკიცეს მასებს  
თვითმყრობელობასთან ბრძოლის აუცილებლობა, ხალო ხელისუ-  
ფლების ყოველდღიური ძალადობა კი არწმუნებდა მასებს რევოლი-  
ციონერების სიმართლეში.

ოდესის და ბაქოს საყოველთაო გაფიცვები მთელ სამხრეთ  
აღელვებდენ, მოძრაობას ახალ-ახალი პუნქტები უერთდებოდა. გა-  
ფიცვა ყველგან საყოველთაო იყო. ყველგან დემონსტრაციები და  
დიდი მიტინგები იმართებოდა. მუშები იქ სხვადასხვა მოთხოვნებს  
აყენებდენ და ყველაზე წინ კი რეასათიან სამუშაო დღის მოთხო-  
ვნას. იმდენად დიდი იყო მასების პოლიტიკური აღტყინება, რომ  
მარტო ეკონომიკურ მოთხოვნათა შესრულებით არა კმაყოფილდებოდა:

ხშირად ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები უსრულებდენა შეუტყვისა  
ეკონომიურ მოთხოვნებს, მაგრამ უკანასკელნი ძაინც განაგრძობდენ  
გაფიცვას. ამის მაგივრად ახლა პოლიტიკურ უფლებებს მოითხოვდენ  
და ძალით „ძირს თვითმყრიობელობა“ გაისმოდა ყველა ქრებებზე.  
შუშები გრძნობდენ თავიანთ გამოსვლების ძალას, ეს გრძნობა აღ-  
ფრთხოვანებდა, ყოველგვარ გაჭირებას ათმენინებდა და გაბედულად  
ამხელრებდა მათ სალდათების მიერ მოშევრილ თოფების წინააღმდეგ.

მთელი იელისის და აგვისტოს განმავლობაში შუშათა მასების  
ამ მძლავრ მოძრაობას ჰქონდა მიპყრობილი საყოველთაო ყურადღე-  
ბა. გონიერი სიბეცით შეპყრობილიც კი ჰქონდავდენ, რომ  
ახლოვდებოდა ძველ წყობილებასთან ხელჩარითული ბრძოლის დრო  
და ავ ბრძოლაში პროლეტარიატი გამოიჩინდა დევ-გმირულ  
ძალას!! \*)

### მუშათა მოძრაობის ეთაპები

მუშათა მოძრაობის ზემოდმოყვანილი აღწერა შესაძლებლად  
ხდის ამ მოძრაობის რამდენიმე ეტაპის დასხვას.

პირველ ეტაპს შეაღეცნ 70-იანი წლების პერიოდი და 80-იანი  
წლების დასაწყისი. რა ხასიათისაა ამ პერიოდის მუშათა გაფი-  
ცები?

შემეტეს შემთხვევაში ისინი არიან სტიქიური ხასიათის გა-  
ფიცვები, რომელთაც ხშირად მოსდევდა შანქანების მტრევა, შენო-  
ბების, კანტორების და ფაბრიკის აღმინისტრაციის ბინების ნერევა.  
ეს იყო ფაბრიკანტისაგან დაჩაგრულ და მთავრობისაგან უფლება  
ახლილ მასის გულისწყრომის აფეთქება — აი რას წარმოადგენდა გა-  
ფიცვები ამ ეტაპში. აქ არა სხანს არც ორგანიზატორი, არც ხელ-  
შძლებანელი. აქ მხოლოდ მასის გულისწყრომის აფეთქებაა და არავა-  
თარ ორგანიზაციულ ძალას ადგილი არა აქვს.

გაფაცულების დაბალი პოლიტიკური დონის დამამტკიცებე-  
ლია, მაგალითად, მათი ისეთი მოქმედება, როგორც მთავრობის აღ-  
მინისტრაციის მოხელეებისაგან საჩივრებით მიმართვა. ქალალდას  
ახალი ფაბრიკის მუშები (პეტერბურგში) ვერ პოულობენ „სამარ-  
თალს“ გრადონაჩალნიკთან და მემკვიდრეს მიმართავენ საჩივრითა.  
საჩივარი ასე იწყება: „ჩევნ, ქალალდას ახალი ფაბრიკის მოუტყუ-  
ბული მუშები მოგვართავთ საჩივრით თქვენს უმაღლესობას ფაბრი-  
კის მეპატრონებისა და პოლიციის მხრივ შევიწროების გამო“ —  
თხოვნა ამ სიტყვებით თავდებოდა: „მოგმართავთ თქვენ, როგორც  
შეილები მამას. თუ ჩევნი სამართლიანი მოთხოვნები დაკმაყოფილე-  
ბული არ იქნება, მაშინ გვეცოდინება, რომ ჩევნ არავითარი იმედი  
არ უნდა გვექონდეს, არავინ გვიშევს მფარველობას და მხოლოდ სა-  
კუთარ ძალას უნდა დაფიცირდეთ“.

ჩევნა ვხედავთ, რომ მუშებში აღმოფხრილი არა ყოფილა  
რწმენა მეტისადმი; მაგრამ პოლიციისა და ფაბრიკანტების კავშირს  
კა უკვე გრძნობენ მუშები.

\*) მარტოვი ლ. „პროლეტარული ბრძოლა რუსეთში“, გვ. 83—126.

მეორე მხრივ, ამ ეტაპის გაფიცვები უმთავრესად თავდაცვითი ხასიათისა არიან. ეს სჩანს გაფიცვულების მიერ წაყვეტულ მოთხოვნებიდან: შრომის ძელი პირობების დაცვა, ე. ი. მდგრადის გაუარესების დაუშვებლობა,—ასეთი ხასიათის იყო წარიგენილ მოთხოვნათა უმეტესობა. ყოველ გაფიცვების დროს მოთხოვნების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ხელფასს ნორმების და ხელფასის გაცემის მოწესრიგების საჯითხი. დამახასიათებელია აგრძელების გარემოება, რომ მუშების თითქოს „ურიკდებან“ ჯარიმების სისტემის, მოთხოვნების მარტო თვითნებობის შეზღუდვას და ჯარიმების დროს, ჯარიმების განსაზღვრას და იმ მოქმედებათა განმარტებას, რომლის ჩამდენსაც შეიძლება ჯარიმია დადგინა. პოლიტიკურ მოთხოვნილებებს გაფიცვულები, წესისმებრ, არ არღვნენ.

პირველ ეტაპის გაფიცვების განსაკუთრებულ თვითქმებებს შეადგინს აკრეთე მათი დაქსაქსევა. ამ დროის ცალჭე საწარმოთ მუშების საგაფიცვო მოძრაობა მიმართულია მარტო ამ საწარმოთა მფლობელების და ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ეს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ერთი კლასის მოძრაობას შეორის წინააღმდეგ; ეს არის მუშების ცალჭე რაზების ბრძოლა ბურუუაზიული კლასის ცალჭე წარმოადგენ ლების წინააღმდეგ.

მაგრამ ამ პერიოდში უკვე მოსჩანს ახალი ეტაპის ჩანასახი მუშათა მოძრაობაში. შევნების, დარაზების და კლასობრივი სოლიდარობის ელემენტები—აი რა ისახებოდა „ახლად“ რუსეთის მუშათა მოძრაობაში.

1885 წლის მორიზოვის ფაბრიკის მუშების გაფიცვა თითქოს გაიღდამტები მომენტი იყო, სიღღანაც დაიწყო მუშათა მოძრაობაში ახალი ეტაპი, ხოლო ნემდვილი თვითი სახე ამ ეტაპში 90-იან წლებში მიიღო.

რა ხასიათის იყო მორიზოვის ფაბრიკის გაფიცვა? უპირველეს ყოვლისა მით განიჩრჩეოდა ის წინააღმდელი გაფიცვებიდან, რომ თავის დაწესებილანებები მას ხელმძღვანელობას უწევდნენ მუშებისა და მოწინავე წარმომადგენლებისაგან გამოყოფილი პირი. ისეთებია ფოლკონის და მოისეენკოს ფიგურები. მორიზოვის ფაბრიკის გაფიცვაში ნათლად მოსჩანს დარაზმულობის და მასი შევნებულად მ.მართვის ელემენტება.

მაგრამ მორიზოვის ფაბრიკის გაფიცვაში ყველაზე შესანიშვნაი ის არის, რომ ამ ქარხნის მუშების შესახები მოთხოვნების გარდა წარდგენილია ისეთი მოთხოვნებიც, რომელიც საყოველთაო მუშებისათვის. სახელლობრ, მოთხოვნებში აღნიშნულია ხელფასს, ჯარიმების, დაქარიზების, შრომის დაცვის და სხვ. პირობების საკანონდებლო გზით მოწესრიგება.

ამ მხრივ მორიზოვის ქარხნის გაფიცვამ თითქოს გაიკვლია ის გზა, რომელთაც მრეწველობის ოლორინების შემდეგ ათწლეულში XIX საუკუნის 90-იან წლებში,—დაიწყო მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში.

ამ დროის საგაფიცვო მოძრაობა წარმოადგენს ახალ ეტაპს მუშათა ბრძოლის განვითარებისას კაპიტალის წინააღმდეგ.



საგაფიცეო მოძრაობა წინანდელ ეტაპთან შედარეჭით სურათ  
ძნობლად გაძლიერდა და ამ ეტაპზე მიმართული იყო უმთავრესად  
მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ამ მხრივ  
90-იანი წლები დაიდა არ გასხვავდებოან მოძრაობის წინა ათწლე-  
დებიდან. ხელფასის საკითხს კვლავ მთავარი აღვილი უჭირავს მუ-  
შების მიერ მწარმოებლებისათვის წარდგენილ მოთხოვნებში. ამათში  
ახალი იყო მხოლოდ სამუშაო დღის შემოქლების მოთხოვნა. მუშათა-  
კლასი იმდენად წინ წავიდა კულტურულად, რომ აღარ სურდა  
„მუშა-ცხენივით“ ფაბრიკაში დღე-ღამის განმავლობაში 13-16 საათი  
ემუშავნა.

მეორე მხრივ, როდესაც 90-იან წლებში გაფიცულები მოთხო-  
ვნებს უდენენ მწარმოებლებს, შეტევაზე დაც გადადიან, რასაც  
აღვილი არ ჰქონია 70—80 იან წლებში. აი ეს შემტევი ხასიათი  
ანსხვავებს 90-იან წლების გაფიცებს პირელ ეტაპის გაფიცებიდან.

პირველ ეტაპის გაფიცებში ძლიერ სუსტად მოსჩანდა კლასო-  
ბრივი სოლიდარობის და ურთიერთი დახმარების ელემენტები, 90-იანი წლების გაფიცებში კი ეს ელემენტები ნათლად გამო-  
სქივიან. თუ რამდენად წინ წავიდა მუშათა მოძრაობა, ამის მაჩვე-  
ნებელია არა მარტო მისი მასიურობა და გაფიცების გადასვლა  
ერთ საწარმოთავან მეორებში, არამედ მისი გავრცელებაც მრეწვე-  
ლობის ერთი დარგიდან მეორეში და ზოგიერთ შემთხვევაში კი-  
მთელ რაიონებზედაც.

გაფიცების აი ამ მხარეს უნდა გაესვას ხაზი, რადგან იგი  
წარმოადგენს მუშათა ბრძოლის განვითარების ძირითად მხარეს—  
ცალკე კაბიტალისტების წინააღმდეგ მუშათა ცალკე ჯაფუტების ბრძო-  
ლიდან—ერთი კლასის მეორე კლასის წინააღმდეგ ბრძოლაზე გა-  
დასვლას.

„მხოლოდ მაშინ, როცა ცალკე მუშა გრძნობს თავის  
თავს მთელი მუშათა კლასის წევრად, როცა ცალკე მეპატრო-  
ნებთან და ცალკე მოხელეებთან წარმოებულ ბრძოლაში ის  
ხედავს ბრძოლას მთელ ბურუჟაზიისა და მთელი მთავრობის  
წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ იქცევა მისი ბრძოლი კლასობრივ  
ბრძოლად“. 1)

ამასთან დაკავშირებულია 90-იანი წლების საგაფიცეო მოძრა-  
ობის განვითარების შეორე თავისებურობაც—მისი დარაზმულობა  
და ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფნა. მოროზოვის ფაბრიკის გაფიცების  
შესდგა ფეხი პირელად იმ გზაზე, რომლითაც წავიდა 90-იან წლე-  
ბში გაფიცვათა უმრავლესობა. ამ წლებში გაფიცების მოძრაობას  
ხელმძღვანელობდა მომეტებულ შემთხვევებში სოციალ-დემოკრატი-  
ული წრეები. უკანასკნელ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-  
და მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის ისტორიაში. XIX საუკუნის

1) ლენინი, ტ. II, გვ. 661—662 (ქართული გამოცემა).



90-იან წლებში რუსეთში სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა და დებიან ერთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. <sup>1)</sup>

90-იანი წლების გაფიცვებს უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ამათ მეტი შემციროვება, დისკიპლინა და ორგანიზაცია შეიტანეს მუშათა კლასში, ამათვე აღზარდეს მასში ლომარი განწყობილება და ჩაუნერგეს იმედი მუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებისა. ლენინის თქმით, გაფიცვები „ომის სკოლა იყო“, ის „სკოლა“, სადაც მუშები სწავლობენ ოოგორ აწარმოვონ ბრძოლა თავისი მტრების წინააღმდეგ მთელი ხალხის და მთელი მშრომელთა კლასის განსათავისუფლებლად მოხელეებისა და კაპიტალის ჩაგვირი-საგან“ <sup>2)</sup>).

თავის განვითარების ისტორიაში მუშათა მოძრაობაში ახალი ნაბიჯი ჭადადგა XX საუკუნის დასაწყისში თავდატეხილ სამრეწველო კრიზისის დროს. კრიზისის პირველ წლებში გაფიცვათა მოძრაობაში ჩამოვარდნილი „სიწყნარე“ — ქარიშხლის წინად ჩამოვარდნილი სიწყნარე იყო. 1903 წელს გაფიცვების ტალღამ უმშვერვალეს წერტილს მიაღწია.

რა ახალი მომენტების აღნიშნვა შეგვიძლიან 1900—1903 წლების გაფიცვებში, ამ მესამე ეტაპის გაფიცვებში?

ეს გაფიცვები განიჩეოდენ წინანდელი გაფიცვებისაგან პირველად იმით, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვან პროცენტს პოლიტიკური ური გაფიცვები შეადგენდენ. შეტაღრე აღსანიშნავია ამ მხრივ მუშათა საპირველმაისონ გამოსვლები, როდესაც უკანასკნელნი თითქმის არავითარ ეკონომიკურ მოთხოვნებს არ ადგენენ, იფიცებიან მხოლოდ საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობის შიშინთ, და გზიადგზა ასეთ ლონგუნგებს ისროდენ ხალხში: „ძირ თვითმპურობელობა“, „რეასათითანი სამუშაო დღე“ და სხვ.

ახალია აგრეთვე მოძრაობის ფორმებიც: დემონსტრაციების გამართვა ქუჩებში, დემონსტრატიული სელა და სხვ. მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი კი — ეკონომიკური გაფიცვების პოლიტიკურ გაფიცვებად გადაწევა და წარმოების ცალკე დარგებში მომხდარ გაფიცვების საერთო გაფიცვებად გადაქცევაა, როდესაც ამა თუ იმ რაიონის მრეწველობის ყოველი დარგის საწარმონი იფიცებიან. ამაში

<sup>1)</sup> და ჩეკინიაც დიდხანს, მრავალი ათეული წლების განმავლობაში არსებობდა სოციალიზმის განხევე მდგომი ამ ბრძოლისაგან, რომელიც მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ აწარმოებდნ, განხევე მდგომი შესაბამის გაფიცვებისაგან და სხ. ერთის მნიშვნელოვან სოციალისტებს არ ესმორიათ მარქსის თეორია, მიაჩნდათ იგი რუსეთისათვის გამოუსადეგარად; მეორე მნიშვნელოვან რუსეთის მუშათა მოძრაობა ჩანასახის ფორმას არ გასცილებოდა. როცა 1875 წელს დაარსდა „სამსრეტ რუსეთის მუშათა კავშირი“ და 1878 წელს — „ჩრდილო რუსეთის მუშათა კავშირი“, მუშათა ეს ორგანიზაციები განხევე იდგენენ რუს. სოციალისტების მიმართულებისაგან. ეს ორგანიზაციები მოითხოვდენ ხალხისათვის პოლიტიკურ უფლებებს, სურდათ ამ უფლებათა მოსახლეობლად ბრძოლის წარმოება, რუს სოციალისტებს კი მაშინ შეცდომით ეგონათ, რომ პოლიტიკური ბრძოლა სოციალიზმისაგან ჩამოვარდება იყო (გ. ი. ლენინი, ტ. I, გვ. 705—706 (ქართული გამოცემა)).

<sup>2)</sup> ლენინი, ტ. II, გვ. 760, (ქართული გამოცემა).

გამოიხატება მუშათა კლასის პოლიტიკური პროტესტი და გამოიხატება ბრიფი სოლიდარობა.

მე-XX საუკუნის დასაწყისის საგაფიცვო მოძრაობის ამ ახალ თვისებებთან არის დაკავშირებული მელითონე მუშების მოწინავე ფენების საგაფიცვო ტალღებში ჩაბმის ფაქტი. კრიზისი კულაზე ძლიერ შემცირებული მელითონების დარგებს დაატყდა თავზე და ამან შეუწყის ხელი საგაფიცვო მოძრაობაში მელითონეთა მასიურ ჩაბმას. მუშათა კლასის ამ მოწინავეთა არმიამ მაღვე დაამჩნია თავისი გავლენა მოძრაობას გაფიცვულთა საქმეში მეტა ორგანიზაციის, აქტივობის და ენერგიის შეტანით და აგრეთვე საერთო პოლიტიკურ მოთხოვნების აურდებნით. ისტორიამ უკუავდო მაშინდელი დროის ოპორტუნისტების ბოდვა, ვითომ რუსეთის მუშათა კლასი ჯერ მომზადებული არ იყო პოლიტიკური ბრძოლისათვის.

### მუშათა კლასის მონაცოდა

მიაღწიეს თუ არა მუშებმა თავისი ბრძოლით რაიმე წარმატებას? გავეცნოთ მუშათა ბრძოლის შედევებს საფაბრიკო კანონმდებლობის მაგალითებით.

სამუშაო დროის და მუშაობის პირობების გამსაზღვრელი უმთავრესი კანონები არიან 1882, 1885, 1886, 1897 და 1903 წლების კანონები. საქმარისის გადაეცემოთ ამ კანონების გამოცემის თარიღებს, რომ დავინახოთ შეთი მჭიდრო კავშირი მუშათა კლასის ბრძოლის გამწვავებასთან. საფაბრიკო კანონმდებლობა ხელიდან გამოვგლიჯა მეუის მთავრობას მხოლოდ მუშათა კლასის მმხედრებამ. მთავრობას ეშინოდა „რუსეთის სამეფო ტახტის საფუძვლების შეჩერებისა“ და იძულებული იყო გარევნულად მაინც კანონმდებლობითი წესით მოეწესრიგებინა დამოკიდებულებანი შრომასა და კაპიტალს შორის.

1882 წლის 1 ივნისის კანონი „კრძალავდა“ ფაბრიკებში მცირე წლოვანთა—15 წლამდის შრომით სარგებლობას, უკრძალავდა ლამზე მუშაობას 12—15 წ. მოზარდებს და მთთვის სამუშაო დღის ხანგრძლივობას 8 საათით საზღვრავდა. ამავე კანონით დაწესებული იყო საფაბრიკო ინსპექცია იმ შიზნით, რომ იყალყური ედევნებინა ფაბრიკებში წესრიგისა და გამოცემულ კანონების ფაბრიკანტების მიერ შესრულებისათვის.

1885 წლის 3 ივნისის კანონი „უკრძალავდა“ ლამზე მუშაობას ქალებს და 15—17 წლის მოზარდებს. ამავე დროს გაფართოებული იყო საფაბრიკო ინსპექციის შტატები.

1886 წლის 3 ივნისის კანონის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 80-იან წლების საფაბრიკო კანონმდებლობაში. მისი გამოცემი უშუალოდ არის დაკავშირებული 1885 წ. მოროზოვის ფაბრიკის გაფიცვისთან. ამ კანონში პირდაპირ არის შეტანილი მთელი რიგი გაფიცვულთა მოთხოვნებისა. კანონის უმთავრესი მომენტები ასეთია:

1. იკრძალება ხელფასის გაცემა საფაბრიკო დუქნიდან საქონლის გაცემით და საქონლის მისაღები კუპონების დარიგებით;

2. იქრძალება ხელფასიდან ფულის თვითნებობით დაკავება;  
 3. მწარმოებლებს ევალებათ თვეში ერთხელ მაინც გაუტესაზოდნი  
 მუშებს ხელფასის ანგარიშები;

4. ჯარიმები რჩება, მაგრამ კანონში ჩამოთვლილია ყველა სე-  
 თი საქციელი, რომლისათვისაც შეიძლება დაჯარიმდეს მუშა; ამავე  
 დროს კანონი აღვენს, რომ ჯარიმა არ შეიძლება აღემატებოდეს  
 ხელფასის 50%-ს. გარდა ამისა ჯარიმიდან მიღებული ფული კაპიტა-  
 ლისტის ჯიბდები კი არ უნდა ჩასულიყო, არამედ განსაკუთრებულ  
 საჯარიმო კაპიტალში ირიცხებოდა და მუშათა ყოფა-ცხოვრების  
 გაუმჯობესებას მოხმარებოდა;

5. ხმარებაში შემოაქვს მუშების საანგარიშო წიგნაკება.

1885 წლის 2 ივნისის კანონი მთავრობის პასუხი (იძულებათო)  
 იყო 1895—1896 წლების გაფიცვებზე. 1897 წლის კანონი საყურად-  
 ღებოა იმით, რომ ის მეფის მთავრობის პირველი და უკანასკნელი  
 კანონია, სადაც ლაპარაკია მოზრდილ მუშების სამუშაო დღის ხან-  
 გრძლივობაზე. ამ კანონით სამუშაო დღე განსაზღვრულია 11½/  
 საათით.

1903 წლის 2 ივნისის კანონით წესდება მწარმოებლის პასუ-  
 ხისმებლობა სამუშაოზე მუშების დასახიჩრებისათვის.

ამით ამოიწურება მეფის მთელი საფაბრიკო კანონმდებლობა  
 20 წლის განმავლობაში. მაგრამ საქმე მარტო კანონების მცირე  
 რიცხვში და კანონმდებლობის მცირე მნიშვნელობაში არ არის.  
 როდესაც მთავრობა კანონებსა სცემდა, ის ისეთ შენიშვნებს უკი-  
 თებდა, რომ კანონებს მთლად აბათილებდა, ან ისეთ გამოსავალ  
 გზებს უტოვებდა ფაბრიკანტებს, რომ უკანასკნელებს შეეძლოთ სრუ-  
 ლიად არ გიყვითოთ ანგარიში ამ კანონებისათვის.

მთავრობა ერთ გარემოებას არ უწევდა მხოლოდ ანგარიშს—  
 ეს იყო ის დასკვნები, რომელიც გამოქვინდა მუშათა კლასს მთავ-  
 რობის საქციელიდან. ბრძოლის გამოცდილება ასწევლიდა მუშათა  
 კლასს, რომ გაფიცვები—მხოლოდ „ომის სკოლა“ იყო.

„რუსეთში საშუალო საუკუნოებრივი ნახევრად ბატონ-  
 ყმური დაწესებულების ნაშთები ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია  
 (დასავლეთ ევროპასთან შედარებით), ეს ნაშთები ისე შძიმე  
 ტვირთად აწევს პროლეტარიატს და საზოგადო ხალხს, და  
 აფერხებს პოლიტიკური აზრის ზრდას ყველა წოდებებსა და  
 კლასებში, რომ მუშების ბრძოლას ყოველგვარი ბატონყმური  
 დაწესებულებებისა, აბსოლუტიზმისა, წოდებრივობისა და  
 ბიუროკრატის წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს... მუ-  
 შებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ რეაქციის მურჯები არ და-  
 ამხეს, მათ არ შეეძლებათ წარმატებული ბრძოლა აწარმონ  
 ბურუჟაზის წინააღმდეგ იმიტომ, რომ სოფლის პროლეტარია-  
 ტი, რომლის დახმარება აუცილებელი პირობაა მუშათა კლასის  
 გამარჯვებისათვის, ვერასოდეს ვერ გამოვა დაბეჭივებულ ხა-  
 ლხის მდგომარეობიდან; ამ სოფლის პროლეტარიატს შეეძლება  
 მხოლოდ უაზრო სასოწარკვეთილების განცდა და არა გონიე-  
 რი, შედგარი პროტესტი და ბრძოლა. და ამიტომ ბრძოლის

წარმოება რაღიკალურ დემოკრატიასთან ერთად აბსოლუტურ ზმისა და რეაქციონურ წოდებებსა და დაწესებულებების შედეგად ნააღმდეგ პირდაპირი ვალდებულებაა მუშათა კლასისა ჯერადაც მომდევნობა პროლეტარიატი დაინტერესებული იყო იმითი, რომ რუსეთი საბოლოოდ განთავისუფლებულიყო ბატონიუმინბის ყოველგვარ ნა-გავისაგან და გაწმენდილიყო განა კაპიტალიზმთან შემდგომი ბრძოლისათვის სოციალისტური ოკულიუმის მოხდენის მიზნით; ამი-ტომ მისი სახით ისტორიის სცენაზე გამოვიდა კლასი, რომელიც წარმოების პირობებისა და თავისი პოლიტიკური სიმუშიფის მიხედ-ვეით (მას ჰყავდა განსაკუთრებული პროლეტარული პარტია) მომ-ზადებული იყო ბელაზობა გაეწია მომავალ რევოლიუციაში ყველა დაჩაგრულთათვის.

### თვითშემოვალის პითები

1. ბატონიუმინბის ნაშემბის გავლენა რუსეთში კაპიტალისტურ წარმოებაზე.
2. ნაროდნიკობის არსი და მისი კლასობრივი ფესვები.
3. მუშათა მოძრაობის დახასიათება.

დამატებითი ლიტერატურა (არასამაღალდებულო)

### გეგმის II პარასათვის.

1. გ. ი. ლენინი—„К деревенской бедноте“, ტ. IX გვ. 317—374.
2. გ. ი. ლენინი. „გაფიცვების შესახებ“, ტ. XX, ნატ. I.

<sup>1)</sup> ლენინი, ტ. I, გვ. 258—259 (ქართული გამოცემა)